

საკამათო საკითხები

ისლამის შესახებ და კომენტარები

დოქტორი. საიდ ისმაილ სიენი

მეხუთე გამოცემა

2012

ავტორის ნების გარეშე შესაძლებელია მისი ნებისმიერი ფორმით და ყველა ენაზე
ნაშრომის გამოქვეყნება & არაბული ან ინგლისური ბოლო ვერსიის მისაღებად
მოგვმართეთ:

sisieny@hotmail.com

შესავალი

ქება დიდება ღმერთს, რომელმაც ამ წიგნის დაწერის შესაძლებლობა მომცა. მშვიდობა ალლჰის ყველა შუამავალს.

გავრცელებულ შეცდომებს შორის ერთ-ერთი არის სხვადასხვა საზოგადოების მიერ ღვთიური კანონების კრიტიკა. ზოგადად, ადამიანის გონება საგნებისა თუ მოვლენების განსჯისას არასრულყოფილია. ჩვენი სმენის, ხედვისა და ყნოსვის საშუალებები ლიმიტირებულია. შესაბამისად, ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად, ჩვენს ირგვლივ არსებული უთვალავი ქმნილება თუ მოვლენა ჯერ კიდევ შესასწავლია.

სინამდვილის გამოსავლენდ საჭიროა ორი მეთოდის გამოყენება: ტექსტუალური და ლოგიკური. ტექსტუალური მეთოდი ძირითადად დამოკიდებულია მთხრობელების ავთენტურ ჯაჭვურად მიყოლებულ ტექსტებზე. წმინდა ყურანისა და შუამავლის (ს.ა.ვ.) ჰადისების შემთხვევაში ჯაჭვი სათავეს იღებს შუამავლიდან და ბოლოვდება პიროვნებასთან, რომელმაც ამ ყველაფრის ჩანაწერი გააკეთეს. ხოლო ლოგიკური მეთოდი ეყრდნობა ადამიანის შეგრძნებებსა და განსჯის უნარს.

როდესაც საკითხი ღვთიურ სურვილებს და ბრძანებებს ეხება ამ შემთხვევაში ტექსტუალურ მეთოდს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ ჩვენ ადამიანებს ღვთიური ცოდნის აღქმისა და განსჯის სრულყოფილი უნარები არ გაგვაჩნია. აი მაგალითად, ბუნების კანონები სამყაროს გაჩენის დღიდან არსებობს, ხოლო ადამიანს მათ აღმოჩენამდე ხანგრძლივი დრო დასჭირდა, შესაბამისად ჩვენ ვხედავთ ჩვენი ცოდნა რამდენად ლიმიტირებულია. ასევე არსებობს უამრავი რამ, რაც ჯერ კიდევ ჩვენი შეზღუდული რესურსის გამო არ შეგვისწავლია.

გავრცელებულ შეცდომებს შორის აგრეთვე სისტემის ერთი კონკრეტული ნაწილის კრიტიკა და დარჩენილი ნაწილები უგულებელყოფაა. ეს შეცდომა უფრო სერიოზულია, როდესაც იგი ღვთიურ კანონს ეხება.

მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი ისლამის კანონმდებლობის ნაწილს განიხილავს, რომელიც მის ბუნებრივ კონტექსტიდან ამოგლეჯილია, ხოლო მთლიან შემავსებელ ნაწილს სათანადო ყურადღებას არ უთმობს. ეს ადამიანები ჰგავან პიროვნებას ვისაც სურს, რომ გაერკვეს ღამისადა სიბნელის სარგებელში, და ჩვენ გვთხოვს ეს საკითხი მეტად განვუმარტოთ. თუმცა ამ პიროვნებას ავიწყდება ან შეგნებულად არ იზიარებს იმ აზრს, რომ ღამისა და სიბნელის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია დღის ამოცნობა და მისგან სარგებელის სათანადოთ შეფასება.

არის შემთხვევები, როცა ყურანის აიათების ციტირება მისი კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფორმით ხდება. შესაბამისად ჩვენ ვქნით მის არასწორ მნიშვნელობას, რომელიც აიათის რელურ მნიშვნელობის ნაწილობრივ ან მთლიან წინააღმდეგობაშია. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან ეს მცდარი ინტერპრეტაცია წმინდა ტექსტების ავთენტურობას უკავშირდება.

მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი ისლამის კანონებს მხოლოდ სეკულარულ პერსპექტივით განიხილავს; ე.ი. იმ პერსპექტივით, რომელიც უარყოფს საიქიო ცხოვრებას, ან იმ პერსპექტივით, რომელიც ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებას შორის რაიმე კავშირს არ ცნობს. რეალურად, ამ ქვეყნიური ცხოვრება არის ნიადაგის მსგვსია, სადაც ვრგავთ ხილს, რომლის ნაყოფი საიქიო ცხოვრებაში უნდა მოვიწიოთ. თუმცა, ნაყოფის მცირე ნაწილს ამ ქვეყნადაც მოვიმკით, მაგრამ მოსავლის დიდი ნაწილი საიქიო ცხევრებისთვის არის განკუთვნილი.

შესაბამისად, გონიერმა ადამიანმა კანონის ან სისტემის ერთეულის გაკრიტიკებამდე უნდა გააცნობიეროს კონკრეტული ერთეულის ფუნქცია, როგორც მთლიანობა სისტემში და სწორად დაინახოს თუ როგორ ერგება ეს ერთეული სხვა ერთეულებს.

აგრეთვე, ადამიანების ნაწილი ისლამის კანონმდებლობის ასპექტებთან მიმართებაში კონკრეტული კითხვებს სვამენ, მაგრამ ორ ძირითად ფაქტს იგნორს უკეთებენ: 1) გონიერი არსებების შემქმნელმა ღმერთმა თავად უკეთესად უწყის თუ რა არის მისი ქმნილებებისთვის უკეთესი. 2) ადამიანის ცოდნა შეზღუდულია. შესაბამისად მათ არ გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია, რათა სრულყოფილად ჩაწვდნენ სამყაროს შემოქმედი ღმერთის ცოდნასა და ბრძანებებს.

შესაძლებელია, ჩვენ ჩავწვდეთ თუ რა არის რეალურად ღვთიური კანონების უკან, მაგრამ არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ იცის ყველა კანონის თითოეული ასპექტი.

აგრეთვე ერთ-ერთი გავრცელებულ შეცდომაა ისლამის მოწოდებების მუსლიმების პრაქტიკაზე დაყრდნობით განსჯა, ვინაიდან იგი შეიძლება იყოს ექსტრემისტული ან ისლამის რეალურ მოწოდებებზე სრულიად აცილებული.

ამ წიგნის ძირითადი მიზანი შიმდეგია:

1. პასუხი გაეცეს ისლამთან მიმართებაში აქტუალურ საკითხებს როგორიცაა: ისლამის მიხერით რწმენა და ღთისმსახურება; ისლამის კანონები და მორალურ ღირებულებები; ისლამის მისიონერული ბუნება; ადამიანის უფლებებზე ისლამის შესეხულება; ქალის სტატუსი ისლამში; ძალადობა და ტერორიზმი, ისლამური კანონები და ექსტრემიზმი.

2. მკითხველს გააცნოს, რომ ღვთიური კანონები არ არის მისტერიული და ადამიანის დისპოზიციასთან სრულ ჰარმონიაშია, რაც ბუნებრივად ადამიანების მორალური ღირებულებების მეგზურიცაა. თუმცა, ამ კანონებს გახსნილი გონებით უნდა შევხედოთ.

ამ წიგნის შედგენისას ავტორმა შემდეგი წესებით იმოქმედა:

1. არჩეული იქნა ისლამის შესახებ მუსლიმებისა და არამუსლიმების მიერ ხშირად დასმული კითხვები.

2. გამოყენებულია ყოველდღიური ცხოვრებისეული მაგალითები, რათა კონკრეტული საკითხების შესახებ მსჯელობა უფრო მარტივად გასაგები ყოფილიყო.

3. როდესაც ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, დისკუსია შეიზღუდა გაბატონებულ მოსაზრების სასარგებლოდ.

4. როდესაც მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, ორივე მოსაზრება ნახსენებია თავისი არგუმენტებით.

5. არ მოიცავს ინფორმაციას რომელიც ისლამის სწავლებასთან არ არის დაკავშირებული.

6. ნაშრომი ჩემი პირადი გამოცდილების პროდუქტია, რომელიც რელიგიურ სწავლებასთან დაგავშირებულ დიალოგების შესახებ ლიტერატურის დამუშავების და ზემოთხსენებული საკითხების შესახებ ხანგძლივი სწავლის შედეგია.

საბოლოოდ, მინდა კულწრფელი მადლობა დაგავუხადო ყველას, ვინც ამ ნაშრომის მომზადებისას დახმარება გამიწია. ეს იქნება მათი, კომენტარები, რედაქტირება, თუ ნაშრომის საბოლოო გამოქვეყნება. ასევე ამ წიგნის გაუმჯობესების მიზნით ნებისმიერი შენიშვნა გათვალისწინებული და ჩვენთვის ღირებული იქნება.

საიდ ისმაილ სიენი

7 ივნისი, 2012

sisieny@hotmail.com

I თავი

ისლამი: რწმენა, ღვთისმსახურება და კანონები

ისლამი რწმენის, ღვთისმსახურების რიტუალების, კანონებისა და მორალური ღირებულებების ყველა ასპექტს მოიცავს. იგი ღვთიური შეტყობინებების ბოლო ვერსიაა, რომელიც ალლაჰმა¹ პირველად შუამავალ ადამს აცნობა და შემდეგ სხვა შუამავლების (ნეო, აბრაამი, მოსე, იესო, და მუჰამმედი (ს.ა.ვ.)) საშუალებით თანდათანობით მოავლინა. ყველა შუამავალის მისია ადამინებთვით ქეშმარიტების მოწოდება იყო. თითოეულმა მათგანმა კონკრეტულ დროში არსებული საზოგადოებისთვის შესაფერისი რელიგიური სწავლება გაავრცელა. ხოლო შემდეგში, ისლამი მოევლინა, როგორც შეტყობინება ყველა გონივრული არსებებისთვის (ადამიანებისთვის და ჯინებისთვის). წმინდა ყურანის ერთ-ერთ აიათში ალლაჰი შუამავალს შემდეგნაირად მიმართავს: „და არ წარვიგზავნიხარ შენ, თუ არა მოწყალეად სამყაროსათვის“.²

რა არის რწმენის საფუძვლები და ღვთისმსახურებები?

ისლამის რწმენის საფუძვლები ეყრდნობა იმ ქეშმარიტებას, რომ ამ ქვეყნიური ცხოვრება არ არის სრულყოფილ ვერსია (ამბავი). არის ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ადამნების დაბადება, რომლებიც თავიანთი განათლებითა და სიმდიდრით ტკბებიან მაშინ როდესაც სხვები მწუხარებაში და სიღარიბეში იმყოფებიან? არის ცხოვრება მხოლოდ ის, რომ ადამიანების ნაწილი ხდებიან იმათი მსხვერპლნი, ვინც ცხოვრებისეულ სასჯელს იოლად გაექცა? შესაძლებელია თუ არა ის, რომ ზოგი ადამიანი საკუთარი ილბლიანობის გამო ნეტარებაში უნდა იყოს, ხოლო სხვები უბედობის გამო მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა წვალობდნენ? და თუ ეს ასეა, მაშინ რა არის ცხოვრება, სად არის სამართლიანობა? შესაბამისად უნდა

¹ სიტყვა ალლაჰი არაბულია იგი ღმერთს ნიშნავს. ის უნუკალური იმ თვალსაზრისით, რომ მას მრავლობითი ფორმა არ გააჩნია.

² ყურანი, 21/107

არსებობდეს სამუდამო საცხოვრებელი, სადაც საბოლოო ანგარიშსწორება გაიმართება და უსასრულო სამართლიანობა დაისადგურებს.

ყველა ღვთიურ წერილებში ძირითადი საფუძვლები უცვლელია. ისლამის თანახმად ძირითადი საფუძვლები შემდეგია: სამყაროს ერთადერთი შემქნელი ალლაჰი, მისი ანგელოზები, მისი წიგნები, მისი შუამავლები, განკითხვის დღის და მედისწერის არსებობა. რწმენაში უპირველესი არის მხოლოდ ერთი ღმერთის, ალლაჰის დაჯერება და მხოლოდ მასზე თაყვანისცემა. წმინდა ყურანი ნაბრძანებია: **„უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარი გაუჩინონ მას, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს ინებებს ვისაც“.**³

ღმერთის ერთობის და მისი შუამავალი მუჰამედის აღიარების შემდეგ, ყველაზე დიდი ღვთისმსახურება არის სავალდებულო ხუთი დროის ნამაზის შესრულება, მოწყალების გაღება (ზაქათი), რამადანის თვეში მარხვა, და ჰაჯობის (პილიგრიმობა) რიტუალის შესრულება თუკი მორწმუნეს შესაბამისი პირობები გააჩნია. ეს ღვთის მსახურებები მჭიდროდ დაკავშირებულია მუსლიმის ყოველდღიურ საქმიანობასთან. მაგალითისთვის, ხუთი დროის ნამაზის ლოცვა სავალდებულოა დღის განსხვავებულ კონკრეტულ მონაკვეთებში. ხოლო ლოცვის სამზადისი სხვეულის დაუფარავი ნაწილების დაბანვას საჭიროებს. ლოცვის პროცესი კი მოიცავს ფიზიკურ მოძრაობებს, რომელსაც თან ახლავს მენტალური კონცენტრაცია, ღვთიური სიტყვების წამოთქმა და სულიერ მხარეზე ფიქრი.

ეს ყველაფერი მუსლიმს ახსენებს დროის კონტროლზე სათანადო ყუდლების მიქცევას, ჰიგიენის კონტროლს, ორგანიზებულობას, საქმის კეთებისას კონცენტრაციას და ამავე დროს ალლაჰის მიმართ საკუთარ ვალდებულებებს. მოწყალების გაცემა და მარხვა მუსლიმს შეაგონებს სხვა ადამიანების მგდომარეობის შესახებ. ხოლო, ჰაჯობის რიტუალის განსაზღვრულ დროსა და ადგილზე

³ ყურანი, 4 /48, 116

შესრულება ხელს უწყობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მორწმუნეთა კომუნიკაციასა და თანამშრომლობას.

ერთი შეხედვით, ღვთისმსახურების ზოგიერთი ნაწილი შესრულების პროცესში კერპთაყვანებლობის რიტუალის მსგავსია. მაგალითად, ლოცვის დროს ქაბას მიმართულებით დგომა და ჰაჯობის რიტუალისას თავაფის (ქაბაზე შემოვლა) გაკეთება. თუმცა, რელურად წარმართულ რუტუალებსა და ალლაჰზე სათაყვანო რიტუალებს შორის უდიდესი განსხვავებაა:

1. ისლამური ღვთისმსახურებები რომლებიც შესრულების ფორმით ალოგიკური ჩანს, ალლაჰის უშუალო ბრძანებაა, შესაბამისად მათი შესრულება ალლაჰზე სრულ მორჩილებას ნიშნავს.

2. ყველა ის რიტუალი რომელიც ადამინის მიერ გამოგონია ალლაჰის მიერ მოწოდებულ ბრძანებებს აცდენილია, არა აქვ მნიშვნელობა შესრულების ფორმები ალოგიკური თუ ალოგიკურია.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის საფუძვლები არ საჭიროებს რაიმე სახის მოდიფიკაციას (ცვლილებას). ცხოვრების სტილიდან და საჭიროებიდან გამომდინარე ზოგიერთი ღვთის მსახურებები ალლაჰის მიერ დადგენილი სახეშეცვლილია. მათ შორის არის, მგზავრობის დროს ოთხი მუხლი ნამაზის ნაცვლად ორი მუხლის ლოცვა, ასევე მგზავრობის დროს მარხვის დაუცველობის საპატიო მიზეზი და შემდგომში მისი ანაზღაურება. აგრეთვე ავადმყოფობის პერიოდში რამადანის თვეში მარხვის დაუცველობის კომპენსირების საფუძველზე პატიება.

შარიათი (კანონი) რომელიც ადამინების ურთიერთობას არეგულირებს მუდმივად ცვალებადი ცხოვრების სტილის შესაბამისია. მიუხედავად იმისა, რომ თოთხმეტი საუკუნის შემდეგაც ისლამის კანონები უცვლელია.

როგორ არის შესაძლებელი დღეისათვის 14 საუკუნი წინანდელი კანონების პრაქტიკაში დანერგვა?

ზოგიერთ მუსლიმს და ასევე არამუსლიმს შესაძლოა აინტერესებდეს თუ როგორ შეიძლება 14 საუკუნის წინ წამოყალიბებული კანონების დღევანდებლობაში გამოყენება. ეს ლოგიკურ კითხვას ჩაითვლება, თუ ჩვენ არ გვაქვს საკმარის წარმოდგენა ისლამური შარიათის შესახებ. ჩვენ ასევე უნდა გვახსოვდეს რომ ადამიანებმა კონსტიტუციები ასობით წლის წინ დაწერეს. თუ ამ კანონების შექმნა ადამინის უნარებისთვის შესაძლებელია, მაშინ რატომ უნდა იყოს ალლაჰისათვის ეს შეუძლებელი, როცა მისი ცოდნა დროსა და სივრცეში შეუზღუდავია?

რა არის კანონი მუსლიმისთვის რომელსაც ასეთი კითხვა უჩნდება?

მუსლიმი, რომელიც ასეთ კითხვას სვამს, რეალურად უარყოფს, რომ ალლაჰს ხელეწიფება შექმნას სოციალური კანონი რომელიც განკითხვის დღემდე იარსებებს, ანუ ალლაჰს შეუძლია შექმნას მუდმივი კანონები. მუსლიმი უნდა იყოს ყურადღებით რათა არასწორი მსჯელობით არ გადაიჭრას ურწმუნოებაში. ამასთან დაკავშირებით წმინდა ყურანში ნაბრძანებია: „მაგრამ არა! შენ ღმერთ ვფიცავ! ნამდვილი მორწმინდები ვერ იქნებიან ეგენი, სანამ მსაჯულად არ დაგადგენენ იმისა, რის გამოც დაობდნენ ერთმანეთში. შემდეგ კი შენს მიერ გამოტანნილ გადაწყვეტილებას დაემორჩილებიან სრულიად და თავიანთ თავში არ ექნებათ საჭოჭმანო“.⁴

მუსლიმს ასევე შესაძლოა ავიწყდება, რომ მას არ აქვს უფლება ალლაჰის ბრძანებებიდან მხოლოდ ის შეასრულოს რაც თავად მოსწომს, ხოლო უარყოს მისთვის მოუწონარი. ალლაჰი ბრძანებს; „...ნუთუ წიგნის ერთ ნაწილს ირწმუნებთ, მეორე ნაწილს კი უარყოფთ? თქვენგან ვინც იქმს ამას, საზღაური ამისა არ იქნება სხვა, თუ არა დამცირება ამ ცხოვრებაში და აღდგომის დღეს მიეგებათ მწარე სასჯელი. ალლაჰი უგულისყურო არ არის, იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!“⁵

ქვემოთ განხილულია მორჩილების სხვადასხვა ფორმები:

⁴ ყურანი, 4/65 ასევე იხ. 59, 105

⁵ ყურანი, 2/85

1. სრული მორჩილება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰს უკავშირდება. ასეთი მორჩილება აბსოლიტურად მიღებულია, ის არ იწვევს კითხვებს.

2. სარწმუნო ტექსტების შინაარსის მიმართ სრული მორჩილება. ასეთივე მორჩილებაც არ წივევს კითხვებს.

3. კონკრეტული სკოლების ან ლეგალური მოსაზრებების მიმართ მორჩილება. ასეთი სახის მორჩილება (უფორ მიმდევრობა) არ არის ვალდებულება რადგან განსხვავებული ინდივიდუალური მოსაზრებები ბევრ შემთხვევაში მიღებულია. ასეთი მორჩილება მისაღებია თუ იგი ეფუძვნება ინდივიდუალურ განსჯას, სადაც არ გამოირიცხება ამ განსჯის მცდარობა და სხვების მართებულობა.

ჰეშმარიტ მუსლიმს სჯერავს, რომ ისლამის მოწოდებებს გარანტირებულად შიუძლია ადამიანისთვის ბედნიერებისა და მშვიდობის მოტანა, თუ ისინი შესაბამისად არის ადამინის მიერ განხორციელებილი. ისლამის მოწოდებები არის ამ ქვეყნიური და იმქვეყნიური წარმატების გარანტია, თუკი ადამინის მიერ სწორად იქნება ცხოვრებში გათავისებული.

ისლამის სწავლება არ არის გამიზნული მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებისთვის, არამედ იგი მოიცავს სამომავლო იმქვეყნიურ სამუდამო ცხოვრებასაც. შესაბამისად, მუსლიმ არ შუძლია უარყოს ეს გარემოება, ვინაიდან მას უნდა სჯეროდეს, რომ ღვთიური კანონები უპირატესია ადამინების მიერ შექმნილ კანონებთან მიმართებაში. ალლაჰმა უკეთესად უწყის, თუ რა უფრო უკეთესად დაიცავს თავისი ქმნილების კეთილდღეობას ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ ცხოვებაში.

ისლამის კანონები შედგება ძირითადი დეტალური წესებისაგან, რომელიც მოიცავს ალლაჰისა და მისი ქმნილებების ურთიერთობასა და ქმნილებათა შორის ურთიერთობების განმხაზღვრელ წესებს. სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, ილამი

არის რწმენის საფუძვლების, რიტუალების, კანონებისა და მორალური ღირებულებები ერთობლიობა.

ისლამ არ დაუტოვებია ცხოვრებისეული არცერთი ასპექტი რომლის მიმართ რაიმე კანონზომიერება არ არსებობდეს, ასევე ყველა კანონზომიერება ერთიმეორისთან ჰარმონიულად შეთანხმებულია, რაც კიდევერთხელ ადასტურებს საკუთარ ღვთიურ ბუნებას. ძირითადი კანონი (წესი) მოქმედებს როგორც ცენტრი ან ღერძი, რომლის ირგვლივ გაერთიანებულია სხვა განონონები და დაშვებები.

მვემოთ მოცემული სხვადასხვა თემების განხილვის შედეგად, ჩვენ უკეთესად გავეცნობით თუ როგორ აბალანსებს ისლამი რეალობასა და ფანტაზიას, ინდივიდისა და ჯგუფის უფლებებს. დავინახავთ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერების მოპოვების საჭიროებათა შორის განსხვავებებს.

ისლამა 14 საუკუნის წინ სუსტებს (ჩაგრულებს) უბოძა უამრავი უფლება, რომელთა მხოლოდ ნაწილი აღიარეს ადამიანებმა და ისიც ბოლო საუკუნის განმავლობაში. ადამინების კანონები ჯერ კიდევ გაცილებით უკან არის ალლაჰის მიერ ადამინებისთვის ბეძებულ კანონებთან შედარებით.

როგორ არის ისლამის კანონზომიერება რეალობასთან დაკავსირებული?

ქეშმარიტად, ადამინებს რომლებსაც უზენაესმა ალლაჰმა ჯილდოდ უწყალობა თავისუფლება და ცოდნის მიღების უნარი, შესაძლებლობა აქვთ ღვთიური მოწოდებების უკან დიდი სიბრძნე დაინახონ. თუმცა არცერთ მოკდავს არ უნდა ჰქონდეს იმის ამბიცია, რომ იგი საკმარისად კვალიფიციურია, რათა სრულყოფილად ჩაწვდეს ღვთაებრივ სწავლებას.

ადამინებსა და სხვა ქმნილებებს შორის ურთიერთობების შესახებ ისლამის სწავლებები ცხოვრებისეულ ცვალებად სტილითან შესაბამისოვაშია. ვინაიდან, ისლამი ღვთიური შეტყობინების ბოლო ვერსიაა, იგი განკუთვნილია სრულიად კაცობრიობისთვის და სხვა გონივრულ არსებებისთვის ყველა ეპოქაში.

ყველა ვინც აკრიტიკებს ღვთისმსახურების როლემელიმე რიტულას, კარგად გაანალიზების შემთხვევაში ჩაწვდება წმინდა ტექსტებისა და რეალობის ურთიერთკაშირის ფენომენს, რომელიც ნათლად არის დემონსტრირებული ისლამში. მაგალითისთვის, მუსლიმს ნამაზის ლოცვამდე ევალება ხელების, ფეხებისა და სახის დაბანა. თუმცა წყალის არ არსებობის ან არასაკმარისობის პირობებში სიმბოლური მოქმედებით, ჯერ მიწის ზედაპირზე ხელების შეხებით და შემდეგ სახისადა და ხელების დაბანვის იმიტაცია განხანვის რიტუალად ეთვლება. ისლამის კანონზომიერების მიხედვით, შუადღის, სამხრობისა და ღამის სავალდებულო ლოცვები ოთხ-ოთხი მუხლისაგან შედგება, თუმცა მგზავრობის შემთხვევაში მორწმუნეს აღნიშნული დროში შესასრულებელი ნამაზების მხოლოდ ორ-ორი მუხლის ვალდებულება აკისრია.

თუ ინდივიდი წმინდა ყურანის ან ზოგადად ისლამისეულ მოწოდებებს თანმიმდევრულად შეისწავლის, ნათლად დაინახავს ისლამში არსებული ნორმების ეტაპობრივ შემოსვლის პროცესს. მაგალითისთვის, ისლამის სწავლებები სრულყოფილად 23 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. მეტიც, კონკრეტული საკითხის მიმართ დადგენილება ანუ წესიც კი თანდათანობით მკვიდრდებოდა ისლამში. მაგალითად, ღვინის აკრძალვა ეტაპობრივად განხორციელდა, რადგან მათრობელა სასმელის დალევა იმ დროის საზოგადოებაში ძალზედ გავრცელებული პრაქტიკა იყო.

ეს ფენომენი კარგად არის დემონსტრირებული მუსლიმ სწავლულების (იურისტებს) შორის მისაღებულ გადაწყვეტილებებს შორის განსხვავებებში. ერთ-ერთი მაგალითია, ძველი კანონის ახალით ჩანაცვლება, რომელიც ახალ სიტუაციას უკეთესად მოერგება.

თუმცა, კონკრეტულ შემთხვევებში, ჩვენ უნდა დავინახოთ განვასხვავება გარკვეული ნორმის გაუქმება - შენარჩუნებასა და ახალი ნორმის დანერგვას შორის, რომლებიც კონკრეტულ დროს არსებულ სიტუაციას არ შეესაბამება. ამ საკითხთან

დაკავშირებით ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია, როდესაც ჰ.ზ. ომარმა (შუამავალი მუამმედის სახაბეთაგანი) წინააღმდეგობა გაუწია როცა არამუსლიმს დაუმსახურებლად უნდა მიეღო მიწის ნაკვეთი. ხსენებული არამუსლიმი მოიხმარდა ზეჰათის (სავალდებულო გადასახადი) წილს რომელიც ეკუთვნოდა გავლენიან არამუსლიმს. ასევე საკითხთან მიმართებაში ცნობილი მაგალითია, როდესაც ჰ.ზ. ომარმა (მეორე ხალიფა) ქურდისათვის ხელის მოჭრის ბრძანებისაგან თავი შეიკავა, ვინაიდან მასობრივი სიღარიბე სუფევდა და ქურდობა საჭიროებიდან გამომდინარე იყო ჩადენილი.

აღნიშნულ სიტუაციებში ჰ.ზ. ომარს ისლამის კანონები არ გაუბათილებია, არამედ არსაკმარისი გარემოებიდან გამომდინარე აღსრულებისაგან თავი შეიკავა.

ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი მაგალითიც არსებობს: ჰ.ზ. ომარმა არამუსლიმების „ჯეზა“ - სახელწოდება და რაოდენობაც შეცვალა. რომელსაც ისინი მუსლიმების ზეჰათის ნაცვლად საერთო ხაზინაში იხდიდნენ. ასევე ქრისტიანი ტომის წარმომადგენლები სამხედრო სამსახურიდანაც გაათავისუფლა.⁶

შესაბამისად, კანონის გაუქმების და მისი აღსრულების თავშეკავებასა და სიტუაციიდან გამომდინარე მოდიფიცირების შორის არსებობს მკვეთრი განსხვავება.

დღევანდელი სახელმწიფო გადასახადები მნიშვნელოვნად აღემატება ზეჰათის რაოდენობას რომელის გადახდა მუსლიმებს ევალებოდათ. აგრეთვე ისლამური სახელმწიფოებისთვის არამუსლიმების მიერ გადახდილი „ჯეზა“ გაერთიანებული იყო სავალდებულო გადასახადებთან. წინააღმდეგობების თავიდან აცილების მიზნით მუსლიმმა სწავლულებმა მიიღეს ისლამური კანონის სტანდარტი რომელიც კონკრეტულ მეზებს ეფუძვნებოდა.

ვინაიდან ისლამის კანონმდებლობა მოქნილია და რეალობაზე მორგებულია, მოსამართლეები ყველა შემთხვევაში იდენტურ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ.

⁶ აბუ ისუფ გვ. 129-130

უმარ იბნალ ხათაბი ისლამის კანონების დანერგვისას ითვალისწინებდა არსებულ ვითარებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წმინდა ტექსტებისა და რეალობის ურთიერთკავშირს. იგი მიყვებოდა ალლაჰის მიერ ისლამის კანონების თანდათანობით გავრცელების მაგალითს.

ზემოთ აღნიშნული ფაქტები მუსლიმ ხელისუფლებას, რომელიც ისლამის კანონების ხანგძლივი იგნორის შემდეგ მოვა ძალაუფლების სათავეში ავალდებულებს კანონმდებლობა თანდათანობით შეიყვანოს ძალაში. ნაჩქარევი ნაბიჯები ყოველთვის ნეგატიურ შედეგებს იძლევა. მუსლიმი მართველის პოლიტიკა უნდა იყოს განსხვავებული საზოგადოების და მათი სიმბოლოების მიმართ შემწყნარებელი მანამდე სანამ ისლამური კანონები იარსებებს.

რა არის ისლამის მუდმივი კანონზომიერების უკან?

ისლამი ღვთიური შეტყობინების ბოლო ვერსიაა და ყველა გონივრული არსებებისთვის (ადამიანები და ჯინები) არის მოვლენილი. ღმერთმა თავისი კანონები საუკეთესო ხარისხით მოავლინა, რომელიც რდოსა და სივრცის განსხვავების მიუხედავად თანაბრად ხელმისაწვდომია. ალლაჰის უნაკლო კანონებთაგანი შემდეგია:

პირველი: ძირითადი წესები ეფუძვნება გონივრული არსებების ბუნებას როგორცაა: სილიერი კომპონენტი; ასევე გონებრივი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური საჭიროებები. მაგალითად, ყველა ქნილება საჭიროებს უხილავ ძალას, რომელიც უწყალობებს მათ სიკეთეს და დაიცავს ბოროტებისაგან. გონივრულ არსებებს ესჭიროებათ ცოდნა და განჯის უნდარი, რათა ეფექტურად გაუმკვავდნ მათ ირგვლივ არსებულ გარემოებებს. არსებობისათვის ადამიანებს ესაჭიროებათ კვება, წყალი და თავშესაფარი. ყველა საკითხი ნათლად განხილულია როგორც წინდა ყურანში ასევე შუამავალის (ს.ა.ვ) ჰადისებში.

მეორე: ავთენტური (მყარი) ტექსტები კონცენტრირებულია დეტალური წესების განხორციელების სწავლებებზე, რომლებიც ცხოვრებისეულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს: ალლაჰის ბრძანებებზე მორჩილების მნიშვნელობას; სამართლიანობის დაცვას და უსამართლობის აღმოფხვრას; მარტოხელა ქალებისა და მარტოხელა მამაკაცების ქორწინების საკითხს, როგორც მათშორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის სრულყოფილ გზას.

ცვლილებები შესაძლოა ეხებოდეს მხოლოდ სტილსა და შინაარსს, მაგრამ ადამიანის ძირითად საჭიროებებს ცვლილებები არ ეხება.

მესამე: შუამავალის (ს.ა.ვ.) ზოგოერთი ჰადისები არის ადამიანის სასიკეთოდ ფიქსირებული დეტალური წესები. ისინი არ იცვლება, და არც უნდა შეიცვალოს. ისინი მოიცავს წესებს რაც ადამიანს ევალება ან ეკრძალება. ადამიანებს აქვთ ცხოვრების სტილის შეცვლის შესაძლებლობა საკუთარი სურვილების შესაბამისად, რაც ასევე რელიგიურად გამართლებულია. თუმცა ადამიანს ევალება ამქვეყნიური ბედნიერებასა და სამომავლო ცხოვრების შორის ბალანსის შენარჩუნება. ამგვარი ბალანსის გარეშე წარმატებისა და კეთილდღეობის მოპოვება შეუძლებელია. ამ ხვრივ მნიშვნელოვანია ღვთიური კანონები, რომელიც გვკარნახობს თუ როგორ არის შესაძლებელი ბუნებრივი დისპოზიციის შენარჩუნება, ასევე რა იწვევს მის განადგურებას, უზნეობას.

ტექნოლოგიური წარმატების მიუხედავად ადამიანები არ გააჩნიათ საკმარისი კვალიფიკაცია რათა განსაჯონ საკითხები, რომლის მიმართ არა თუ სრული არამედ საკმარისი ცოდნაც არ გააჩნიათ, ვინაიდან ადამიანის ცოდნა და აღქმის უნარი მატერიალურ გარემოსთან მიმართებაშიც კი შეზღუდულია. ადამიანის აღქმის უნარი იმასთან დაკავშირებით რისი აღქმაც თავისი ლიმიტირებული უნარის გამო არ შეუძლია უფრო მეტად შეზღუდულია. უეჭველად ადამიანს უამრავი რამის მიმართ ცოდნა არ გააჩნია, თუმცა მას ამ საგნებსა თუ მოვლენებთან ყოველდღიურობა აკავშირებს.

მეოთხე: მქვემოთ მოცემულია ალლაჰის მიერ ისლამის კანონების წყაროები:

1. წმინდა ყურანი. იგი ალლაჰისგანაა, შინაარსი და სიტვა. მისი დაცვა ჰაფიზების (ყურანის ზეპირად მცოდნე) მიერ ზეპირად ჯაჭვური გადაცემით განხორციელდა. ყურანის ზეპირად შემსწავლელი ჯაჭვის რგოლის მსგავსად დაკავშირებულია მასწავლებელთა და დაჭვის ბოლო რგილი აღწევს შუამავალ მუჰამედთან. ყურანი აგრეთვე შუამავალი მუჰამედის (ს.ა.ვ.) სიცოცხლეშივე თავის ზედამხედველობის ქვეშ წერილობითაც დაიწერა.

2. შუამავლის ჰადისები. ჰადისები არის შუამავლის მუსამმედის (ს.ა.ვ.) სიტყვების, ქმედებების და კონკრეტულ საკითხებთან მიმართებებში მის მიერ განხორციელებული რეაქციების და საკუთარი ცოდნით გაკეთებული განმარტებების კრებული. ჰადისები არის ყურანისეული სწავლების კრებული. რომლებიც არის ერთგვარი განმარტებები დადამატებები, რომელიც მოიცავს ცხოვრებისეულ ყველა ასპექტს, ვინაიდან შუამავალი მუჰამედი (ს.ა.ვ) თავად იყო მამა, ქმარი მწყემსი, ვაჭარი, მეომარი, და სახელმწიფო მოხელეც.

ჰადისები შენარჩუნებული იქნა ზეპირსიტყვიერებით, მანამდე სანამ არ მოხდGA მათი წერილობითი ფორმით ჩაწერა, რომელიც სანდოობის ხარისხის მიხედვით ცვალებადია. ჰადისების სანდოობის საკითხი განსხვავებულია და დამოკიდებულია სწავლულებზე, რომელმაც გააერთიანეს ერთ კრებულად. თუმცა ჰადისების ჩაწერისას განვლილია საანდოობის დადგენის მკაცრი პროცედურები.

3. იჯთიჰაადი: ეს არის მნიშვნელოვანი ელემენტების (პრინციპების) ისლამის ჩარჩოებში მოქცევა. ახალის სიტუაციების არსებულ სიტუაციაბთან გაერთიანება. ახალი პრობლემური საკითხების მოგვარებისათვის სწორი გზების პოვნა, რომლის მიმათ წმინდა ყირანსა და ჰადისებში უშუალო განმარტებები არ მოძებნება. ხშირად ასეთი საკითხების განხილვა წმინდა ლოგიკას ეყრდნობა, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო დასკვნები წინააღმდეგობაში არ მოდის აიათებთან და ისლამის დოგმატიკასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ იჯთიჰაადი მოიცავს შემდეგ

მეთოდოლოგიას: ყიასი, ისთიჰსაანი, ალ-მაშაალიჰ, ალ-მურსაალაჰ, სადდი-დჰარაია და ალ-ისთის-ჰაად (ანალოგია, მოსაზრება, და საზოგადოების ინტერესი...). ეს ყველა პრინციპი ძირითადად დამოკიდებულია განსჯასა და ლოგიკაზე. საერთო კანონი ასევე არის სხვა წყარო, რომელზეც დაყრდნობითაც სხვადასხვა საკითხი რეგულირდება.

ზემოთ ხსენებული წყაროები მოქნილია და წმინდა ტექსტების ცვალებად გარემოზე მორგების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული პრინციპები მრავალმხრივის ლეგალური მოსაზრებებით ამდიდრებს ისლამის კანონზომიერებას და თანხვედრაშია ყველა არსებულ თუ მოსალოდნელ გარემოებებთან.

იჯთიჰაადი უმრავლესობის მცდარ თუ ჭეშმარიტ გემოვნებასა და სურვილზე არ არის დაყრდნობილი და ადმიანის ბუნებრივ დისპოზიციას ნაწილობრივ ან სრულიად ემიჯნება. ისლამში კანონების კრიტერიუმები არის ღვთიური გამოცხადებები და შთაგონებები, მათზე დაფუძნებული მოსაზრებები.

4. იჯთიჰაადის კონსესუსი. იჯთიჰადი უფრო ძიერია მაშინ როდესაც ლეგალურ მოსაზრებებს თან ახლავს სწავულების კონსესუსი (შეთანხმება), რომლებიც შუამავალი მუჰამმედის (ს.ა.ვ.) საჰაბეების თაობებს მიეკუთვნებოდნენ. შესაბამისად სწავლულებმა იჯთიჰაადის მეთოდოლოგია შეიმუშავეს წმინდა ყურანსა და შუამავლის ჰადესებზე დაყრდნობით.

შერიათი (ისლამის კანონმდებლობა) დაფუძნებულია 14 საუკუნის წინანდელ სტაბილურ კანონზომიერებაზე. მას გააჩნია უნივერსალური მოქნილობა, რათა მოერგოს ცოვრებისეულ ახალ საკითხებსა და შემთხვევებს.

ეს მოქნილობა გამოიხატება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის:

1. მისაღების მრავალფეროვნება შუამავლის ზოგიერთი ჰადისების სანდობისა და უარყოფასთან დაკავშირებით.

2. დასაშვები მრავალფეროვნება წმინდა ყურანის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, თუმცა პიროვნებამ რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა არ უნდა გააკეთოს თვითნებური ინტერპრეტაცია, ვინაიდან უცოდინრობის შედეგად არასწორ დასკვნებს გამოიტანს. ამის მაგალითია შუამავლის ჰადისი, რომელის თანახმად ბუზის ერთი ფრთა დაავადებებს შიცავს მეორე კი სამკურნალო საშუალებებს. უცოდინრობის გამო შესაძლოა პიროვნებამ თქვას: „ რატომ უნდა გვაწუხებდეს თუ ბუზი ჩვენს საკვებს შეეხება?“- ამ პიროვნებას ავიწყდება, რომ ამ ჰადისის მიზანი კონკრეტულ შემთხვევას უკავშირდება. როდესაც წყალის დეფიციტია და წყლის ჭურჭელში თუ ბუზი ორივე ფრთით ჩავარდება იგი დასალებად გამოსადეგია. ეს ადამიანი ასევე არ ცნობს სისუფთავესთან დაკავშირებულ უამრავ ჰადისებს, სადაც დასალებისა და საკვების მავნე ნივთიერებისგან აუცილებელ დაცვაზეა მოწოდებული.

ზემოთხსენებულ მაგალითთან დაკავშირებულ არსებობს ერთ-ერთი ჰადისი, რომლის თანახმად აქლემის შარდი კონკრეტული დაავადებების სამკურნალო თვისებებს შეიცავს.

თუმცა, ზოგიერთი ამ ჰადისის სანდოობას საეჭვოდ მიიჩნევს და ჩნდება კითხვა: რატომ უნდა შევიტანოთ ეჭვი ავთენტურ ჰადისთან მიმართებაში, მაშინ როდესაც გვჯერავს ადამიანის აღმოჩენების? მაგალითისთვის, ცნობილია, რომ შხამით სამკურნალო პროდუქტი მზადდება.

3. დასაშვები მრავალფეროვნება რეალობის განსაზღვრასთან მიმართებაში.

4. დასაშვები მრავალფეროვნება რეალობისა და მისი განსჯის ხერხთან დაკავშირებით. მაგალითად, ითვლება თუ არა საბანკო წესების თამახნად პროცენტიანი განვადებით საქონლის გაყიდვა მევახშეობათ, რადგან ბანკის ორიგინალური ბიზნესი ფინანსების ბრუნვაა და არა საქონლის გაყიდვა.

5. მრავალფეროვნება ისლამის კანონების მეორადი წყაროს არჩევანთან დაკავშირებით. არის თუ არა მისაღები ისთიჰსანი (მეორადი წყაროს სანდოობის განმსაზღვრელი გავრცელებული მოსაზრება) ან მედინის მკვიდრთა მიერ დაწესებული მოდელი. ერთ-ერთის მიღება ან ორივეს უარყოფა.

თავი II

ბედისწერა, ბუნების კანონზომიერება, ჯიჰადი, მტრობისა და მეგობრობის რაობა

როდესაც ისლამის რწმენის საფუძვლებზე ვსაუბრობთ, მიშვნელოვანია განმარტბანი გაკეთდეს კონცეფციებზე (წარმოდგენებზე), რომლებიც უამავ კითხვას ბადებს: *ალ-ყადარ*, *ალ-ყადაა*, *ალ-ჯიჰად*, *ალ-ვალაა* და *ალ-ბარაა*. ტერმინი *ალ-ყადარ* (ბედისწერა) და *ალ-ყადაა* (ბუნების კანონზომიერება) დაკავშირებულია ადამინის თავისუფლებასა და პასუხისმგებლობასთან თავის ცხოვრებაზე. ის ისტორიის გამავლობაში, როგორც რელიგიური ლიდერებისვის, ასევე ფილოსოფოსებისთვის საკამათო საკითხს წარმოადგენს. ადამინების უმრავლესობა თავიანთ შეცდომებსა და უბედურ შემთხვევებს ბედისწერას უკავშირებენ. სხვები კი საკუთარ უმოქმედობასა და თემში წარუმატებლობას ბედისწერით ამართლებენ.

მუსლიმებისა და არამუსლიმების ურთიერთობებზე საუბრისას, ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისლამში არსებულ ისეთ კონცეფციებს (წარმოდგენებს) როგორიცაა: „*ალ-ჯიჰადი*“ (ძალისხმევა), „*ალ-ვალაა*“⁷ და „*ალ-ბარა*“.⁸ ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა საზოგადოება გამიზნულად ადანაშაულებს ისლამს, რათა მხარდაჭერა გამოხატონ იმ საერთაშორისო კანონების მიმართ რის საფუძველზეც ხორციელდება აგრესიული საზოგადოების მიერ შემწყნარებლური ჯგუფების ვალდებულებებში მოქცევა.

7

8

ზოგადად ეს კონცეფციები წარმოშობს შემდეგი სახის კითხვებს:

1. რატომ არის ადამიანი თავისი ქმედებების პასუხისმგებელი?
2. ვართ ჩვენ პასუხისმგებელნი, მაშინ როდესაც ჩვენი ქმედებები ალლაჰის ნებითაა?
3. შესაძლებელია ვიყოთ პასუხისმგებელნი, როდესაც არაფერი არ ხდება ალლაჰის ნების გარეშე?
4. როგორ ვიქნებით პასუხისმგებელნი, როდესაც არ შეგვიძლია წინასწარ განსაზღვრულისგან (ბედისწერის) განსხვავებით მოქმედება?
5. როგორია იმქვეყნიური განკითხვა, ჯილდო და სასჯელი?
6. არის თუ არა ჯიჰადის ერთ-ერთი მნიშვნელობა, ბრძოლა მათ წინააღმდეგ ვინც არ მიიღო ისლამი?
7. ნიშნავს თუ არა „ალ-ვალაა“ აუცილებელ თანადგომასა და სიყვარულს?
8. ნიშნავს თუ არა „ალ-ბარაა“ აუცილებელ სიმუღვილსა და მტრობას?

რატომ არის ადამიანი თავისი ქმედებების პასუხისმგებელი?

ვინაიდან ალლაჰმა ადამიანს უბოძა წყალობათა სიუხვე, მას საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ქმედების ვალდებულება აკისრია. ამათგან ადამიანის დედამიწაზე ხალიფად⁹ გაჩენა¹⁰ და იქ არსებული სიკეთეებისგან სარგებლის მიღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალობაა. გამოცდის სახით, ღმერთმა ადამიანს დაუწესა ზღვარი, ამის გამო მას ამქვეყნიური დროებითი ბედნიერების მოპოვების მიზნით მათი გადაკვეთა ეკრძელება, რათა მოიპოვოს სამუდამო კეთილდღეობა სამოთხეში. ყველაზე ნიშნულელოვანი ჯილდო, რომელიც ადამიანს სხვა ქმნილებებისაგან განასხვავებს შემდეგია: განსჯის უნარი, რელიგია და ნების თავისუფლება.

ღმერთმა გააჩინა მოაზროვნე და პასუხისმგებლობის მქონე არსებები (ადამიანები და ჯინები) და მათ მისცა განსაკუთრებული უნარი გარესამყაროს აღქმისა და მოვლენების გასჯისა, და კიდევ უნარი იმისა, რომ მიღებული ცოდნა გამოიყენოს აწმყოსა და მომავალში. უზენაესმა ალლაჰმა მოაზროვნე არსებებს მისცა შესაძლებლობა იმისა, რომ ჩაწვდნენ მის ბრძანებებს, რაც მოუტანს მათ სიკეთესა და ნეტარებას. და გააბრთხილა ბოროტების შესახებ, რომელიც იქნებოდა დამღუპველი შედეგის მომტანი. ადამიანზე მინიჭებული განსჯის უნარი არის ალლაჰის უდიდესი ჯილდო, რომლის მიმართ ადამიანს აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა. არც ერთი საღად მოაზროვნე ქმნილება არ ისურვებდა ამ ჯილდოსგან თავის არიდებას: გახდეს არაგონიერი, ბავშვისავით სუსტი გონების ან სულიერი ნაკლის მქონე - ამ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით.

ღმერთმა ადამიანს დაბადებიდანვე მიანიჭა უნარი ჭეშმარიტი გზის განსაზღვრისა. შუამავალი მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ჰადისში ბრძანებს: *„ყოველი ახალშობილი იბადება სპეტაკი ბუნებით, ხოლო მშობლების ზეგავლენით ხდება იუდეველი, ქრისტიანი ან მაზდეანი.“*¹¹ ალლაჰმა ადამიანი შუამავალების მეშვეობით აღჭურვა ჭეშმარიტებისკენ მიმავალი სწავლებებით, რათა მათთვის შეეხსენებინა ის აღთქმა, რომელიც მათ სულებს დაადებინა¹² და აღეჭურვა იმ დეტალური სწავლებებით, რომლებიც ამ ქვეყნიური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. არცერთ გონიერ ადამიანს არ შუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ ღმერთმა ადამიანს მისცა ნების თავისუფლება. აქედან გამომდინარე ადამიანი თავად ირჩევს მუდმივ სამყოფელს იმ ქვეყნად. ალლაჰი ბრძანებს: *„ჭეშმარიტება თქვენი ღმერთისგანაა, ამის შემდეგ ვინც ინებებს ირწმუნებს, და ვინც ინებებს უარყოფს. უეჭველად ჩვენ გავამზადეთ უსამართლოსათვის ცეცხლი. ხოლო, რომელთაც*

¹¹ ბუხარი,

¹² ყრანი, 7/172.

ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, უეჭველად ჩვენ არ დავუკარგავთ საზღაუს მათ!“¹³ არჩევანის თავისუფლების ღირებულებას უკეთესად რომ ჩავწვდეთ, სასურველია გავიაზროთ თუ რა არის ნებისმიერი ომის მიზეზი. ომი, ეს არის ბრძოლა თავისუფლებისთვის, რათა მოიპოვო ან დაიცვა ის.

ვართ ჩვენ პასუხისმგებელნი, მაშინ როდესაც ჩვენი ქმედებები ალლაჰის ნებითაა?

ამ კითხვაზე პასუხი დაკავშირებულია არაბული ტერმინის „ალ-ყადაა“-ს ფუძისგან წარმოებულ სიტყვებთან და სინონიმებთან, რომლის ინტერპრეტირება შესაძლებელია როგორც ბუნების კანონზომიერება. შუამავალი მუჰამედი (ს.ა.ვ.) ჰადისში ბრძანებს: „ბედისწერას ვერაფერი შეცვლის თუ არა ვედრება“.¹⁴ ამის მაგალითია მუჰამედ შუამავლის გადმოცემა, რომლის თანახმადაც - სამი მამაკაცი იმყოფებოდა გამოქვაბულში, რომლის შესასვლელი მძიმე ლოდით ჩაიხერგა. ალლაჰზე ვედრებით, მათ მოახერხეს შეხების გარეშე შესასვლელი ლოდისაგან გაეთავისუფლებიათ.¹⁵ ამას ადასტურებს შუამავალი მუჰამედის შემდეგი სიტყვები: „ბედისწერის შემცვლელი რაიმე რომ ყოფილიყო, ეს იქნებოდა ავი თვალი“.¹⁶

სიტყვა „ალ-ყადაა“ - ს ძირითად ისლამურ წყაროებში ორი მნიშვნელობა აქვს:

1. შარიათისეული კანონები, რომელის დაცვის ვალდებულება ადამიანს აკისრია, თუმცა თავისუფალი არჩევანის მეშვეობით მას საპირისპიროდ მოქმედებაც შეუძლია.
2. ღვთის გარდაუალი ბრძანებები, რომელსაც გააჩნია უდიდესი გავლენა. ალლაჰის ბრძანებაზე ცეცხლის მორჩილება ამის საუკეთესო მაგალითია: „**ჩვენ**

¹³ ყურანი, 18/29.

¹⁴ თირმიზი, ყადერ

¹⁵ იხ. ნავავი იხლას ვე ნიეთ;

¹⁶ იბნი ყაიმ ალ-ჯეჯი, ტიბზ

ვთქვით: ჰეი ცეცხლო! იქმენ სიგრილედ და უვნებლად იბრაჰიმის მიმართ.“¹⁷ ამ ბრძანებას ცეცხლი იმწამსვე დაემორჩილა და იქცა გრილად და უვნებლად იბრაჰიმის (აბრაამი) მიმართ. ამ ფაქტს გარკვევით გადმოგვცემს შემდეგი აიათიც: „იგია ცათა და ქვეყნის გამჩენი და თუ რამ განიზრახა, საკმარისია უთხრას მას: იქმენ! და უმაღვე იქმნება.“¹⁸ აქედან გამომდინარე, სიტყვა „აღ-ქადაა“- შესაძლებელია იყოს გარდაუალი ბრძანება, ან ბუნების კანონზომიერება, რომელიც ალლაჰმა მიზეზისა შედეგის ერთობრიობად შექმნა. ადამიანს ბუნებრივი კანონზომიერების შედეგზე პასუხისმგებლობა არ აკისრია, თუ თავად არ აირჩევს შედეგის გამომწვევ მიზეზს.

ბუნების კანონზომიერების მაგალითია, ფეხის ტერფის გასწვრივ ქვის ასროლა (მიზეზი) რათა დაეცეს ტერფს (შედეგი). ამ შემთხვევაში შედეგის შეცვლა შეუძლებელია, თუ ჩვენ ბუნების სხვა კანონზომიერებას არ მივმართავთ: ან ტერფი უნდა გავაცილოთ საწყის მდგომარეობას ან ვარდნილ ქვას უნდა შევუცვალოთ ტრაექტორია.

სამყარო ალლაჰის შექმნილია და იგი მისი ბრძანებით ბუნების კანონზომიერებას ემორჩილება და ავტომატურად იმართება. ბუნების კანონები კომპლექსური და განსხვავებულია: ცეცხლს შეუძლია წყალი ორთქლად გადააქციოს, მაგრამ წყალს ცეცხლის ჩაქობა შეუძლია. მიუხედავად იმისა რომ სითბო მნიშვნელოვანია, ალლაჰმა წყალი ცოცხალი ორგანიზმების საარსებოდ გააჩინა. ალლაჰი ბრძანებს: „**ნუთუ ვერ დაინახეს, რომელთაც უარყვეს, ჩვენ ერთმანეთისაგან დავყავით, და გავაჩინეთ ყველა სულიერი წყლიდან.**“¹⁹

უფრო მეტი ნათელი რომ მოეფინოს აღნიშნულ საკითხს, განვიხილოთ ავტომატური სისტემის მაგალითი. არსებობს მექანიკური საათის სახეობა რომელიც

¹⁷ ყურანი, 21/69.

¹⁸ ყურანი, 2/117.

¹⁹ ყურანი, 21/30

არ საჭიროებს ხელოვნურ მოწყობას, ელემენტს ან სხვა გარე ენერგიის წყაროს. ის მუშაობს ავტომატურად ორი ზამბარის მეშვეობით. როდესაც ერთ - ერთი ზამბარა მოეშვება მეორე დაიჭიმება, ან პირიქით. ეს მუდმივი მოძრაობები ქნის საათის ისრების გადაადგილების ენერგიას, რის შედეგადაც სათი გვჩვენებს დროს. ვიდრე საათი მუშაობს, საათის სისტემაში ჩაუხედავად დარწმუნებულნი ვართ, რომ როცა ერთ-ერთი ზამბარა დაჭიმულია, ამ დროს მეორე ზამბარა მოშვებულია. აგრეთვე ჩვენთვის მარტივია გამოვიცნოთ, როცა საათის ისრები ღამის 01:00 საათს უჩვენებს, გარკვეული დროის შემდეგ ისრები 02:00 საათსაც გამოსახავს და ა. შ. ეს არის ცოდნა იმისა, რაც მომავალში აუცილებლად მოხდება. მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ ხელოსანი რომელმაც საათი შექმნა გარკვეული დროის შემდეგ მასზე კონტროლს კარგავს, თუმცა ალლაჰი საკუთარ ქმნილებებს მუდმივად აკონტროლებს.

უეჭველად მთლიანი სამყარო და მათ შორის ადამიანი თავისი ქმედებებით ალლაჰის შექმნილია. იმამი აბუ ჰანეფი ბრძანებს: „თუ ქმედების სუბიექტი ალლაჰის შექმნილია, შესაბამისად ქმედებებიც ალლაჰის მიერ შექმნილია“.²⁰ ეს ფაქტი არ ნიშნავს, რომ ადამიანი პასუხისმგებელია საკუთარი ქმედებისა რომელსაც არ გააჩნია რაიმე მოტივი, არამედ იგი პასუხისმგებელია კონკრეტული შედეგის მიზეზზე, რომელიც თვითონ აირჩია.

ქვემოთ მოცემული მაგალითში განხილულია ადამიანის როლი და თავისი ქმედებების პასუხისმგებლობის საკითხი. წარმოვიდგინოთ, მასწავლებელს სურს, რომ შეაფასოს მოსწავლის უნარები, თუ როგორ გამოიყენებს არსებულ ცოდნას, დროსა და შესაძლებლობებს. მასწავლებელს შეუძლია ტესტის ისეთი სახით შედგენა, რომელთაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის უნარების 0%-დან 100%-დე სრულად შეფასება. ტესტის გამარტივების მიზნით მასწავლებელი მრავლიდან შერჩევადი ფორმის კითხვარს შეადგენს, სადაც თითოეული კითხვა რამდენიმე პასუხს მოიცავს.

²⁰ აბუ ჰანიფა, ფიჰკ, გვ. 45

უფრო კონკრეტულად, მასწავლებლის მიერ შედგენილი თითოეული კითხვის პასუხები იწყება საუკეთესო ვარიანტით და ყველაზე ცუდით მთავრდება.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა კითხვა და პასუხი მასწავლებელმა შეადგინა, მას ზოგიერთი მოსწონს, ზოგი მისაღებია, ხოლო ზოგი მიუღებელია კიდეც. მოსწავლის დავალებაა მოცემული პასუხებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი ვარიანტები, რისთვისაც დაიმსახურებს ჯილდოს ან სასჯელს.²¹ მასწავლებელმა მოსწავლეს სწორი და არასწორი პასუხების ყველა შესაძლო ვარიანტი შესათავაზა, ხოლო არჩევანი მოსწავლის თავისუფალ ნებაზე დატოვა. არასწორი არჩევანის შემთხვევაში შუძლებელია მასწავლებლის დადანაშაულება, პირიქით ტესტის ასეთი ფორმით შედგენისათვის იგი კომპლიმენტს იმსახურებს.

შესაძლებელია ვიყოთ პასუხისმგებელი, როდესაც არაფერი არ ხდება ალლაჰის ნების გარეშე?

ალლამა ადამიანს ნების თავისუფლება უწყალობა, შესაბამისად პასუხისმგებელია თავისი არჩევანის. თუმცა ალლაჰის ნების გარეშე არაფრის გაკეთება არ შუძლია. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „და ვერაფერს ისურვებთ, თუ არაა ნება ალლაჰისა, სამყაროთა ღმერთისა.“²²

როგორ შეიძლება დაეკისროს ადამიანს თავისი ქმედების პასუხისმგებლობა?

თუ ვთანხმდებით, რომ ალლაჰმა შექმნა ვალდებულებების მქონე არსებები და მისცა წყალობათა სიუხვე, მათ შორის აზროვნების უნარი, რელიგია და არჩევანის თავისუფლება, მაშინ იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ ნებისმიერ დროს ალლაჰს ამ წყალობის უკან წაღებაც შეუძლია. ალლაჰი ნებას აძლევს ადამიანს ისარგებლოს ამ წყალობებით, თუმცა მათი სწორად და არაწორად გამოყენების პასუხისმგებლობა თავად ადამიანს აკისრია.

²¹ იხ. იბნი თეიმია, მეჯმულ, ტ. 8 გვ. 123

²² ყურანი, 81/29.

უფრო გასაგებად რომ ჩამოვყალიბოთ ეს საკითხი, განვიხილოთ შემდეგი სახის სიტუაცია. წარმოვიდგინოთ თქვენ გყავთ უმცროსი ძმა, რომელსაც მითითებების გაგება შეუძლია (განსჯის უნარი). თქვენ მის წინ დგამთ თეფშით საჭმელს და მიკრობებიან სათამაშოს. აგრეთვე აუხსენით, რომ საჭმელი თავისი ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა, ხოლო სათამაშოზე შეხება მავნებელია (ინსტრუქცია). შემდეგ მას აძლევთ თავისუფალ ნებას, რათა გააკეთოს საკუთარი არჩევანი (არჩევანის თავისუფლება). მთელი სიტუაცია თქვენს კონტროლს ექვემდებარება, შესაბამისად თქვენ შეგიძლიათ ჩაერიოთ და აიძულოთ უმცროსი ძმა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. მაგრამ, თუ ის აირჩევს სათამაშოს და ავად გახდება, დანაშაულზე პასუხისმგებლობა თავად ეკისრება. ეს არის არჩევანის თავისუფლება, რისთვისაც ვკამათობთ, ვიბრძვით და ვცხოვრობთ.

როგორ ვიქნებით პასუხისმგებელნი, როდესაც არ შეგვიძლია წინასწარ განსაზღვრულისგან (ბედისწერის) განსხვავებით მოქმედება?

სიტყვა „ალ-ყადარ“ და მისი ფუძისგან წარმოებული სიტყვები და სინონიმები სხვადასხვა წმინდა ტექსტებშია გამოყენებული. მათ შორის შუამავალ მუჰამედის სიტყვებში როდესაც მან გაბრიელი (ჯებრაილი) (ა.ს.) პასუხი გასცა კითხვაზე: თუ რას ნიშნავდა რწმენა? შუამავალმა უპასუხა: *„რწმენა ერთი ღმერთის, მისი ანგელოზების, წმინდა წიგნების, შუამავლების განკითხვის დღის, ასევე რწმენა იმისა, რომ ცუდიც და კარგიც ღმერთის ნებით ხდება* (ალ-ყადარ).²³

სიტყვა „ალ-ყადარ“-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1) პირველი მნიშვნელობა „ალ ყადარ“-ს (ბუნების კანონზომიერება) ექვივალენტია. 2) მეორე მნიშვნელობით, ის არის წერა იმისა, რაც უნდა მოხდეს მომავალში ალლაჰის აბსოლუტური ცოდნიდან გამომდინარე. იმამი აბუ ჰანიფე ამ საკითხს შემდეგნაირად განმარტავს; „იგი დაწერილია, როგორც მომავლის აღწერა და არა მაიძულებელი ბრძანება.“²⁴ უფრო

²³ მუსლიმ, იმან

²⁴ აბუ ჰანიფა, ფყჰ, გვ.39.

კონკრეტულად, ალლაჰს არ უბრძანებია ადამიანისთვის ზუსტად ასე იმოქმედო, არამედ ღმერთმა კალამს უბრძანა დაეწერა თუ რას გააკეთებდა ადამიანი ცხოვრების განმავლობაში, ეს ყველაფერი აღებულია ალლაჰის განუსაზღვრელი ცოდნისგან, რაც დროში, სივრცეში და შეზღუდული ადამიანისთვის მიუწვდომელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის ცოდნა დროში შეზღუდულია. რაც იმას ნიშნავს, რომ საგნებისა თუ მოვლენების აღქმა ადამიანისთვის თანდათანობით არის შესაძლებელი. მაგალითად, თუ ადამიანს სურს, რომ ქაღალიდის ფურცლის ფორმა გაიგოს, ის ჯერ შეხედავს ფურცლის ერთ მხარეს, ხოლო შემდეგ მეორე მხარეს, რასაც ბუნებრივია დრო სჭირდება.

ზოგადად, განასხვავებენ ადამიანის ცოდნის ოთხ ტიპს:

1. ცოდნა რომელიც ადამიანმა წარსულში მიიღო, რომელიც ნაწილობრივ ან სრულ დავიწყების წინაშე დგას.
2. ცოდნა, რომელის შეძენა აწმყოში ხდება. იგი ყველაზე მკაფიო ცოდნად ითვლება. იმ მასწავლებლისთვის რომელმაც ტესტები გაასწორა, მიღებული შედეგები აწმყოა, ხოლო მოსწავლეებისთვის უცნობი მომავალი.
3. მომავალში შესაძენი ცოდნა, რომელიც უცნობია სანამ ის არ იქცევა აწმყოდ ან წარსულად.
4. რაიმეს მიმართ წარმოსახვითი ცოდნა, რომელიც მომავალში შესაძლოა განვითარდეს, თუ არსებობს შესაფერისი წინაპირობები.

ღმერთის ცოდნასთან მიმართებაში ყველაფერი აწმყოა, მისთვის არ არსებობს არანაირი წარსული ან მომავალი.

ადამიანის ცოდნა სივრცეში შეზღუდულია. მაგალითად, ის ვინც სიმაღლიდან იყურება უფრო მეტი რამის დანახვა შეუძლია ვიდრე იმას, რომელიც შედარებით დაბალ ადგილზე იმყოფება. გზაჯვარედინზე მდგომს უფრო მეტის დანახვა შეუძლია

ვიდრე იმას რომელიც ერთ ქუჩაზე დგას. შესაბამისად, ზოგისთვის საგნები პირველივე დანახვაზე ხდება ცოდნის ნაწილი, ხოლო ზოგისთვის არ არსებული რამეა.

თუმცა, უზენაესი ალლაჰის ცოდნა არ არის შეზღუდული დროსა და სივრცეში. შეუძლებელია რაიმე ალლაჰის ცოდნის მიღმა არსებობდეს, ალლაჰმა უწყის ყველაფრის შესახებ, მისი ცოდნა ყველაფრის მომცველია.

ადამიანის ცოდნა შეზღუდულია, ვინაიდან მას ინფორმაციის აღქმის საშუალებები შეზღუდული აქვს. ზოგიერთ მწერს და ცხოველს აღქმის უნარი უფრო მეტად განვითარებული აქვს, ვიდრე ადამიანს. ცნობილია, რომ კატას სიბნელეშიც დანახვა შეუძლია, ხოლო ძაღლს ყნოსვის უნარი კარგად აქვს განვითარებული.

უზენაესი ალლაჰის ცოდნა არ არის შეზღუდული. ის ყოველმხრივ სრულყოფილია. ალლაჰი ბრძანებს: „და რა მდგომარეობაშიც უნდა იყო და რასაც უნდა კითხულობდე ყურანიდან, და რა საქმითაც უნდა იყო დაკავებული, როგორც უნდა ჩაიძიროთ მასში, ჩვენ უთუოდ მოწმედ ვართ თქვენდა, არაფერია დაფარული შენი ღმერთისაგან არც კაცდა შინა და არც ქვეყანასა ზედა, თუნდ იყოს იოტისოდენა, ან მასზე მცირე ან მეტი, რომ არ იყოს ცხად წიგნში.“²⁵

„ალ-ყადარ“ არის სამყაროში მიმდინარე მოვლენების სრულყოფილი ჩანაწერი, რომელიც გამომდინარეობს უზენაესი ალლაჰის განუსაზღვრელი ცოდნიდან, რაც არ არის დამოკიდებული დროზე, სივრცეზე და გრძნობებზე. ეს ჩანაწერი არ არის მაიძულებელი სახის, რომლისგან განსხვავებულად მოქმედება შეუძლებელია, თუმცა იგი უშეცდომო ჩანაწერია. აქედან გამომდინარეობს შემდეგი სახის შეხედულება: „წინდახედულობით შეუძლებელია ბედისწერის აცილება“, ან „არავის შესძევს ძალა გაექცეს ბედისწერას/წინასწარგანსაზღვრულს“. (ე.ი. რაც წინასწარ დაწერილია).

²⁵ ყურანი, 10/61.

უკეთესად რომ გავიგოთ ეს საკითხი განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: შენი მეგობრის მოგზაურობისთვის აგროვებ დეტალურ ინფორმაციას, თუ რა სახის აქტივობების შესრულება შეეძლება მოგზაურობის განმავლობაში. მის გამგზავრებამდე აკეთებ დეტალურ ჩანაწერს. და თუ შენი ჩანაწერის შესაბამისად განხორციელდება ყველაფერი, განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ შენ აიძულე?

მორწმუნეს სწამს რომ, ალლაჰი არავის მოექცევა უსამართლოდ. რადგანაც უზენაესი ალლაჰი ბრძნებს: „ვინც ჰქმნა სიკეთე, თავის სასიკეთოდაა. ხოლო ვინც ჰქმნა ავი, იგი თავის საზიანოდაა. და როდია შენი ღმერთი, უსამართლო თავის მსახურთა მიმართ?!“.²⁶ შეიძლება ყურანისა და სუნნეთის მკითხველმა შემთხვევით არასწორად გაიგოს სამყაროში მოსახდენი მოვლენების შესახებ წინასწარი ჩანაწერი და იფიქროს, რომ ეს არის მაიძულებელი. თუმცა, ალლაჰის ეს სიტყვები საკმარისად მკაფიო არგუმენტია რათა აღმოვხვრას ყოველგვარი ეჭვი და არასწორი წარმოდგენები.

როგორია ამქვეყნიური განკითხვა, ჯილდო და სასჯელი?

მუსლიმს მტკიცედ სჯერავს, რომ ღმერთმა მოაზროვნე არსებები (ადამიანები და ჯინები) განსხვავებულ ქმნილებად გააჩინა და მათ უთვალავი წყალობა უბოძა. თუმცა ღმერთმა ადამიანებს დაუწესა პასუხისმკებლობა იმ წყალობათა მიმართ, რაც მათ სიკეთესა და ნეტარებას მოუტანს.

ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება, არის სამართლიანად შექმნილი გამოცდა, რის საფუძველზეც ადამინი დაიმსახურებს ჯილდოს ან სასჯელს. შესაბამისად ამქვეყნიური ცხოვრება არის ტესტირების პერიოდი, ხოლო სამუდამო სამყოფელი ჯილდოსა და სასჯელის პერიოდია. ადამიანმა სწორი დამოკიდებულებები უნდა იქონიოს ამქვეყნურ სიკეთეებისა და უბედურებების მიმართ, რათა მოიპოვოს

²⁶ ყურანი, 41/46.

ნეტარება სამუდამო სასუფეველში. თუ ადამიანი ბოძებულ ჯილდოს სწორად გამოიყენებს და ამასთანავე როგორც ალლაჰი ბრძანებს ამქვეყნიურ ხვედრსაც არ დაივიწყებს, ის განუსაზღვრელ ჯილდოს დაიმსახურებს. ხოლო თუ ის ალლაჰის მიერ მისთვის მოვლენილ სირთულეებსაც მოთმინებით აიტანს, ასევე მას უზენაესი სათანადოდ დააჯილდოებს.

ამ ქვეყნიური გამოცდის სირთულე იმიაში მდგომარეობს, რომ დროებითი კეთილდღეობა უპირატესია ადამინისთვის, რადგან იმქვეყნიური ნეტარება შორეულ პერსპექტივად მიაჩნია. შესაბამისად, მოაზროვნე არსებებმა, უარი უნდა თვან მაცდურ ამქვეყნიურ დროებით სიამოვნებაზე, რათა მოიპოვონ სამომავლო შედარებით გვიანი, თუმცა მუდმივი კეთილდღეობა. *შუამავალი მუჰამედი (ს.ა.ვ) ბრძანებს: „ჯოჯოხეთის ირგვლივ არის ისეთი რამეები რომლისკენაც ადამიანის ვნებები მიილტვის, ხოლო სამოთისე ირგვლივ არის ისეთი რამეები რაც ადამიანის ვნებებს არ მოსწონს.“*²⁷ შესაბამისად, პასუხისმგებლობის მქონე არსებამ მის ხელთ არსებული ამქვეყნიური დროებითი სიკეთეები ზოგჯერ უნდა გაიღოს რათა მოიპოვოს იმქვეყნად მარადიული კეთილდღეობა. ასევე, ვალდებულია სძლიოს საკუთარ ვნებებს და მოითმინოს რელიგიური ვალდებულები რათა აღმოჩნდეს იმათ გვერდით ვინც წარმატებით გაივლის ამქვეყნიურ გამოცდას. ადამიანი უნდა იყოს მზად იმისათვის, რომ გაუძლოს სატანის და მის მომხრე ადამიანისა და ჯინების მზაკვრულ ცდუნებებს, რომელიც დღედაღამ ბრძოლობენ იმისთვის, რომ მორწმუნე დამარცხებულთა შორის აღმოჩნდეს. ალლაჰის წინაშე ყველა ამ ქვეყნიური სიამოვნება თხის ლეშზე და ბუზის ფრთაზეც უფრო ნაკლებ ღირებულია.

ადამიანმა ანუ გონიერმა არსებამ, არჩევანი უნდა გააკეთოს მწარე ჭეშმარიტებასა, რომელსაც რიცხვობრივად ნაკლები მომხრე ჰყავს და ტკბილ სიცრუეს შორის რომელსაც რიცხვობრივად მეტი მომხრე ჰყავს.

²⁷ ბუხარი, 8/327

ფრიად საყურადღებოა, რომ ადამინზე დაკისრებული პასუხისმგებლობა არ ეფუძვნება კონკურენციის პრინციპს, არამედ იგი აგებულია ინდივიდის ძალისხმევაზე. მაგალითისთვის განვიხილოთ ორი ინდივიდის მდგომარეობა: პიროვნება რომელიც სიცოცხლის ბოლო პერიოდში გახდა მუსლიმი და პიროვნება რომელიც მუსლიმად დაიბადა. მუსლიმს გატარებული წლების რაოდენობა პრივილეგიად ჰქონდა, თუმცა ორივე მათგანს სამოთხის მოპოვების ერთნაირი შესაძლებლობა აქვთ, თუ კი ორივე ჭეშმარიტ გზას გვერდს არ აუვლის.

ამ ქვეყნიური ცხოვრება სკოლაში საგამოცდო ტესტისთვის განკუთვნილ დროს ჰგავს, ცოტაოდენი განსხვავებებით. მოსწავლემ იცის კონკრეტული დრო, რომელიც განსაზღვრულია ტესტირებისათვის, და უფლებამოსილია ტესტი ნებისმიერ დროს დაასრულოს. თუმცა დრო, რომელიც სიცოცხლისათვის დათმობილია უცნობია და აგრეთვე ინდივიდს არ შეუძლია საკუთარი სურვილისამებრ ტესტირების დასრულება. შესაძლოა სწორედამ ამიტომაც ჯილდო და სასჯელიც მარადიული და ძალიან მცირე ძალისხმევამაც კი შეიძლება განსაზღვროს საბოლოო სამყოფელი.

ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს ინტერესი ამ ფაქტთან დაკავშირებით, რომელსაც შუამავალი მუჰამმედი შემდეგნაირად ადასტურებს: *„შესაძლოა ადამიანის ქცევა სამოთხის მკვიდრთა ქცევების მსგავსი იყოს, მაგრამ ის ჯოჯოხეთის მკვიდრთაგანი იყოს. ასევე, შესაძლებელია ადამიანი იქცეოდეს ისე როგორც ჯოჯოხეთის მკვიდრნი იქცევიან, მაგრამ ის სამოთხის მკვიდრთა რიგებში აღმოჩნდეს. ჭეშმარიტად, ადამიანის სიცოცხლის ბოლო ქცევები განმსაზღვრელია.“*²⁸ რაც ნიშნავს, რომ საბოლოო საქციელი უაღრესად მნიშვნელოვანია. საკითხის უკეთესად გააზრებისათვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

დავუშვათ თქვენ ხართ მასწავლებელი, რომელიც მოსწავლის ტესტის პასუხებს ასწორებს. თავდაპირველად მოსწავლემ კითხვების უმრავლესობას სწორად უპასუხა. ხოლო, შემდეგ სწორი ვარიანტები გადახაზა და არასწორი პასუხები აირჩია. როგორ

²⁸ ბუხარი, 8/330-1

მოიქცეოდით ამ შემთხვევაში? მიანიჭებდით ქულას თავდაპირველად არჩეულ სწორ პასუხებს, რომლებიც შემდგომში მოსწავლემ გადახაზა, თუ საბოლოო პასუხების მიხედვით შეაფასებდით?

ყველა ტესტირებას გააჩნია კრიტიკული შეფასება, რომლის მიხედვით განისაზღვრება თუ ვინ არის წარმატებული და ვინ დამარცხებული. და ეს კრიტიკული შეფასების რუბრიკა გარკვევით არის მოცემული წმინდა ყურანში: **“ვინც ჰქმნა სიკეთე, თავის სასიკეთოდაა. ხოლო, ვინც ჰქმნა ავი, იგი თავის საზიანოდაა. და როდია შენი ღმერთი, უსამართლო მსახურთა მიმართ?!”. „ყველა სული იგემებს სიკვდილს და ყველა თქვენგანი საზღაურს სრულად მიიღებს აღდგომის დღეს. და ვინც მოშორებული იქნება ცეცხლს და სამოთხეში შეყვანილი, ის ჭეშმარიტად, მოგებულია (გადარჩენილია). ხოლო ამქვეყნიური ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა აყოლა მაცდუნებელ სიტკბოებაზე”.**

უეჭველად ალლაჰი მისი ქმნილებების მიმართ შენმდობი და მწყალობელია. იგი ადამიანებს სიცოხლის ბოლომდე მონანიების საშუალებას აძლევს, რათა აიცილონ განსაზღვრული სასჯელი. და თუ იქნება უზენაესი ალლაჰის ნება, ადამიანს ეპატიება ჩადენილი ცოდვები, იმ შემთხვევაში თუ იგი არ აღიარებს სათაყვანებელ ღვთაებას გარდა ალლაჰისა და არ სცნობს მაში ისეთ თისებებს რაც მხოლოდ ალლაჰისთვის არის დამახასიათებელი. შესაძლებელია სასჯელი ჯილდოთი ჩაენაცვლოს, თუმცა არ არსებობს პატიების აბსოლიტური გარანტია. შესაბამისად, ადამიანმა არ უნდა დაზოგოს ძალისხმევა რათა გადაირჩინოს საკუთარი თავი ჯოჯოხეთისგან და ალლაჰის ბრძანებების შესრულებით, აკრძალულებზე თავის არიდებით, მის წინაშე მიღებული ქცევებით თავი დაიმკვიდროს სამოთხეში. ალლაჰის მიერ ადამიანისთვის განკუთვნილი სამომავლო ჯილდო იმდენად ძვირფასია, რომ არა ალლაჰს წყალობა, ჩვენი სწორი ქცევებითაც კი მისი დამსახურება შეუძლებელია. ხოლო, უმადურთათვის და მათთვის ვინც უარყოფს ალლაჰის ბრძანებებს და თავს არ არიდებს ცოდვის ჩადენას განკუთვნილია სასტიკი სასჯელი.

ამასთან დაკავშირებით შუამავალი მუჰამმედი (ს.ა.ვ.) სამოთხის აღწერისას შემდეგნაირად გამოგვცემს: „აღლაჰი ბრძანებს: მე ჩემს მსახურებს მოვუმზადე ჯილდო, რომელის მსგავსი ჯერ თვალს არ უნახია, ყურით არ გაგონილა, და ადამინის მიერ მისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია.“²⁹ აგრეთვე წმინდა ყურანში ვკითხულობთ: „ვერც ერთი სული ვერ უწყის რა სიამეებია დაფარული მათ თვალთაგან იმის საზღაურად, რასაც ისინი იქმდნენ.“³⁰

ხოლო სასჯელის ყველაზე მცირე ფორმასთან დაკავშირებით შუამავალი (ს.ა.ვ.) განმარტავს: „განკითხვის დღეს, ცოდვილი ადამინის ტერფს ქვეშ განთავსებული იქნება მხურვალე ნაკვერჩხალი, რომლის შედეგადაც ტვინი დუღილს დაიწყებს. და ეს ყველაზე მცირე ფორმის სასჯელი იქნება“.³¹

ბუნებრივია იმქვეყნიური ჯილდოსა და სასჯელის ზომა და ხანგრძლივობა განსხვავებულია. რომელიც დამოკიდებულია ინდივიდის მიერ შესრულებული ღვთისმსახურების ხარისხზე და ჩადენილ დანაშაულებებზე.

არის თუ არა ჯიჰადის ერთ-ერთი მნიშვნელობა, ბრძოლა მათ წინააღმდეგ ვინც არ მიიღო ისლამი?

ჯიჰადის კონცეფცია წინააღმდეგობაში მოდის არაბულ ენაში არსებულ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობასთან: „ჯაჰადა“ (წინააღმდეგობა გაუწია) და იუჯაჰიდი (წინააღმდეგობას უწევს). როგორც ცნობილია, წინააღმდეგობა ეს არის წინარე ქმედებისგან გამოწვეული საპასუხო უწყვეტი უკუგდებითი რეაქცია. ეს ზმნა მსგავსია შემდეგი ზმნისა, „ყაავამა“ (გაუმკლავდა) „იუყაავამა“ (უმკვლავდება) და არა „ჰააჯამა“ (თავს დაესხა) „იუჰააჯიმუ“ (თავს ესხმის).

²⁹ ბუხარი, 4/306-7

³⁰

³¹ ბუხარი, 8/368

დღეს ჯიჰადი საზოგადოების დიდ ნაწილს არასწორად ესმის და ამდაგვარი გაგება საღი აზრისთვის მიუღებელია. შესაბამისად, მუსლიმებისთვის (თეოლოგები, მრევლი და ლიდერები) მიუღებელი იყო ისლამის დადანაშაულებზე, თითქოს იგი მახვილით გავრცელებულიყოს. ე. ი. ომი მათ წინააღმდეგ ვინც ისლამი უარყო, განურჩევლად უარყოფის ფორმისა.

უფრო მეტიც, ბრძოლა მათ წინააღმდეგ ვინც არ იზიარებს ისლამის ქადაგებას, ეწინააღმდეგება როგორც ღვთიურ ასევე კულტურულ და საერთაშორისო კანონებს.

მაგალითად ჯიჰადის ამდაგვარი გაგება წინააღმდეგობაში მოდის წმინდა ყურანის უამრავ ცხად აიათებთან, რომლებიც მეორე აზრს გამორიცხავს: **„იძულება არაა სარწმუნოებაში, ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩევა ცდომილებისგან.“**³² ამქვეყნიური გამოცდის დასრულებამდე არანაირი პასუხისგება არ არსებობს. იგი ასევე ეწინააღმდეგება უთვალავ აიათს რომლებიც ადასტურებს, რომ შუამავალს მხოლოდ ღვთის უწყების ადამინებზე გადაცემა ევალება: **„და თუ კიდევ ზურგს იქცევენ, ჩვენ ხომ არ წარგვიგზავნიხარ მათდა გუშაგად, რამეთუ შენზე ვალად მხოლოდ უწყების გადაცემაა“.**³³ სამყაროს გამჩენი ამშვიდებს მუჰამედ შუამავალს, როცა იგი წუხდა, რადგან ურწმუნოები არ ღებულობდნენ მის მოწოდებას: **„შენს ღმერთს რომ ენება, უთუოდ ყველა ერთბაშად ირწმუნებდა, ვინც კი დედამიწაზეა. მაშ შენ აიძულებ ხალხს, რათა იქმნენ მორწმუნენი?“**.

ჯიჰადის ამგვარი გაგება აგრეთვე ეწინააღმდეგება შუამავალის სანდო ჰადის, რომელიც შუამავალმა ტყვე ქალის დანახვის შემდეგ წარმოთქვა, რომელიც ბავშვს ძუძითი კვებავდა: **„ღმერთს უფრო მეტად უყვარს თავისი ქმნილებები ვიდრე დედას საკუთარი პირმშო“.** ჯიჰადის არასწორი გაგება ეწინააღმდეგება მუჰამედ შუამავალის (ს.ა.ვ) გულწრფელ სოლიდარობას, რომელიც შუამავალმა მტრულად განწყობილი ურწმუნოების არდაბადებულ თაობების მიმართ გამოხატა. ანგელოზმა

³² ყურანი, 2/256

³³ ყურანი, 42/48; 10/99

შუამავალს უთხრა, თუკი მისი სურვილი იქნებოდა ორ მთას თავდაყირა წამოაქცევდა და ურწმუნოებს ქვეშ მოამწყდევდა, თუმცა შუამავალმა უპასუხა: „არა, მე იმედი მაქვს, რომ შემდგომში მათი შთამომავლობი ერთ ღმერთს აღიარებენ და ეთაყვანებიან“.

ღმერთის სიყვარული თავისი ქმნილებების მიმართ და შუამავლის დამოკიდებულება ჯერ არგაჩენილ თაობათა მიმართ, შეუძლებელს ხდის იმის წარმოდგენასაც, თითქოს ისლამი ამართლებდეს მათ წინააღმდეგ ბრძოლას ვინც ისლამი არ მიიღო. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბრძოლით შესაძლებელია ურწმუნოთა სიკვდილის დაჩქარება, რაც მათ ამქვეყნად შესაძლებლობას უკარგავს მიიღონ ისლამი, რათა იყვნენ გადარჩენილთა შორის საიქიოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ საზოგადოებრივ ჯგუფს აქვს უნარი იძულებით თავს მოახვიონ სხვებს საკუთარი იდეოლოგია და რწმენა. შესაბამისად ღმერთი არ დაუშვებს წესებს, რის საფუძველზეც აგრესიული საზოგადოება მორჩილ, სუსტ საზოგადოებაზე საკუთარი იდეოლოგიის გავლენის შესაძლებლობა მიეცემოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველი ადამიანი ამქვეყნად ალლაჰის მიერ დაწესებულ გამოცდას გადის. გამოცდის ხანგძლივობა ადამიანის სიცოცხლის ტოლია და გამოცდის შედეგები მხოლოდ იმ ქვეყნად განიხილება. საგამოცდო დროის ამოწურვამდე არანაირი პასუხისმგებლობა არ არსებობს. აქედან გამომდინარე, რამდენად შესაძლებელია, რომ ღვთის მიერ დაწესებული გამოცდის პროცესში ჩავერიოთ და მონაწილეებს სწორი პასუხების დაწერა ვაიძულოთ?

ნიშნავს თუ არა „ალ-ვალაა“ აბსოლიტურ თანადგომასა და სიყვარულს?

სიტყვა „ალ-ვალაა“ და მის ფუძისგან წარმოებული სიტყვები აღნიშნავს ერთი მხარის მეორის მიმართ მეურვეობის ფლობას. სიტყვები „მავლა“ ან „ვალი“ შესაძლებელია გამოვიყენოთ ორივე მხარისთვის: მეურვე და მეურვეობის ქვეშ მყოფი.

არაბული სიტყვები „ვილააიაჰ“ და „ვალააიაჰ“ ერთი ფუძისაა, შესაბამისად მათ შორის ფუძისეულ მნიშვნელობაში განსხვავება არ არსებობს.

სიტყვები „ველაა“ ან „ველააიაჰ“ იყოფა რამდენიმე ნაწილად, ამათგან ყველაზე გამორჩეულია:

1. „ველააიაჰ“ (მეურვეობა), რომელსაც ალლაჰი ფლობს ყველა ქმნილების მიმართ, რადგანაც იგია სამყაროს მმართველი, ასევე ის არის უძლეველი თავის მსახურთა წინაშე. მისი ნების გარეშე ყველა უძლურია ვინმეს დაეხმაროს ან რაიმე ავნოს. ის არის აბსოლუტური მბრძანებელი, რასაც თან ახლავს თავისი ქმნილებების მიმართ შემწეობა, რასაც კონკრეტული კონტექსტი განსაზღვრავს .

2. მეურვეობა, რომელიც ქმნილებათა შორის ნებაყოფილების საფუძველზე ყალიბდება, როცა ერთი ხდება მეორის მეურვე, ან შეიძლება იყოს ცალმხრივი მეურვეობა.

3. მეურვეობა, რომელიც მხარეებს შორის თვითნაირი არჩევანისგან დამოუკიდებლად ყალიბდება. იგი შეიძლება იყოს ადამინებთა შორის მემკვიდრეობითი, როგორიცაა მამასა და შვილს შორის არსებული ურთიერთობა, ან შეძენილი მეურვეობა, რომელიც ყალიბდება მუსლიმ ქმარს და არამუსლიმ ცოლის შორის მიუხედავად განსხვავებული მრწამსისა.

იმის თქმა, რომ სიტყვა „ვილააიაჰ“ (მეურვეობა) აუცილებლ სიყვარულს ან თანადგონას გამოხატავდეს ეწინააღმდეგება უზენაესი ალლაჰის აიათებს: „უეჭველად, რომელთაც ირწმუნეს, გადასახლდნ და იბრძოლეს ალლაჰის გზაზე თავიანთი ქონებითა და თავიანთი სულით; და რომელთაც შეიფარეს და დაეხმარნენ მათ, ესენი არიან მეგობრები ერთმანეთისა. და რომელთაც ირწმუნეს და არ გადასახლებულან, მოვალენი არ ხართ დაიცვათ, ვიდრე არ გადასახლდებიან. ხოლო, თუ სარწმუნოების გამო დახმარება გთხოვონ ვალდებულნი ხართ დაეხმაროთ, გარდა

იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისთანაც შეთანხმება გაქვთ დადებული. რამეთუ ალლაჰი ხედავს, რასაც ჩადიხართ თქვენ!”³⁴ ყურანის ეს აიათი განმარტავს ორ მუსლიმ ჯგუფთა შორის არსებულ სიტუაციას, სადაც ერთი მეორის აუცილებელ თანადგომას არ მოითხოვს. ე.ი დამოუკიდებელ უმრავლესობაში მყოფ მუსლიმებს ვალდებულებად არ უწესებს ურწმუნოთა გარემოში უმცირესობაში მყოფ მუსლიმების მიმართ აუცილებელ თანადგომას. მაგრამ თუ უმცირესობაში მყოფი მუსლიმები დახმარებისთვის მიმართვენ უმრავლესობას თანადგომა ევალებათ. ეს ნიშნავს, რომ „ვილააიაჰ“ (მეურვეობა) თანადგომა ვალდებულებისგან თავისუფალია. ხოლო მორწმუნეთა შორის სიყვარული ყოველთვის სავალდებულოა. შესაბამისად, თუ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ სიყვარული „ვილააიაჰ“-ს (მეურვეობა) ნაწილია მაშინ „ვილააიაჰ“-ს სუარყოფა სიყვარულის აბსოლიტურად უარყოფაა, რაც აბსურდულია.

ამ აზრს ამყარებს შუამავლის შემდეგი სიტყვები: *“უეჭველად მეურვეობა ეკუთვნის იმას ვინც გაათავისუფლა მონა”*.³⁵ ე.ი. განმანთავისუფლებელს მონასთან მიმართებაში გარკვეული უფლება გააჩნია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ალ-ვალა“ ერთი პიროვნების მხრიდან მეორის უფლებების გარანტირებაა, რასაც თან არ ახლავს სიყვარულისა და დახმარების აუცილებლობა. უფრო მეტიც, „ვილააიაჰ“ არ არის დაკავშირებული შუამდგომლობასთან, დაცვასთან, წინამწდვრობასთან ან ახლო მეგობრობასთან. თუ განვიხილავთ შუამავლის ჰადისებს ჩვენ იგივე დასგვნას გამოვიტანთ.

წმინდა ყურანის ძალიან ბევრი აიათი და მათი კონტექსტი ამყარებს იმ აზრს, რომ მუსლიმებს ეკრძალებათ მათი თანადგომა და მეგობრობა, ვინც მუსლიმებს მტრობს თავიანთი მრწამსის გამო. თუმცა არამეგობრული ურთიერთობის არ არსებობა არ ნიშნავს სიძულვილსა და მტრობას. იგი ასევე არ ნიშნავს სიყვარულისა

³⁴ ყურანი, 8/72

³⁵ ბუხარი, 3/428

და ახლო ურთიერთობის არ არსებობას. ისლამი მოუწოდებს მუსლიმებს არამუსლიმთა გულის მოგებისაკენ, საერთო ინტერესების დაცვაში ურთიერთ თანამშრომლობისაკენ. ისლამი მუსლიმს ნებას რთავს არამუსლიმებისგან მხარდაჭერა მიიღოს მათ მიერ განვითარებული მეცნიერებით და ინფორმაციული მხარდაჭერით და ა.შ. რაც უარყოფით გავლენას არ მოახდენს მუსლიმის იმპეცეციურ ცხოვრებაზე.

ნიშნავს თუ არა „ალ-ბარაა“ აბსოლიტურ სიძულვილსა და მტრობას?

ტერმინი „ალ-ბარაა“ და მისი ფუძისაგან წარმოებული სიტყვები დაკავშირებულია „განცალკევებასთან“. ანუ ერთის განსხვავება მეორისაგან. მაგალითად, ბრალდებულის განსხვავება ბრალდებისაგან, მევალის ვალისგან გასხვავება, ან ყალბის განსხვავება ორიგინალისაგან. შესაძლებელია ის ასევე გულისხმობდეს პიროვნების განსხვავებას საგნებისაგან. ასევე პიროვნების განსხვავებას სხვა პიროვნებისაგან ან ჯგუფისაგან.

სიტყვა „ალ-ბარა“ (დისტანციურობა) არ ნიშნავს აბსოლიტურ მტრობასა სიძულვილს. ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა არის კავშირის არ ქონა ან კავშირის გაწყვეტა, შორს დგომა. ამის დამადასტურებელი მტკიცებულებებია შემდეგ აიათებში:

1. „და თუ ცრუდ შეგრაცხეს შენ, მაშინ უთხარი: ჩემი საქმე მე მეკუთვნის, და თქვენი თქვენ გეკუთვნით. თქვენ შორსა ხართ იმისგან, რასაც მე ვაკეთებ, და მეც შორსა ვარ იმისგან რასაც თქვენ აკეთებთ“.³⁶ აღნიშნული აიათი იმათგან შორს ყოფნას გვაუწყებს ვინც მსგავსი საქმით არიან დაკავებულნი.

2. „კარგი მაგალითი იყო იბრაჰიმი და ისინი, რომელნიც მასთან ერთად იყვნენ. აკი უთხრეს თავიანთ ხალხს: “უეჭველად ჩვენ მიღმა ვართ თქვენგან და

³⁶ ყურანი, 10/41

იმისგან, რასაც ეთაყვანებით მაგიერ ალლაჰისა.“³⁷ აღნიშნულ აიათში ღმერთმა ცალკე-ცალკე ახსენა ცრუ მრწამსის მიმართ შორს დგომა და იმ პიროვნებისგან შორს დგომა, რომელიც ამ რწმენის მინდევარია. ამ პიროვნების მიმართ შორს დგომა დამოკიდებულია მისი არასწორი რწმენიდან გამომდინარე და ეს დამოკიდებულება არ არის მუდმივი.

3. აგრეთვე ეს აიათი შემდეგ ნაირად გრძელდება: „...ჩვენ უარყავით თქვენ და დაიწყო ჩვენსა და თქვენს შორის მტრობა სიძულვილი სამუდამოდ, თუკი არ ირწმუნებთ ალლაჰს...“³⁸ ზემოთ აღნიშნულ აიათში მტრობაზე და შუღლზეა საუბარი. თუმცა, ერთის არსებობა არ ნიშნავს მეორის ავტომატურ არსებობას. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ სიძულვილი შესაძლოა არსებობდეს (ქცევის) ქმედების გარეშე. ხოლო, მტრული ქმედება შესაძლებელია იყოს განზრახვის გარეშე ან ჯავრისგან გამოწვეული. უნდა აღინიშნოს, რომ შუამავალი იბრაჰიმი (აბრაამი) სიძულვილსა და მტრობას ავლენდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პირველი ურწმუნოები წამოიწყებდნენ. ისინი არ დასჯილან იმისათვის, რომ მათ იბრაჰიმის მოწოდება უარყვეს, არამედ ჰქონდათ მტრული პოზიცია და სძულდათ იბრაჰიმი და მისი მიმდევრები. შესაბამისად, მსგავსი ურთიერთობა ავტომატურად შეწყდება თუ ურწმუნოები მხოლოდ ალლაჰს ეთაყვანებიან. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ აიათს: ეგების ალლაჰმა დაადგინოს თქვენსა და იმათ შორის, რომელთაც მტრობთ, მეგობრობა, რამეთუ ალლაჰი ყოვლის შემძლეა. და მიმტევებელია, მწყალობელია“.³⁹ აიათი ღიად ტოვებს შერიგების მიზეზს და არ აწესებს მორწმუნედ გახდომისათვის შეზღუდვებს.

ისლამი	სხვადასხვა	აღმსარებელობის	ადამიანებთან	მშვიდობიან	
ურთიერთობას	მოუწოდებს.	ვისაც	სწამს	ჰქმმარიტება,	ის სხვისი

³⁷ ყურანი, 60/4

³⁸ ყურანი, 60/4

³⁹ ყურანი, 60/7

კეთილდღეობისათვის ძალისხმევას არ უნდა იშურებდეს. მუსლიმს სხვადასხვა საზოგადოების მიმართ, რომელთაც განსხვავებული რელიგია გააჩნიათ, მშვიდობიან ურთიერთობის შენარჩუნების პასუხისმგებლობა აკისრია. მაგალითად, როდესაც მუჰამედ შუამავალი (ს.ა.ვ.) საკუთარი ბიძისგამო დამწუხრებული იყო მას შემდეგი აიათი მოეწვინა: „უეჭველად შენ ვერ დაადგენ სწორ გზაზე, ვინც გიყვარს. მხოლოდ ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტ გზაზე, ინებებს ვისაც, რამეთუ იგი უკეთ უწყის იმათ, რომელნიც სწორ გზაზე ადგანან.“⁴⁰

მიუხედავად ადამინების განსხვავებული მრწამსისა, მათი გრძნობები შესაძლოა შემდეგი აკატეგორიით განვიხილოთ: თანდაყოლილი სიყვარული (მამა და შვილი) ან შეძენილი სიყვარული (ცოლი და ქმარი) ან ბუნებრივი დაფასება (ურთიერთ სასიკეთო ქმედებები). განსხვავება შესაძლოა რომელიმე მხარის გაუგებრობიდან გამომდინარე, ან არასაკმარისი და არადამაჯერებელი ძალისხმევის შედეგი.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ნათელია, რომ თანადგომის (ალ-ვალაა) არ არსებობის შემთხვევაში, არ უნდა არსებობდეს განცალკევება მტრობა და შუღლი (ალ-ბარაა). არამხოლოდ ეს არამედ „ალ-ბარაა“-ს ცვალებადი ხარისხებიც არსებობს.

ეს ფაქტი ჰარმონიულად არის შეთანხმებული მუსლიმებისა და არაუსლიმების ურთიერთობის წესებთან, რომელიც ალლაჰმა დააკანონა: „არ გიკრძალავს თქვენ ალლაჰი იმათ მიმართ, რომელნიც არ შეგბრძოლებიან რწმენის თაობაზე და არ გაუძევებიხართ საკუთარი სახლებიდან, რომ უქმნათ სიკეთე და მოეპყროთ სამართლიანად. უეჭველად ალლაჰს უყვარს სამართლიანები“.⁴¹

⁴⁰ ყურანი, 28/56

⁴¹ ყურანი, 60/8

თუ ადამიანი მტრობას სიკეთესთან რაიმე ფორმით დაკავშირების შესაძლებლობას ამტკიცებს, მას ორი საწინააღმდეგო რეალობა ერთი მეორეში ერევა. შეუძლებელია ერთდროულად ერთი ადამიანის მიმართ მტრული და მოყვრული დამოკიდებულებების ქონა. თუ ადამიანი ამტკიცებს, რომ ისლამის მიხედვით შესაძლებელია პიროვნების მიმართ სიძულვილი გაგაჩნდეს და ასევე მას ღმობიერად ექცეოდეს, ეს ალლაჰის ფარისევლობაში დადანაშაულებაა. ფარისევლობა ადამიანის ბუნებისა და საღი ლოგიკისაგან უარყოფილია, ვინაიდან ისლამი ბუნებრივი დისპოზიციის რელიგიაა იგი წმინდა ლოგიკას არ ეწინააღმდეგება.

III თავი

ისლამის მისიონერული ბუნება

არსებობს საზოგადოების კატეგორია, რომელიც თავიანთი შეხედულებებს ამქვეყნიური და იმქვეყნიური ნეტარების საუკეთესო გზად მიიჩნევენ, თუმცა სხვებისთვის ამის გაზიარება მათ არ ანაღვლებთ. ასევე არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელთაც კაცობრიობის ამქვეყნიური ბედნიერებისთვის თავიანთი მიდგომები საუკეთესოდ მიიჩნიათ და თავიანთი მიდგომების გაზიარება სხვებსაც აიძულებენ. აგრეთვე, არსებობს ადამიანთა კატეგორია რომლებსაც სჯერავთ, რომ მათ მიერ არჩეული გზა, ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა, რათა ადამიანებს ჰქონდეთ ნეტარება და მშვიდობა, როგორც ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში ასევე საიქიოშიც. ისინი ზრუნავენ სხვებზე ისე როგორც ზრუნავენ საკუთარ თავზე. შესაბამისად, ამ კატეგორიის ადამიანების სურვილია თავიანთი მიდგომები სხვებს ისე გაუზიარონ, რომ ძალადობრივი ფორმა არ გამოყენონ. მუსლიმები ბოლო კატეგორიას მიეკუთვნებიან.

რატომ ეწევიან მუსლიმები ისლამის პროპაგანდას?

მუსლიმები ისლამს ავრცელებენ, რადგან მათ გავრცელება ალლაჰმა უბრძანა, თუმცა ინდივიდზე ძალადობის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთი ისლამზე

მოპატიჟებას ბრძანებს, რასაც შემდეგი აიათი მიუთითებს: „მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კეთილი შეგონებით, ეკამათე საუკეთესო მეთოდით“.⁴² მუსლიმ სჯერავს, რომ ისლამი არის რწმენის, ღვთის მსახურების, კანონების და მორალური ღირებულებების ერთობრიობა. ისლამი ყველა ადამიანს სიკეთეს სთავაზობს და კრძალავს ღვთიური სეტყობინები მონოპოლიზებას, რომელიც იცავს გონივრულ არსებებს საიქიო ცხოვრებაში.

შესაბამისად, მუსლიმები ზრუნავენ ყველა ადამიანის კეთილდღეობისთვის, როგორც დროებით ასევე სამომავლო ცხოვრებაში.

ყველა ჩენთაგანს გვესმის, რომ მშვიდობა ეს არის ადამიანს მიეცეს შესაძლებლობა სხვების ჩარევის გარეშე მოიპოვოს საკუთარი ბედნიერება. შესაძლებელია სხვისი ჩარევა დახმარების გასაწევად და არა იძულებისთვის. ისლამის თანახმად ადამიანები თანასწორნი არიან. ზრდასრულ ადამიანებს შორის ურთიერთობა არ არის მეურვესა და მეურვეობის ქვეშ მყოფის ურთიერთობის მსგავსი.

აგრეთვე, ისლამი ყველა ადამიანს რწმენის თავისუფლებას აძლევს, თუმცა იმ პირობით, რომ თავიანთი არჩევანის პასუხისმგებელნი საიქიოში თავადვე იქნებიან. უზენაესი ალლაჰი შემდეგნაირად გაგვიმარტავს: „იძულება არაა სარწმუნეობაში. ჭეშმარიტი გზა ნათლად გამოირჩევა ცდომილებისგან“.⁴³ ასევე ერთ-ერთ აიათში ნაბრძანებია: „ყოველი სული მძევალია იმის, რაც მოიხვეჭა“.⁴⁴

მუსლიმ ადამიანს ალლაჰის წინაშე მუდმივი შეთანხმება აქვს დადებული. მუსლიმმა უნდა შეასრულოს ისლამის მიხედვით ყველა ვალდებულება, ასევე უნდა განერიდოს აკრძალულებს. თუ მუსლიმი ამ შეთანხმებას დაარღვევს, იგი

⁴² ყურანი, 16/125

⁴³ ყურანი, 2/256

⁴⁴ ყურანი, 74/38

დაიმსახურებს სასჯელს, მას წილად არ ხვდება დანაპირები ჯილდო არც ამ ქვეყნად და არც საიქიოში. მაგალითისთვის, როდესაც პიროვნება დიდი სურვილით რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს, მას ევალება ამ ქვეყნის კანონმდებლობა აღიაროს და დაემორჩილოს. ის უნდა იმოქმედებდეს მის წინაშე არსებულ ყველა მოთხოვნის შესაბამისად და მიიღებს ყველაფერს რასაც დაიმსახურებს. თუმცა ამ ორ მაგალითს შორის არსებობს ერთ დიდი განსხვავება, აღნიშნულ პიროვნებას შესაძლოა მოქალაქეობა ჩამოართვან და ქვეყნიდან გააძევეთ, თუმცა ნებისმიერი ინდივიდისთვის მუსლიმად ყოფნის აკრძალვა არავის შეუძლია, თუკი ისლამზე უარი თავად პიროვნების სურვილი არ იქნება.

რა შეიძლება ითქვას არაისლამური მისიონერული აქტივობებთან დაკავშირებით?

ზოგიერთ ისლამურ ქვეყნებში არაისლამური აქტივობები და იდეოლოგიის გატარება შემდეგი მიზეზის გამო იკრძალება:

1. ყველა მოქალაქე, ან მოქალაქეების უმრავლესობა არის მუსლიმი, ისლამი თავიანთი ცხოვრების გზად აქვთ არჩეული, რათა ჰქონდეთ ამ ქვეყნიური და იმქვეყნიური ნეტარება. რაც ნიშნავს:

ა) ალლაჰის, როგორც მთლიანი სამყაროს შემოქმედის დაჯერება.

ბ) მხოლოდ ალლაჰი იმსახურებს თაყვანისცემას. იგია ყველაფრის შემოქმედი და ყველაფრის დასასრულის შემდეგ მხოლოდ ის იქნება.

გ) ალლაჰის ყველა ქმნილებას მასთან პირდაპირი კომუნიკაცია შეუძლია.

დ) ღმერთმა თავისი ქმნილებები ადამიანები და ჯინები განსხვავებული შესაძლებლობებით გააჩინა, როგორიცაა განსჯის უნარი და არჩევანის თავისუფლება. მათ შუამავალების მეშვეობით ღვთიური შეტყობინებები მოუვლინა. შეაბამისად ადამიანებს გააჩნიათ ამ ქვეყნად თავიანთი ქმედებების პასუხისმგებლობა. სამუდამო სამყოფელში მოიშვიან ქმედებიდან გამომდინარე, სამოთხეს ან ჯოჯოხეთის ცეცხლს.

ე) გონიერ არსებებს (ადამიანებს და ჯინებს) ალლაჰის ბრძანებზე მორჩილება აკისრიათ. ე.ი. უნდა შეასრულონ ის რაც ევალებათ და აკრძალულებისგან თავი შორს დაიჭირონ.

თანამედროვე რელიგიები და იდეოლოგიები ისლამის რამდენიმე პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის. შესაბამისად ამ რელიგიებისა და იდეოლოგიების პოპულარიზაცია მუსლიმი მოქალაქეების ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ უაფრთხოების საშისროებას იწვევს.

2. მოქალაქეების დიდი პროცენტული მაჩვენებელი არ არის ზრდასრული, შესაბამისად ხელისუფლებას მათი უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება აკისრია, რომელიც იმქვეყნიურ საცხოვრების ბედსაც მოიცავს. ხოლო ის მოქალაქეები, რომლებიც ქვეყნის მიღმა არიან, ხელისუფლება არ ზღუდავს მათ სურვილის შემთხვევაში აღიარონ განსხვავებული რელიგიები ან იდეოლოგიები, მაშინაც კი თუ ეს ადამიანები უცხო ქვეყანაში მთავრობის წარმომადგენლები არიან. მეტიც, ზრდასრული ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა რელიგიის თუ იდეოლოგიის მიმდევრად თვლიან თავს ხშირად დახმარებას იღებენ ხოლმე რათა უკეთესად იყვნენ გაცნობიერებულნი.

სინამდვილეში ეს კანონი ჰარმონიულად შეთავსებულია საერთაშორისო კოდეტთან, რომლებიც დაკავშირებულია კულტურულ უფლებებტან, რაც ნებას რთავს მშობელსა თუ მეურვეს თავად აირჩიონ შვილების განათლების ტიპი.⁴⁵

ბუნებრივია ზოგიერთი ხელისუფლება ქვეყნის უსაბრთხოების დასაცავად ზღუდავს ისეთ აქტივობებს, რომლებსაც შინაარსიდან გამომდინარე საზოგადოებისთვის საშიშად მიიჩნევს. ეს აკრძალვები შეიძლება განხორცილდეს მაშინაც კი თუ საშიშროება საზოგადოების მხოლოდ ამქვეყნიურ ცხოვრებას ემუქრება. ამგვარი კანონი, რომელიც „დემოკრატიული“ სისტემის მიერ არის

⁴⁵ ადამიანის უფლებათა რეზოლუცია, მუხლი 26/3

მიღებული უფრო კრიტიკული ხდება მაშინ, როდესაც საშიშროება ეხება მოქალაქეების არამხოლოდ ამქვეყნიურ ცხოვრებას არამედ იმქვეყნიურსაც.

ვინაიდან ეს კანონები სხვების მიმართ საშიშროებას არ წარმოადგენს, გაეროს ქარტიასთან ჰარმონიულად არის შეწყობილი, რომელიც ხაზს უსვამს წევრების დამოუკიდებლობას და მათ დაცვას.

მისიონერული აქტივობების განხორციელების აკრძალვის მიუხედავად, ისლამური ქვეყნები არამუსლიმებს თავიანთი რელიგიური რიტუალების შესრულების და თავიანთი სამოქალაქო კანონების გამოყენების ნებას რთავენ. რადგან, ეს არ ეწინააღმდეგება უმრავლესობის მიერ არჩეულ კანონებს და ასევე სასიშროებას არ უქმნის ქვეყნის უსაბრთხოებას. არსებული, საერთო პრაქტიკა მომდინარეობს ისლამის კანონებიდან, რომელიც საუდის არაბეთის ტერიტორიას განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს. სადაც მსოფლიო მუსლიმებისთვის ორი წმინდა ქალაქი არსებობს.

როგორია სხვა რელიგიების მდგომარეობა საუდის არაბეთში?

რატომ არ ხორციელდება სხვადასხვა რელიგიების მსახურებები ღიად საუდის არაბეთში (ოფიციალურ სამლოცველოებში)? ამ საკითხის განხილვისათვის უნდა ვიმჯელოთ ქვემოთ მოცემულ საკითხებზე:

1. გაერთიანებული ერების (გაერო) წევრობა არ ნიშნავს, რომ წევრმა ქვეყნებმა უარი უნდა თქვან მათ მრწამსზე, ადგილობრივ კანონებზე ან ტრადიციებზე. ვინაიდან წევრი ქვეყნების მიერ არ ხდება სხვა ერების იძულება, მათ უფლება აქვთ შეინარჩუნონ თავიანთი ღირებულებები. შესაბამისად, ამ საკითხთან მიმართებაში ყველა ერი ინარჩუნებს საკუთარი უფლებებს, მათ შორის „დემოკრატიული“ ქვეყნებისც. გაეროს ქარტიაში ვკითხულობთ:

*ეროვნებათა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება, ეფუძვნება თანაბარი უფლებების პრინციპზე პატივისცემას და ხალხის თვითგადაწყვეტილებას. უნივერსალური მშვიდობის გაძლიერების მიზნით შესაბამისის ზომების მიღება.*⁴⁶

ქარტიაში არ არსებობს რაიმე ჩანაწერი რომელიც უფლებასმოსილს ხდის „გაეროს“ რათა ჩაერიოს ისეთ საკითხებში რომელიც საშინაო იურისდიქციას ეკუთვნის. ან რომელიმე წევრი სახელმწიფოსგან მოითხოვოს მსგავსი საკითხების წარდგენა რათა არსებულ ქარტიის ნაწილი გახდეს. თუმცა ეს პრინციპი ძალადობრივ ქმედებებს არ გამორიცხავს რომელსაც ქარტიის VII თავი ეხება.⁴⁷

2. დემოკრატიულ სეკულარული პრინციპის თანახმად, უმცირესობას არ შეუძლია უმრავლესობისთვის კანონების დადგენა.

3. უცხოელებს არ აქვთ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, რადგან მათ ეს უფლებები თავიანთ ქვეყნებში გააჩნიათ. რეალურად, მათი ცხოვრება უცხოეთში დამოკიდებულია ქვეყნის ხელისუფლებასა და მათ შრის შეთანხმებაზე, რის საფუძველზე მათ მიიღეს ვიზა. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება პირდაპირ ან ირიბად მოითხოვოს ისეთი რამ, რაც შეთანხმებში არ ხსენებულა მის ძალში შესვლამდე. ადგილობრივი კანონმდებლობა სავიზო შეთანხმებამდე ცნობილია. შესაბამისად, ორივე მხარეს აქვს თავისუფლება თავიდანვე მიიღოს ან უარყოს წინა საკონტრაქტო პირობები. არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი მოერო მხარე აიძულოს თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიიღოს არსებული პირობები. ასე, რომ პიროვნებამ ვიზის მიღებამდე უნდა შეაფასოს, რამდენად ღირებული იქნება მისი კონკრეტულ ქვეყანაში შესვლა და წამოყენებულ პირობებზე დათანხმება, შემდეგ შეუძლია გადაწვიტოს თანხმობა პირობებზე ან უარს იტყვის.

⁴⁶ გაეროს ქარტია, თავი 1 მუხლი 2

⁴⁷ გაეროს ქარტია, თავი 2 მუხლი 7

შეთამხმეების დასრულების შემდეგ უცხოელს სხვა ქვეყნის ღირებულების მიმართ ვალდებულება ეკისრება. ეს ბუნებრივია და გავრცელებული პრაქტიკაა დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი. აქვე შეგვიძლია განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

1. თუ ბავში ამერიკის საზღვარს მიღმა დაიბადება, მას ქვეყანაში ამერიკული პასპორტის გარეშე არ შეუშვებენ, ეს შესაძლოა ბავშვისთვის და მშობლებისთვის საკუთარი ქვეყნისგან დასჯის განცდას იწვევდეს. თუმცა, ამ ბავშვს და მის მშობლებს უფლება აქვთ საერთოდ არ შევეიდნენ ამერიკის საზღვარზე, რისი დაძალების უფლება არავის გააჩნია.

2. ყველა ქვეყანა ან შესაძლოა ქვეყნების უმრავლესობა სხვადასხვა ტიპის ვიზას გასცემს, რომელთაც განსხვავებული მოთხოვნები გააჩნია: სტუდენტური ვიზა, ტურისტული ვიზა, ბიზნეს ვიზა და ა.შ.

3. უამრავი მუსლიმი უმცირესობები ცხოვრობენ არამუსლიმ ქვეყნებში სადაც მათ ისლამის ძირითადი კანონების შესრულების საშუალება არ ეძლევათ. ვინაიდან ისლამი პრაქტიკული რელიგიაა მსგავს სიტუაციაში მუსლიმები კონკრეტული კანონების განხორციელებისგან თავისუფლდებიან. მაგალითისთვის ამ კანონებს შორის არის: ქურდზე ხელის მოკვეთა და მრუში ადამინის გაროზგვა. აღსანიშნავია, რომ უმცირესობაში მყოფ მუსლიმებს ისლამი მოუწოდებს იყვნენ მაღალი მორალის სანიმუშო მოქალაქეები.

თუკი უმცირესობაში მყოფი მუსლიმების საკუთარ ქვეყანაში შეზღუდვებს განიცდიან, სრულიად ბუნებრივია რომ უცხოელმა მუსლიმ ქვეყანაში ყოფნისას უნდა დაემორჩილოს ადგილობრივ კანონმდებლობას მანამ სანამ სავიზო ხელშეკრულებით ქვეყანაში ცხოვრების უფლება ექნება. საბოლოოდ, პიროვნებას ქვეყანაში შესვლისა და არშესვლის არჩევანის უფლება აქვს, და ვერც ერთი ხელისუფლება მის სურვილის წინააღმდეგ ვერ ჩაერევა.

რაც შეეხება დიპლომატებსა და ჩინოვნიკებს, ხშირად ეს კატეგორია განსხვავებული რწმენის და სექტის მიმდევრები არიან და ასევე დრო და დრო იცვლებიან. მათ ეძლევათ პირად სივრცეში რიტუალების აღსრულების უფლება, რაც დიპლომატიური კონვენციით დაცულია. ასევე დიპლომატიური კონვენციები საერთაშორისო კანონების საერთო პატივისცემას მოუწოდებს.

მუსლიმების ორი წმინდა ქალაქი საუდის არაბეთის სამეფოში მდებარეობს. ადგილებრივ მოქალაქეებს ქვეყნის საკანონმდებლო ფორმად შერიათის კანონები აქვთ არჩეული, რის საფუძველზე არაბეთის ნახევარკუნძულზე ორი რელიგიის ოფიციალური თანაარსებობა დაუშვებელია. შესაბამისად, საუდის არაბეთის მთავრობას ამ კანონმდებლობის განხორციელება ევალებათ. აღნიშნული კანონმდებლობა არამუსლიმებს მუსლიმების ქალაქ მექაში შესვლასაც უკრძლავს, რომელიც მსოფლიო მუსლიმებისთვის სალოცავ მიმართულებას და პილიგრიმობის შესასრულებელ ადგის წარმოადგენს.

აქ არაფერია უჩვეულო, რადგან ჩვენ ხშირად შეგხვედრია ნიშნები სადაც წერია „შესვლა აკრძალულია! დაშვებულია მხოლოდ ავტორიზებული პირებისთვის“. მსგავსი ნიშნები არსებობს როგორც „დემოკრატიულ“ ქვეყნებში ასევე არადემოკრატიულ ქვეყნებშიც. მსგავსი ნიშნების არსებობა შესაძლოა იყოს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ან ხელის შეშლის თავიდან აცილების მიზნით. მექის შემთხვევაში მსგავსი აგრძალვა ქალაქის სიწმინდის დაცვის მიზნიდან გამომდინარეობს. ბუნებრივია, არაავტორიზებული პიროვნებებს ნებისმიერი ინსტიტუტის სურვილზე პატივისცემა ევალებათ.

IV თავი

ადამიანის უფლებები ისლამში

უზენაესმა ღმერთმა ადამიანები სხვა ქმნილებებისგან განსხვავებული შესაძლებლობებით გააჩინა. წმინდა ყურანში ვკითხულობთ: „და ვფიცავ. ჩვენ

აღმატებულ ვკჰმენით ადამის შვილნი და მივეცით საშუალება ემოგზაურათ ზრავასა და ხმელეთზე. ჩვენ ვუწყალობეთ მათ სიკეთენი და უპირატეს ვყავით ისინი სხვა მრავალ ჩვენს გაჩენილებთან შედარებით“.⁴⁸ ღმერთის მიერ ბოძებულ წყალობათა შორის არის ადამიანის ხალიფობა დედამიწაზე. ადამინას აქვს აბსოლუტური თავისუფლება დედამიწაზე არსებული სიკეთეებისგან მიიღოს სარგებლი და დამოიყენოს როგორც ამ ქვეყნიურ ასევე იმნიურ ნეტარებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანმა უნდა დაეფლოს დედამიწას, განავითაროს იგი და დაამყაროს მშვიდობა მასზე.

ღმერთმა ადამიანთა მოდგმა ერთი წყაროსაგან, მიწისგან (მტვრისგან) გააჩინა, ხოლო შემდეგ ისინი გაამრავლა ერთი მამრისაგან და ერთი მდედრისაგან (ადამი და ევა). შესაბამისად შუამავალი მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: „არაბს არ აქვს უპირატესობა არა-არაბის მიმართ ან პირიქით. არც წითელკანიანს გააჩნია უპირატესობა შავკანიანთა მიმართ, ან პირიქით. მათი განსხვავება მხოლოდ ღვთისმოსაობაშია“. თუმცა, ეს კონცეფცია გაზვიადებულ აბსოლიტურ თანასწორობისაგან განსხვავდება.

ღვთისგან ნაბოძები წყალობათა შორის ადამინის საუკეთესო (ნიადაგი) პირობებში მოვლენაა. ყველა მშობელი ვალდებულია ახალშობილს დარქვას კარგი სახელი და იზეიმოს მისი ამ ქვენად მოვლენა. აგრეთვე ისლამი მშობლებს ავალდებულებს დაეხმარონ შვილებს განათლების მიღებაში, რათა მომავალში მათ შეძლონ როგორც ამქვეყნიური ასევე იმქვეყნიური სიკეთის მოპოვება. ისლამს ადამინზე უამრავი უფლება აქვს ნაწყალობები საკუთარ თემში.

როგორია ისლამის კონცეფცია სამართლიანობასა და თანასწორობის შესახებ?

ისლამის მიხედვით სამართლიანობა და თანასწორობა განსხვავებული მცნებებია. ისლამი სამართლიანობას აბსოლიტურ კონცეფციად განიხილავს, ხოლო

⁴⁸ ყურანი, 17/70.

თანასწორობა შეიძლება იყოს აბსოლიტური ან ფარდობითი. ისლამის მიხედვით მხოლოდ ფარდობითი თანასწორობა შეიძლება იყოს სამართლიანობის ექვივალენტი.

უზენაესმა ალლაჰმა ადამიანები სხვა ქმნილებებისგან განსხვავებული უნარებით გააჩინა, როგორცაა ინტელექტი და უბოძა შესაძლებლობა მიიღონ არსებული სარგებელი როგორცაა სიმდიდრე ერთგულება და გულწრფელობა. ეს განსხვავებები არსებობს რათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთ შემავსებელი ურთიერთობები ბაუმჯობეს. ღვთიური სისტემის მიხედვით აბსოლიტური თანასწორობა განსხვავდება სამართლიანობისგან. შესაძლოა იგი ხანდახან ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს.

ამის მაგალითია შემდეგი კატეგორიის ადამიანებს შორის თანასწორობა: ბეჯითსა და ზარმაცი, გულწრფელი და არაგულწრფელი, განათლებული და უვინი, მამა და შვილი, მასწავლებელი და მოსწავლე, ან მოქალაქე და მოქალაქეობის არ მქონე. ამიტომაც არსებობს ტესტები და კონტესტები რათა განსხვავდნ ადამიანები. იგივე მიზეზიდან გამომდინარე, ადამიანების ნაწილი საჭიროა დაემორჩილნ სხვებს. წესრიგის რაიმე ფორმისგარეშე არ არსებობს თემი, ქვეყანა და თავად სამყაროც ვერ იარსებდა. არ აქვს მნიშვნელობა რომელ პერსპექტივით დავინახავთ ამ წესრიგს, სეკულარულ თუ რელიგიურ პერსპექტივით.

შინაგანი ჯილდოს გაფართოების შესაძლებლობის არეალი შეზღუდულია. თუმცა მისაღები ჯილდოს შესაძლებლობის არეალი ფართოა. ამასთანავე, რაც უფრო მეტი ღვთიური ჯილდოს მფლობელია პიროვნება მით მეტია მისი პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ.

მხოლოდ ფარდობითი თანასწორობა შეიძლება იყოს სამართლიანობის ექვივალენტი. რადგან თანასწორობა ნიშნავს პიროვნებას მისცე რამდენსაც იმსახურებს ან რამდენიც შესაფერისია თითოეულ პიროვნებაზე.

სამართლიანი თანასწორობა არის ადამიანის ქმედებებისა და შინაგანი ჯილდოს საფუძველზე განსჯა.

სამართლიანობა ისლამში დამსახურების მიხედვით ჯილდოსა და სასჯელს ნიშნავს. ისლამის მიხედვით ეს ცხოვრება მუდმივი ისტორია არ არის, არამედ მას საიქიო ცხოვრებით დასასრული აქვს. ამ სამყაროში, იბღლიანი ადამიანები საკუთარი ხვედრით სიამოვნებას ღებულობენ რაც თავად არ შეუქნიათ, ხოლო მოწადინებული პიროვნებები შესაძლოა ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, სამართლიანი ხვედრი ვერც მიიღონ. მჩაგვრელი შესაძლოა არამხოლოდ გაურბოდეს დასჯას, არამედ არასამართლიანი რეჟულტანტით სიამოვნებდეს კიდევ.

ზემო აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე არსებობს საყოველთოდ სამართლიანი აღრიცხვა, რის საფუძველზე ყველა ადამიანია მიიღებს იმ სასჯელს რასაც დაიმსახურებს, თუკი მას უზენაესი არ მიუტევებს. ხოლო გულმოდგინე ადამიანი თავის ჯილდოს დამსახურებულზე მრავალჯერ მეტს მიიღებენ. შესაბამისად, განკითხვის დღეს ქმნილებებს შორის უფლებების საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

როგორია ისლამის კონცეფცია თავისუფლების შესახებ?

თავისუფლება ისლამში არ ნიშნავს აბსოლიტურ სეკულარულ თავისუფლებას. ისლამი არის რეალისტური რელიგია, საზრიანი პერსპექტივებით. შესაბამისად, თავისუფლება ისლამში ფარდობითია, რადგან ადამიანები დამოკიდებულნი არიან ბუნების კანონების სრულყოფილ და გიგანტურ სისტემაზე, რომელიც ალლაჰის ნებით სამყაროს მართავს. ღმერთმა შექმნა სამყარო რომელიც მისი უშუალო ბრძანებით (მაგ. იქმენ და ის იქმნება) და მის მიერ შექმნილი ბუნებრივი კანონებით იმართება. მეტიც, ღმერთის ნების გარეშე არაფერი არ მოხდება, ვინაიდან მხოლოდ იგი ფლობს თავისი ქნილებების კონტოლს და ყველაფერი რაც მოხდება წინასწარ გაწერილია.

ბუნებრივია, ღმერთს წინასწარ არ გადაუწყვეტია გზა რომლითაც ჩვენ უნდა ვიცხოვროთ. რაც, ზოგიერთ ჩვენგანს ბედისწერა სწორედ ასე მიაჩნია. ბედისწერა, რომელიც ერთ-ერთ თავში განვმარტეთ კიდევ, არის მხოლოდ მომავლის წინასწარი ჩანაწერი, რომელიც დაფუძვლებულია შემოქმედის (აღლაჰის) აბსოლუტურ ცოდნაზე, რომელსაც დროისა და სივრცის ლიმიტი არ გააჩნია.

ადამინის თავისუფლება მისი გამჩენის წინაშე პასუხისმგებლობით იზღუდება. აღლაჰმა იგი დედამიწაზე თავის ხალიფად მოავლინა და უბოძა უთვალავი წყალობა, რათა მიიღოს სარგებელი და გამოიყენოს, როგორც ამ ქვეყნიურ ასევე იმნიურ ნეტარებისთვის. ეს პასუხისმგებლობები აღლაჰის მიერ ბოძებულ მნიშვნელოვან ჯილდოებს ეფუძვნება: აზროვნების უნარი, ქეშმარიტი სახელძღვანელო (წმ. წიგნები) და მიზეზებსა და გარდაუალ შედეგებს შორის არჩევანის თავისუფლება (ბუნებრივი კანონები).

ადამიანს ბუნებრივი კანონებისაგან საკუთარი თავის გათავისუფლების უნარი არ შესწევს, თუმცა აღლაჰის მიერ მინიჭებული ცოდნით ღვთიური მოწოდებისა და ბრძანებების უარყოფა შეუძლია. მაგრამ, მას მოუწევს დაუმორჩილებლობის შედეგებზე თვალის გასწორება.

როგორც ოჯახი ასევე თემი და ქვეყანა ჩარჩოს უქნმის თითოეულს ადამიანის ქცევას. ზოგადად, რაც მისაღებია ინდივიდისთვის მისაღებია თემისთვისაც, რაც მისაღებია რომელიმე ქვეყნის ჯგუფისათვის იგი ასევე დასაშვებია ნებისმიერ ქვეყანაში და საერთაშორისო საზოგადოებაში.

ასეობს სხვა სახის შეზღუდვებიც, როდესაც პიროვნება თავისივე სურვილით გახდება ამა თუ იმ ჯგუფის წევრი, რათა მიიღოს კონკრეტული ჯგუფის წევრობიდან სარგებელი, მას ევალება ჯგუფში არსებული წესების მიღება და მორჩილება. წესებს შორის არის ჯგუფის წევრობის შენარჩუნება სანამ ეს ჯგუფი იარსებებს. სხვა მხრივ იგი სასჯელს დაიმსახურებს.

თუმცა, აღნიშნული შეზღუდვების მიღმა ადამიანს სხვადასხვა საკითხებში თავისუფალი არჩევანის ფართო სპექტრი აქვს. ნების თავისუფლება ღვთიური სწავლების მიხედვით სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანია. ადამიანს ასევე გააჩნია მისაღები და მიუღებელი ქმედების ხარისხობრივი ტიპის თავისუფლება.

ისლამში თანასწორობა ნიშნავს ღმერთის წყალობებში ძალისხმევის ჩადება

მრავალფეროვნება და განსხვავებულობა ადამიანის ბედნიერებითვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მის გარეშე, ადამიანებს შორის არ იარსებობს კონკურენციის პრინციპი, რომელიც ქმნის მოტივაციას იმისათვის, რომ ისარგებლონ ბუნების რესურსი თავიანთი საჭიროებებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

როგორია სიტყვის თავისუფლება ისლამში?

ზოგიერთი მუსლიმის მოსაზრებით ერთადერთი წარმატებული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ადამიანის სიტყვის თავისუფლებას იცავს არის დასავლური ქვეყნების მოდელი, ვინაიდან იგი სიტყვის თავისუფლების გარანტიას იძლევა. თუმცა, თუ შევეკითხებით მუსლიმს, ისურვებდა თუ არა ასეთ თავისუფლებას სამომავლო ნეტარების სანაცვლოდ, შესაძლოა გვიპასუხოს „არა“.

სიტყვის თავისუფლებაში თუ ვიგულისხმებთ, რომელიმე თემის წევრის არასწორი ქცევის კრიტიკას ან საყოველთაოდ მიღებული ქცევის წახალისებას, მაშინ შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ მუსლიმს არ სჭირდება დასავლური სისტემების საკუთარ თემში დანერგვა. მიუხედავად იმისა ეს სისტემები კარგად მუშაობს თუ არა უცხოურ გარემოში. მუსლიმის არამართო უფლება, არამედ მისი რელიგიური ვალდებულებაა წახალისოს სხვისი კარგი ქცევები ხოლო აღმოფხრას ისლამთან შეუთავსებელი ქცევები არსებულ გარემოში. ეს ვალდებულება მოწოდებულია ისლამური სწავლებით რომელსაც მუსლიმი სწავლულებების არგუმენტები ამყარებს. ეს არის ადამიანთა კეთილდღეობის განვითარების

აუცილებელი მექანიზმი. ამ ვალდებულების სრულყოფილად შესრულების მიზნით მუსლიმი უნდა იყოს კეთილი და შეხსენებისას არ უნდა მოქმედებდეს რადიკალური (უხეში) მიდგომით. მნიშვნელოვანია, რომ მუსლიმ თემს გათავისებული ჰქონდეს ზემოთ ხსენებული ვალდებულებები, დაიცვას და განავითაროს არსებული გარემო, წინ აღუდგეს მუსლიმ საზოგადოებისთვის შუფერებელ იდეოლოგიურ წნეხს.

ოჯახური სიტუაციის მაგალითზე რომ განვიხილოთ, ოჯახის წევრების არასწორი ქმედებების პრევენციის მიზნით ყველაზე უკეთესი გამოსავალია მშობლების მიერ სხვა წევრებზე ნების დართვა რათა გამოხატონ ოჯახურ საკითხებთან დაკავსორებით თავიანთი მოსაზრებები. ასევე გამოხატონ თავიანთი გრძნობები საყვედურისა და დასჯის შიშის გარეშე. ხანდახან მოსაზრება შესაძლებელია არ იყოს სწორად ჩამოყალიბებული და შესაფერისად გამოხატული, თუმცა ეს უკეთესია ოჯახისათვის ვიდრე სიცრუეში ცხოვრება, თითქოს ზედაპირულად ყველაფერი კარგად მიდიოდეს, სინამდვილეში სიბნელება რაღაც დულდეს. შეუსაბამოები, რომელიც ღია ქმედებებში გამოჩნდება ადვილად შესამჩნევი და მოსაგვარებელია. ხოლო რაც სიბნელით არის მოცული, სიმსივნის მსგავსია, რომელიც პრევენციული ჩარევის გარეშე შეუმჩნევლად იზრდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ოჯახური კეთილდღეობისთვის უკეთესია ავიტანოდ მცირე სიავე, რომელის შემჩნევა შესაძლებელია, ვიდრე ავიტანოთ ფარული უფრო დიდი ბოროტება. ყოველშემთხვევაში არ არსებობს რაიმე დიდებული რომელსაც არ გააჩნიოდეს შესაბამისი ფასი. ეს ფაქტი ქვეყნის დონეზეც ჭეშმარიტია.

როგორია ისლამისეული შეხედულება მონობის შესახებ?

მონობა ისლამამდელ პერიოდში საერთაშორისო ნორმად იყო მიჩნეული, რომელმაც ხანგძლივი დროის განმავლობაში იარსება. არსებობდა ადამიანის დამონების სხვადასხვა ფორმები: მშობლების მიერ შვილების გაყიდვა, თავისუფალ ადამიანზე ნადირობა რათა შემდეგში მონად გაეყიდათ. ისლამმა მონობის ამ ფორმებზე შეზღუდვები დააწესა და მონებად მხოლოდ ომში ტყვედ ჩავარდნილების

ნება დართო. მეტიც, ისლამმა მუსლიმ მმართველებს არჩევანის უფლება მისცა: მონის გათავისუფლება უსასყიდოდ, გამოსასყიდით გათავისუფლება ან ტყვეების გაცვლა. წმინდა ყურანში ადამინის დამონების არჩევანზე არაფერია ნახსენები, ყველა მუსლიმი ერთმანეთის და-ძმად არის მიჩნეული, ხოლო ყველა ადამიანი მხოლოდ ალლაჰის მსახურია. ალლაჰის წინაშე ერთადერთი და უცვლელი ნორმა ღვთისმოსაობაა. შესაბამისად ისლამი მოუწოდებს მუსლიმებს თავიანთ მონებს კარგად მოექცნენ, ხოლო მონებს თავიანთი პატრონების ძმებად მოიხსენიებს.

ისლამი მონობას არ განიხილავს, როგორც ბუნებრივ ფენომენს, არამედ იგი განიხილება როგორც გამონაკლისი შემთხვევა რომელიც ძირითადი კანონებისა და რეალობიდან გამომდინარე სათუდად მოქცევას მოითხოვს.

როდესაც ტყვედ ჩავარდნილი ადამიანი მონად გადაიქცევა, იგი სხვისი საკუთრება ხდება, თუმცა გამუსლიმება ავტომატურად არ ათავისუფლებს მონობისაგან, რადგან ისლამი სხვის საკუთრებას დიდი პატივს ცემს. თუკი ტყვე სხვისი მონა იყო გამხდარი წმინდა შუამავალსაც შჭირდებოდა მის გათავისუფლებისთვის ნება მფლობელისაგან.

როდესაც დამონრბის ლეგალური წყარო გაუქმდა, ისლამმა საჭირო ნაბიჯები გადადგა მონობის სრულიად გასაუქმებლად. ისლამა მონის გათავისუფლება ცოდვისაგან გათავისუფლების ალტერნატივად შემოიტანა. ასევე საზოგადოებრივი ბიუჯეტიდან კი მონის გათავისუფლებისთვის დახმარება რეკომენდირებულ მოქმედება გამოაცხადა. აგრეთვე წაახალისა მონის უსასყიდოდ გათავისუფლება როგორც ქველმოქმედება, რომელის სანაცვლოდ საიქიოში ჯილდო იქნება დამსახურებული. ისლამის მიხედვით მონა გოგო რომელსაც თავისი ბატონი გარდაეცვლება, რომლისაგან შვილი ჰყავს იგი მონობიდან თავისუფალია. უნდა აღინიშნოს, რომ ისლამს მონების გათავისუფლება არ მოუწოდებია როგორც ფორმა მხოლოდ განკითხვის დღისთვის ცოდვების გამოსყიდვის სანაცვლოდ.

შესაბამისად, თუ მუსლიმები ამ საკითხ გაერთიანებული ერების პრინციპების პერსპექტივით დაინახავენ, ისინი რაიმე სიახლეს ვერ შენიშნავენ რადგან არსებული სიტუაცია ისლამის ორიგინალურ წესებთან დააბრუნებს.

როგორია ისლამისეული პოლიტიკური სისტემა?

ნებისმიერი სახის სისტემა ორი ნაწილს მოიცავს: შინაასრს (პრინციპებს) და ფორმებს ან პროცედურებს. ისლამი აწესებს სოციალური ინსტიტუტებისა (ასოციაციები, კერძო ორგანიზაციები) პოლიტიკური ორგანიზაციების ყოვლისმომცველი პრინციპებს. თუმცა, ისლამში განსაზღვრული ფორმა არ დაწესებულა. იგი მინდობილია თავად მუსლიმებზე აირჩიონ ის ფორმა, რომელიც უკეთესად მოერგება რეალობასა და გარემოებებს. ისლამის მიხედვით უფლებამოსილების მემკვიდროებითი ფორმა მიღებულია, რადგან იგი ღმერთს არ აუკრძალავს. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „სულეიმანი დავითის მემკვიდრე იყო და უთხრა: ჰეი ხალხნო! ჩვენ გვესწავლა ფრინველთა ენა და გვებოძა ყოველი არსებულისაგან. სწორედ ეს არის ცხადი წყალობა!“⁴⁹ ეფექტური დეტალური ფორმები მიზნების (პრინციპების) და რეალობის ინტერაქციის შედეგია. ინტერაქციის ხარისხი ცხოვრებისეულ სხვადასხვა ასპექტის მიხედვით ცვალებადია, იგი პოლიტიკურ არენაზე სხვა დანარჩენებზე უფრო მაღალია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისლამი როგორც მემკვიდრეობით სისტემას ასევე არჩევით სისტემას არც მოუწოდებს და არც იწუნებს, ვინაიდან მართველი ძალა ალლაჰის ნებას, როლემიც ყურანშია მოცემული და შუამავლის ტრადიციას ემორჩილება.

ისლამის მიხედვით ორგანიზაციებში ლიდერის დანიშნვა არსებითად მნიშვნელოვანია, მაშინაც კი, როცა გაერთიანებაში მხოლოდ ორი ადამიანია ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენელი უნდა იყოს. იგი ასევე გაერთიანებისაკენ

⁴⁹ ყურანი, 27/16

მოუწოდებს. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოკს, და არ დაიყოთ“.⁵⁰ ღმერთი მუსლიმებს პოზოტიურ თანამშრომლებაზეც მოუწოდებს: „...და შეეწიეთ ერთმანეთს ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშობაში, მაგრამ არ შეეწიოთ ერთმანეთს ცოდვასა და მტრობაში“.⁵¹ ისლამი ადამინებს საეთო ინტერესებისთვის თანამშრომლობას მოუწოდებს. ამის საუკეთესო მაგალითია შუამავალის მუჰამედის (ს.ა.ვ.) დროს მედინაში მუსლიმების, ებრაელებისა და პოლითეისტების მიერ შეთანხმების გაფორმება.

ისლამურ საზოგადოებასა და სხვა საზოგაროებას შორის არსებობს კონსტიტუციური მსგავსებები შინაარსთან ანუ პრინციპებთან დაკავშირებით. თუმცა, ისლამურ სისტემასა და სხვა სისტემებთან დაკავშირებით არსებობს ძირითადი განსხვავებებიც:

1. შუასაუკუნეების (Middle Ages) ქრისტიანული იერარქია იყო ჰუმანური სისტემა, რომელიც კარგად ორგანიზებული იყო თეოლოგიურ იერარქიულ სისტემაში. მაღალი რანგის რელიგიური ავტორიტეს ჰქონდა საკანონმდებლო ძალაუფლებისა და ბიბლიის ინტერპრეტაციის მონოპოლია. თუმცა ბიბლიურ ძალაუფლებას და რელიგიურ კოლეგიას შორის მკაფიო ზღვარი არ არსებობდა. ეკლესია არის სამრევლო ძალაუფლების ორგანო და თავყანისცემის ადგილი, მაშინ როდესაც მეჩეთი მხოლოდ თავყანისცემის ადგილია და ზოგ შემთხვევაში სასწავლო ცენტრი.

ისლამურ სისტემაში, განსხვავებები წმინდა ყურანისა და შუამავლის ჰადისების ძალაუფლებასა და ისლამის მეცნიერების ავტორიტეტულ ძალაუფლებას შორის ნათელია. ეს ფაქტი სწორია, მოუხედავით იმისა რომ რელიგიის მეცნიერების როლი მკაფიოა, რომელთაც ევალებათ ისლამური სწავლების ორი წმინდა წყაროს ინტერპრეტაცია. ამ სისტემაში სწავლულები სრულიად დამოუკიდებელი

⁵⁰ ყურანი, 3/103

⁵¹ ყურანი, 5/2

პიროვნებები არიან. ისინი ორგანიზებულ ოფიციალურ ორგანოს არ ეკუთვნიან. შესაბამისად, ნებისმიერ კვალიფიციურ ადამიანს შეუძლია საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით და არაბული ენის ცოდნის საშუალებით გააკეთოს მიმდინარეობებს შორის არსებული მცირედი განსხვავებების ინტერპრეტაცია.

აგრეთვე, ისლამში არელიგიური მეცნიერებისთვის არის უამრავი საშუალება, რათა შეიტანონ თავიანთი როლი პროცედურულ კანონებზე მუშაობაში.

2. სრულიად სეკულარული სისტემის პირობებში საკანონმდებლო ძალაუფრლებას უმრავლესობის ხელშია. იგი შეიძლება იყოს ნამდვილი, ხელოვნური ან ყალბი. რელიგია შესაძლოა იყოს პიროვნულ რწმენების დონემდე დაყვანილი, რომელიც ზოგადად რიტუალების დროს არის მისაღები.

ილამურ სისტემაში, რწმენა, რიტუალები და კანონი ჰარმონიული ერთიანობაა რომელიც წმინდა ყურანისა და შუამავლის ჰადისების მიხედვით პირდაპირი და ირიბი ფორმით არის მოწოდებული. რელიგიის მეცნიერების ჩრთულობა მართველობაში შემოიფარგლება მხოლოდ სისტემის ეფექტურად მუშაობის გაკონტროლების მიზნით. მათთან ერთად არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც, რათა სისტემამ უკეთესად იმიშაოს.

ისლამურ სისტემაში კრიტიკა ან ლეგალური „პროტესტი“ არამხოლოდ დაშვებულია არამედ იგი მთელი თემის ვალდებულებაა, რომლის უარის თქმა დაუშვებელია. ხოლო დემოკრატიული სისტემის პირობებში სიტყვის თავისუფლება არა ვალდებულება არამედ უფლებაა, რომელის მივიწყება შესაძლებელია.

ისლამის მიხედვით კონსულტაცია არის ერთ მხრივ ადამინის უფლება, ხოლო მეორესმხრივ იგი ასაკის, სქესის, რასისა და სიმდიდრის მიხედვით არ არის შეზღუდული. სეკულარულ სისტემაში ადამინები, რომლების გადაწყვეტილებებს ინიცირებენ, ფორმულირებენ და შემდეგში წერენ, განიხილებიან როგორც თემის გავლენიანი პირები. მოიაზრება, რომ გავლენა წარმოიქმნება კვალიფიკაციისაგან.

თუმცა სეკულარული სისტემის ბუნებიდან გამომდინარე იგი უფრო მატერიალური ძალაუფლების ან საარსებო სხვა რესურსების ძალაუფლების კონტროლია.

ზოგადად, უმრავლესობის როლი ელიტის წინასწარ გადაწყვეტილი საარჩევნო ფორმებით შეზღუდულია. არ განიხილება გამოცდილება და კვალიფიკაცია ან ამომრჩეველთა რიცხვი წარმოადგენს თუ არა ნამდვილ უმრავლესობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი დემოკრატიული სისტემების ბევრ პრინციპს პოზიტიურად აფასებს. როგორიცაა: აზრის, იდეისა და გრძნობების გამოხატვის თავისუფლება. ვინაიდან ისინი არ ეწინააღმდეგება ისლამის მორალურ ღირებულებებს ან არ არვევს სხვის უფლებებს. რეალობის სრულყოფილი დიადნოზის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ მის ეფეტურად წარმართვას. ისლამი აფასებს მიდგომებს, რომლებიც დემოკრატიულ სისტემების საშუალებით განვითარდა, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებამდე და კანონის მიღებისას კონსულტაციებს მოუწოდებს, როგორიცაა ლეგალური არჩევნები და საზოგადოებრივი საკითხების ღია ფორუმი. ისლამურ სისტემაში, პოლიტიკური სისტემა არის დამხმარე საშუალება რათა დაცულ იქნას კეთილდღეობა დედამიწაზე და საიქიოში. ზედამხედველობა არ არის შეზღუდული მხოლოდ ადამინებით, რეალური მეთვალყურე უზენაესი ალლაჰია, რომლის მოტყუება შეუძლებელია. ისლამურ სისტემაში პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ ქვეყნად და ხალხის წინაშე არ არის. ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული შეიძლებელია გაამათლონ და დასჯას აღარ დაეკვმდებაროს, თუმცა ღმერთმა იცის ფაქტები და გამნაშავე მის სასჯელს ვერ გაექცევა. შესაბამისად ადამინის ზედამხედველობა მხარდაჭერილია ღვთიური კანონით, რომელსაც ადამიანისეული დარწმუნებებისა და გარიბების მსგავსი შეზღუდვები არ გააჩნია.

როგორია ისმალის შეხედულება მექალაქეობასა და რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით?

ისლამს მედინაში თავისი პირველის პოლიტიკური გაერთიანების დროს მრავალფეროვნება გაცოცდილი აქვს. ეს იყო კონფედერაცია (გაერთიანება) რომელიც სხვადასხვა რასებისგან (მედინელი მხარდამჭერთა ტომები, მექელი ემიგრანტი ტომები, და ებრაელები) და რელიგიებისგან ((ისლამი, იუდაიზმი და პოლითეიზმი) შედგებოდა.

ისლამი როგორც ინდივიდის უფლებას ასევე ჯგუფის უფლებებს იცავს იმის მიუხედავად ისინი მიეკუთვნებიან უმრავლესობას თუ უმცირესობას და მათ შორის დამსახურებულ ბალანს იცავს. ისლამი ყველა ადამიანზე ზრუნავს თავისი სამართლიანი მნიშვნელობიდან გამომდინარე. საზოგადოებრივ საკითხებთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღებისას უმრავლესობას ანიჭებს მეტ წონას, სადაც მრავალფეროვნება არ არის შესაძლებელი და სტანდარტიზაცია აუცილებელია. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ უმრავლესობის უფლებებით გადაიწონება უმცირესობების უფლებები. რეალურად ტერმინი „დჰიმმი“ რომელის ადრეულ მუსლიმ სახელმწიფოებში გამოიყენებოდა თანამედროვე ტერმინს „უმცირესობის“ ექვივალენტი. ამ ტერმინებს შორის განსხვავებები ის არის რომ, „დჰიმმი“ მხოლოდ განსხვავებულ რელიგიურ საზოგადოებას ეხება, ხოლო უმცირესობა უკავშირდება რასობრივ, ენობრივ და რელიგიურ განსხვავებულობას.

თუმცა, შინაგან საკითხებში როგორცაა, ინსტიტუციონალიზებული რწმენა და თავყანისცემა ან ინდივიდუალური სამოქალაქო უფლებები. ასეთ საკითხებში იცავს უმცირესობის უფლებებს თავისი კონსტიტუციური პრონციპების საზღვრების ჩარჩოებში.

უნდა აღინიშნოს რომ არამუსლიმების ვალდებულებებს შორის არის გადასახადი რომელსაც „ჯეზას“ უწოდებენ. აღნისნული გადასახადი იმ თემის სასარგებლოდ არის რომელსაც ისინი თავს მიაკუთვნებენ. ხოლო მუსლიმებმა თავიანთი ქონებიდან უნდა გადაიხადონ „ზაქათი“ როგორც ღარიბებისთვის ასევე თემისათვის. დღეს არსებული სხვადასხვა სახის გადასახადები მოიცავს ადრეულ

ორივე ფორმას „ჯეზას“ და „ზაქათსაც“. ისლამის კანონმდებლობიდან გამომდინარე, „ჯეზა“ დაწესებულია ბრძოლის უნარიან პიროვნებებზე, ხოლო ბავშვები, ქალები და გონებრივად განუვითარებელი ადამიანები მისგან თავისუფალი არიან. აგრეთვე ბევრი მუსლიმი სწავლულის მოსაზრებით, მოხუცი მამაკაცები, ღარიბები, ბრმები, ქრონიკულად ავადმყოფები, სასულიერო პირები და ფერმერები თავისუფლდებიან „ჯეზისაგა“, რადგან ისინი მებრძოლ ადამიანთა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან.⁵²

მიუხედავად იმისა, რომ ისლამი უმრავლესობის სპეციალურ უფლებებს ცნობს, იგი წინაპლანზე აყენებს უმცირესობების უფლებებსაც. შუამავალი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: „ვინც არასამართლიანი იქნება არამუსლიმ მოქალაქის ან მცხოვრების მიმართ, შეიძულებს მას, ან ზედმეტ ვალდებულებებს დააკისრებს ან მისი თანხმობის გარეშემის საკუთრებას მიითვისებს, არასწორი ქცევის მოპასუხე მე ვიქნები“.⁵³

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, შუა-აღმოსავლეთში მუსლიმი მართველების დროს ქრისტიანობა და იუდაიზმი არამარტო გადარჩა არამედ მათი აღმავლობის პერიოდში იყო. ამის მაგალითია ინდოეთში მუსლიმების შვიდ საუკუნეანი მართველობა. ამ პერიოდის განმავლობაში მათ არამუსლიმებზე ძალით ისლამი თავს არ მოუხვევიათ. შესაბამისად ინდოელების უმრავლესობამ თავიანთი ჰინდუ რელიგია შეინარჩუნა. აღსანიშნავია, რომ მუსლიმ ჯარს შორეულ არმოსავლეთში, ინდონეზიასა და მალაიზიაში არც მიუღწევია, თუმცა ამ ერების უმრავლესობამ ისლამი მიიღო.

როგორია ისლამის შეხედულება ჰუმანურ ურთიერთობებთან დაკავშირებით?

ვინც უარყოფს ისლამს, როგორც გადარჩენის ერთადერთ გზას საიქიოში იგი არ შეძლება ჩაითვალოს ისლამისა და მუსლიმები მტრად. ისლამი მუსლიმებს

⁵² იბნ ალ-ქაიიმ, აჰკამ გვ. 42-51

⁵³ სუნან აბუ დავუდ, ალ-ასქალანი ტომ. 12, 270-2

მოუწოდებს არამუსლიმებს კეთილად მოექცნენ. აგრეთვე, ისლამი მუსლიმებს ნებას რთავს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ამქვეყნიურ საკითხებთან დაკავშირებით ითანამშრომლონ, ვინაიდან მსგავსი თანამშრომლობა მუსლიმის საიქიო ბედს საშიშროებას არ უქმნის. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: “ჰეი, ადამიანო! უეჭველად ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ, და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული, ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო მეტად ღვთის მოშიშია. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა”.⁵⁴ ეს კონკრეტული აიათი ორ ფაქტს უსვამს ზახს:

1. ღმერთი ადამიანებს მინიჭებულ ბუნებრივი დისპოზიციით განასხვავებს, რათა ხელი შეუწყოს მათ ურთიერთობებს და შეუმსუბუქოს მათ შორის არსებული მეტოქეობა. თუმცა რელაური წარმატების კრიტერიუმი მხოლოდ ალლაჰის ბრძანებების შესრულებითაა შესაძლებელი.

2. რწმენასა და სხვა განსხვავებულობის მიუხედავად ადამიანებს შორის უამრავი მსგავსება და საერთო ინტერესებია რაც თანამშრომლობის საფუძველს იძლევა, რათა მინიმუმ დროებით ცხოვრებაში შენარჩუნებული და დაცული იყოს ბედნიერება.

მუსლიმსა და არამუსლიმ შორის ურთიერთობის წესები ნათლად არის მოცემული შემდეგ აიათებში: “არ გიკრძალავთ თქვენ ალლაჰი იმათ მინართ, რომელნიც არ შეგბრძოლებიან რწმენის თაობაზე და არ გაუძევებიხართ საკუთარი სახლებიდან, რომ უქმნათ სიკეთე და მოეპყროთ სამართლიანად. უეჭველად ალლაჰს უყვარს სამართლიანები”.

⁵⁴ ყურანი, 49/13.

ისლამი არამუსლიმ ადამიანებს შემდეგნაირად განასხვავებს: ისინი ვინც არიან ნეიტრალური ან მუსლიმთა გვერდში მდგომი თუმცა ისლამი როგორც რწმენა მათვის მიუღებელია და ისინი ვინც მტრულად არიან განწყობილნი.

პირველი კატეგორიის ადამიანების მშობლიურ ქვეყანას შეიძლება ეწოდოს „დარ სილმ“ (მშვიდობის აგური) და ხოლო მეორე კატეგორიის ადამიანების ქვეყანა შეიძლება იყოს ცნობილი როგორც „დარ ჰარბ“ (ომის აგური).

თუმცა, გაეროს ყველა წევრი ქვეყანა განიხილება როგორც „დარ სილმ“; ეს ფაქტი არ გამორიცხავს შემთხვევით გამონაკლისებს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს რომელიმე ქვეყნის პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ნარატივიდან, რომელიც შინაარსობრივად მუსლიმ საზოგადოებასთან წინააღმდეგობაშია. შესაძლოა ეს წინააღმდეგობა ნაწილობრივი ან დროებითი იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს საკითხი შეიძლება იყოს მართული საერთაშორისო ნორმებით ან გარემოებებით. ხოლო, ისლამის მიხედვით ინდივიდებმა ან ჯგუფებმა თვითნებურად არ უნდა გადაწყვიტონ ომი მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად, რადიკალური ფორმით, როგორცაა, ლინჩური ბომბით. არამედ ეს პრეროგატივა ხელისუფლებას უნდა მიაკუთვნონ. ჩვეულებრივ ინდივიდებისა და არაოფიციალური ჯგუფების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესაძლოა გულწრფელობის მიუხედავად განიცდის ინფორმაციის დეფიციტს და შორსაა სწორი ხედვისგან. ხშირად მსგავსი ქმედება კონტრპროდუქტიულია და ილამისეულ ხედვას მოკლებული, შესაბამისად მსგავსი ქმედება მუსლიმ საზოგადოებას ან მის დიდ ნაწილს სანანებელ სიტუაციაში აყენებს. ეს ბუნებრივია, რადგან ისლამის ლეგალური მოსაზრება ეფუძნება ისლამური სწავლების მტკიცე გააზრებას, რეალობის სწორ ხედვას, და მოსალოდნელი შედეგების საფუძვლიან განჭვრეტას..

ამ საკითხის ერთ-ერთი მაგალითია უჰუდის ომში მიღებული გადაწყვეტილება. მტრებთან შესახვედრად ქალაქის დატოვების ნაცვლად მისი დაცვა შიგნიდან გადაწყდა. ახალგაზრდა ენთუზიაზმით შეზარბილი მუსლიმები

ფიქრობდნენ, რომ მამაცი მუსლიმები მტრებს გარეთ თუ შეხვდებოდნენ უკეთესი იქნებოდა. ხოლო შუამავალმა (ს.ა.ვ) მუსლიმებს მოუწოდა მტრების რაოდენობიდან და სიძლიერიდან გამომდინარე მედინა შიგნიდან დაეცვათ. ახალგაზრდები მხოლოდ თავიანთ გულწრფელობით ისლამის გულისათვის თავდადებაზე იყვნენ ორიენტირებულნი, ხოლო შუამავალი მუსლიმების უსაფთხოებაზე და ისლამის მომავალზე ფიქრობდა. ბუნებრივია, ამ კონკრეტული სიტუაციის მიმართ ორი განსხვავებული შეხედულება არსებობდა.

თუმცა არ არის გამორიცხული, ხელისუფლების დონეზე მიღებული დაგაწყვეტილება უფრო კატასტროფული აღმოჩნდეს, თუ გადაწყვეტილების მიმღებები ქედმაღლურად მოქმედებდნენ.

როგორია ისლამის მიხედვით რელიგიათა შორის დიალოგი?

ადამინაბის ნაწილი რელიგიათა შორის გამართულ დიალოგს შეგნებულად თავ არიდებს. ამ კატეგორიის ადამინებს სჯერათ, რომ მსგავსი ქმედებით საკუთარ რელიგიას სხვებითვის განსჯის ობიექტად ხდის ან თავის რელიგიის რაღაც ელემენტებს არ იზიარებს. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება მცდარია, ვინაიდან დიალოგი არა უშაულოდ რელიგიებს შორის იმართება არამედ მის წარმომადგენლებს ანუ მინდევრებს შორის. ზოგადად დიალოგიში მოიაზრება სხვადასხვა ფორმები:

1. ერთიმანეთის რელიგიების, როგორც ჭეშმარიტი რელიგიის აღიარება. ჩვეულებრივ ამ გვარი დაშვება ქრისტიანობისთვის და ისლამისთვის როგორც მისიონერული რელიგიებისათვის მიუღებელია. ვინაიდან, თუ ისინი აღიარებენ მსგავს მიდგომას, მაშინ რატომ უნდა ფლანგონ ძალისხმევა და ფული სხვების თავიანთ რელიგიაზე მოსაპატიჟებლად? შესაძლოა ნებისმიერ საერთო ძალისხმევა რომელიც ორივე რელიგიას ერთად ხელს შეუწყობს გაივლის ამგვარ დიალოგს.

2. ერთმანეთის რელიგიების არსებობის უფლების გაცნობიერება. საეთო ინტერესებიდან გამომდინარე თანაარსებობისათვის, ურთიერთანამშრომლობის განვითარებისათვის მშვიდობიანი გზების პოვნა.

3. თითოეული მხარე ცდილობს საკუთარ რელიგიის ჭეშმარიტებაში სხვებიც დაარწმუნოს. სჯერავთ რომ თავიანთი რელიგია ერთადერთია რომელსაც, კაცობრიობის ამქვეყნიური და იმქვეყნიური კეთილდღეობის გარანტირება შეუძლია. მაგრამ, ჩვენ თუ სათანადოდ შევისწავლით შუამავლების ძალისხმევებს, დავინახავთ, რომ მათი მიდგომები დიალოგის იმიტირებაა. დილაოგი ქადაგებისთვის საუკეთესო გარემოს ქმნის, რადგან გონება ამ დროს მშვიდია და სხვისი აზრებისა და მტკიცებულებებისთვის მზად არის.

4. სპონტანური, ყოველდღიური დიალოგები, რომელიც ინდივიდების მიერ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ აქტოვობებში გამოიხატება, სადაც მონაწილეები თავიანთი რელიგიის იდეალურ მაგალითებს სიტყვებით და ქცევით გამოხატავენ.

უჭერს ისლამი მხარს ადამინის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს?

ზოგჯერ გაეროსთან აფილირებული (შემადგენლობაში შესული) ადამინის უფლებების ორგანიზაციები ისეთ საკითხებს წამოწევენ წინა პლანზე, რომლებიც თავად გაეროსთან მოდის წინააღმდეგობაში. მაგალითად, ისინი ერევიან ზოგიერთ ისეთ ეროვნულ კანონმდებლობაში რომელიც არჩეულია უმრავლესობის მიერ და დანერგილია კონკრეტულ ლოკაციაში.

არ არსებობს ეჭვი, რომ ამ ორგანიზაციების უმრავლესი წევრების მოტივი კარგი განზრახვაა. თუმცა მათი გულწრფელი მაგრამ გადამეტებული ენთუზიაზმი იწვევს სხვადასხვა ეროვნების უმრავლესობის უფლებების შელახვას, იმ კუთხით, რომ თავად შეუძლიათ მიიღონ გადწყვეტილება თუ რა არის უკეთესი როგორც ამქვეყნიურ ასევე იმქვეყნიურ ცხოვრებაში. ორგანიზაციების მსგავსი რეზოლუციები ხშირად ზოგიერთ კილტურის წინააღმდეგ არასწორად არის მიმართული, რითაც

ერების რომლებმაც მოხალისეობრივად გახდენ გაეროს წევრები არჩევანის თავისუფლებები ილახება. არსებოს კულისებს მიღმა ძალები, რომლებიც ჩახლართული გზების მეშვეობით მართავს ამ ორგანიზაციებს კონკრეტული მიზნებისთვის, როგორცაა ეროვნებებს შორის ურთიერთობის გაფუჭება და გაეროს პრინციპების უარყოფა. ეს ფაქტები სხვადასხვა კითხვებს იწვევს:

1. რა არის ამ ორგანიზაციების ძალაუფლების წყარო, რისი საშუალებითაც ისინი ცდილობენ გაეროს წევრებზე გავლენის მოხდენას? არიან თუ არა ესენი თავიანთი ერების უმრავლესობის მიერ არჩეულნი?

2. თუ ამ ორგანიზაციის წევრები ხელისუფლებას წარმოადგენენ, არის მათი რეზოლუციები (გადაწყვეტილებები) თავიანთი ქვეყნების უმრავლესობების პრიორიტეტული გადაწყვეტილება?

3. თუ კონფერენციებისა და ორგანიზაციების წევრები ხელისუფლებას არ წარმოადგენენ, მაშინ მათი ზააუფლება საიდან მომდინარეობს?

- მომდინარეობს ის გაეროს პრინციპებიდან? სინამდვილეში, ეს რეზოლუციები არღვევს იმ პრინციპებს რომლის საფუძველზე თითოეულ ეროვნებას ადგილობრივი კანონმდებლობის მიღების უფლება აქვს.

- მომდინარეობს იგი დემოკრატიულ ღირებულებებიდან? სინამდვილეში, ეს რეზოლუციები არღვევს დემოკრატიულ პრინციპებს, რადგან იგი უმრავლესობის სურვილს ეწინააღმდეგება.

- მომდინარეობს იგი სამართლიანობისა და ადამინის უფლებების პრინციპებიდან? სინამდვილეში მსგავსი რეზოლუციები არღვევს სხვადასხვა ქვეყნების უმრავლესობის სურვილს როგორც ადამინის უფლებებს.

ასეთ ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ლეგალური ძალაუფლება იმისათვის რომ თავიანთი რეზოლუციები გაეროს წევრი ქვეყნებზე უპერატესად ჩათვალონ. მსგავსი

რეზოლუციები მხოლოდ პირად მოსაზრებებზე დაფუძნებული რჩევებია, რომლებიც შესაძლოა სასრგებლო ან ზიანის მომტანიც აღმოჩნდეს.

უნდა აღინიშნოს რომ ისლამი ჩაგრულების გვერთში დგომას მოუწოდებს, იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი არამუსლიმია. შესაბამისად თუ ორგანიზაციები რეალურად ჩაგრულ საზოგადოების მდგომარეობის უკეთოსებისკენ შეცვლისათვის იბძვიან მათვის გვერდში დგომა მისაღება. ასეთი შემთხვევები შეიძლება შემდეგნაირი იყოს:

- 1- ერთი ეროვნების მიერ მეორეს ჩაგვრა;
- 2- ხელისუფლების მიერ საკუთარი მოქალაქეების ჩაგვრა, ან ეთნიკურად განსხვავებული საკუთარი მოქალაქეების ჩაგვრა რომელიც ადგილობრივი კანონმდებლობის ან საერთაშორისო კანონების დარღვევას იწვევს.
- 3- ძალისმიერი მეთოდით კონკრეტული ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის მიწის მისაკუთრება და ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებით განდევნა საცხოვრებელი ადგილიდან;
- 4- ხელისუფლების მიერ უმრავლესობის სახელმწიფო დოვლათის ძალისმიერი მითვისება. ან განათლების მიღების შეზღუდვების დაწესება, კვალიფიციური კადრებისთვის შესაბამისი სამსახურის არჩევის შეზღუდვა, ან საცხოვრებელი ადგილის არჩევანის შეზღუდვა, რელიგიური ან რასობრივი ნიშნით დაწინაურებაში შეზღუდვების დაწესება.

V თავი

ქალის სტატუსი ისლამში

ისლამი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ადამიანის ბუნებრივ განწყობას (ბუნებრივ განლაგებას), რომელიც ღმერთმა თავის ქმნილებებში განათავსა. ალლჰმა

კაცები და ქალები განსხვავებული თვისებებით გააჩინა, რათა შეავსონ ერთმანეთის ძირითადი საჭიროებები, იცხოვრონ ამ ქვეყნიურ ნეტარებაში და დანსაკუთრებით იზრუნონ საიქიო ცხოვრებისათვის. ისინი ერთი მეორისთვის აუცილებელ შემავსობელ ქმნილებებად გააჩინა. ქალისა და კაცის არსებობა ჰგავს დღეს, რომელიც ორი ერთმანეთზე დამოკიდებული ნაწილისაგან შედგება: დღისა და ღამის მონაკვეთებისაგან. ასევე შესაძლებელია შევადაროთ ორი ელემენტისაგან წარმოქნილ ენერგიას რომელიც ცხოვრებას სძენს უამრავ ღირებულებას.

ღმერთმა ქალი ფაქიზი და მაღალი ემოციური ქცევებით განსხვავებული გააჩინა. ამასთანავე, მეტი ხიზლისათვის ღმერთმა ქალს ელეგანტურობა და მოქნილობა უწყალობა. თუმცა ეს განსხვავებული თვისებები ქალს თავის საარსებო გარემოში მოქმედების თავისუფლების კონკრეტულ შეზღუდვებს უწყესს. ამ განსხვავებული თვისებებით გაჩენილია იგი, რათა თავისი ინდიფერენტული თვისებებით შეძლოს მამაკაცის უდრეკი ბუნების შთანთქვა და მისი მოხიბლვა. ასევე ქალს შუძლია მამაკაც მისცეს ფსიქოლოგიური თავშესაფარი შეუმსუბუქოს ტკივილები და გაუმთელოს ჭრილობები. აგრეთვე ქალი გაჩენილია არსებად, რომელიც მზადაა მსხვერპლადაც შეესწიროს შვილების კეთილდღეობისთვის.

რეალურად, ქალის ყველა ეს შესაძლებლობები ოჯახის ან თემის ბედნიერების განუყოფელია ელემენტია. პსიქოლეგების მიერ დამტკიცებულია, რომ უჩვეულო ფსიქოლოგიურ სიტუაციას ქალი მამაკაცზე უკეთესად უმკლავდება, ასევე პსიქოლოგიურ შოკისაგან ქალს უფრო უკეთესად შეუძლია თავის დაღწევა ვიდრე მამაკაცს.

ხოლო, ღმერთმა მამაკაცი ქალისაგან განსხვავებით ფიზიკურად უფრო ძილერი გააჩინა, რათა დაეცვა საკუთარი ოჯახი. შესაბამისად მას საკუთარ საცხოვრებელ გარემოში გადაადგილების (მოქმედების) მეტი თავისუფლება მიანიჭა. მას შეუძლია ფართო სივრცეში ხეტიალი; შეუძლია იზოლირებულ ან უდაბურ ადგილებში სიარული, ასევე თავისუფლად გადაადგილდეს გვიან ღამის საათებში და

სიბნელეში. ასევე მამაკაცს შეუშლია საკუთარი შესაძლებლობებით დაიცვას თავი აგრესიისგან.

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საუბარია ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ მახასიათებლებზე, უნდა გვახსოდეს გამონაკლისები. შესაძლებელია ქალს უკეთესად გამოსდიოდეს მამაკაცის საქმიანობა ან პიროქით.

როგორია ქალის სტატუსი მამაკაცთან შედარებით?

ზოგიერთი ადამიანი განზრახ ან შეუგნებლად იშველიებს შუამავლის ჰადისებს, რომლებიც წინაღმდეგობაში მოდის ზემოთ ხსენებულ ფაქტებთან. არასწორად ინტეპრიტირებულ ჰადისებს შორის შემდეგი ჰადისია: „ჰეი თქვენ ქალებო გაეცით ქველმოქმედება. ვინაიდან, როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯოჯოხეთის ცეცხლის ბინადარის უდიდეს პროპორციულ რაოდენობას თქვენ წარმოადგენთ. ქალებმა ჰკითხეს: რატომ ალლაჰის შუამავალო? შუამავალმა (ს.ა.ვ.) უპასუხა: თქვენ წყალობის (სიკეთის) წყევლასა და უარყოფას მიჩვეულნი ხართ. მე არ მინახია თქვენი მსგავსი, რომელსაც არასრულყოფილი გონებით და რელიგიით ჰქონდეს სრულყოფილი და ბრძენ მამაკაცებზე გავლენის მოხდენის ძალაუფლება.’ ქალებმა ჰკითხეს: რა არის ჩვენი გონების და რელიგიის ნაკლოვანება?’ შუამავალმა უპასუხა: თქვენი ჩვენება⁵⁵ (ჩვენება - testimony) კაცების ჩვენების ნახევარი არ არის? შესაბამისად თქვენი გონება არასრულყოფილია. არა არის მართალი, რომ თქვენ დედათა წესის დროს (მენსტრუაცია) არ ლოცულობთ და არც მარხულობთ? ამიტომაც, თქვენი რელიგია არასრულყოფილია.“⁵⁶

აქ უნდა აღინიშნოს კონტექსტი როდესაც შუამავალმა ეს სიტყვები წარმოთქვა. ამ დრეს იყო დღესასწაული, როდესაც შუამავალს სურდა ქალების წახალისება (წაქეზება) რათა მათ ღვთის გულისათვის მოწყალება გაეცათ. აქ იყო ქალების

⁵⁵ სასამართლოში მოწმის სტატუსით ქალის მიერ მიწოდებული ჩვენება

⁵⁶ ბუხარი, მენსტრუაცია.

გაჯავრებისთვის შესაბამისი მომენტი, რომელიც ნაწილობრივ ფაქტებსაც უკავშირდებოდა. ეს ფაქტები ნაწილობრივ სიმართლის შემცველი ფაქტებია, რადგან ზოგ შემთხვევაში ქალების მიერ მიცემული ჩვენება კაცების ჩვენების ნახევარის ტოლია, ან როდესაც ისინი არ ლოცულობენ ან არ მარხილობენ ეს მათი ბრალეულობა არ არის. ამ სიტყვებით შუამავალი ქალებს აქებდა, რადგან მათ ფიზიკური მახასიათებლის მიუხედავად კაცებზე დიდი ზედავლენის ძალაუფლება გააჩნიათ. ხოლო ჯოჯოხეთის ცეცხლის ბინადართა დიდ პროპორციულ რაოდენობას იმიტომ ამბობდა, რომ რეალურად ქალების რაოდენობა კაცების რაოდენობაზე მეტია. რაც შეეხება წყალობის უარყოფას, გაზვიადებული დაწუნებები ემოციური პიროვნების მახასიათებელთაგანია.

ქალთა სტატუსი შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს:

1. კაცები და ქალები თანასწორნი არიან:

შუამავალის გადმოცემის მიხედვით, მუსლიმი ქალები მამაკაცების დები არიან, ისლამმა მათ ერთმანეთის დაცვა დააკისრა. წმინდა ყურანში ვკითხულობთ: „მორწმუნე კაცები და მოერწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან“.⁵⁷ ასევე შემდეგი აიათი გადმოგვცემს: „ვინც სიკეთე ჰქმნა კაცთაგან თუ ქალთაგან და იგი მორწმუნეა, მაშინ, უთუოდ, მას ტკბილი ცხოვრებით ვაცხოვრებთ და უთუოდ მივაგებთ მათ თავიანთ საზღაურს უფრო უკეთესით, რაც უკეთესიათ“. ყურანის სხვა აითებში ვკითხულობთ: „უეჭველად, მუსლიმი კაცებისა და ქალებისათვის, მორწმუნე ქალებისა და კაცებისათვის, მორჩილი კაცებისა და ქალებისათვის, მართალი კაცებისა და ქალებისათვის, მომთმენი კაცებისა და ქალებისათვის, თავმდაბალი კაცებისა და ქალებისათვის, მოწყალების გამცემი კაცებისა და ქალებისათვის, მომარბულე კაცებისა და ქალებისათვის, უმანკოების სემნახველი

⁵⁷ ყურანი, 9/71

კვაცებისა და ქალებისათვის, , ალლაჰის ხშირად მომხსენებელი კაცებისა და ქალებისათვის, ალლაჰმა გაამზადა მათთვის პატიება და უდიდესი საზღაური“.⁵⁸

ისლამი ევას ადანაშაულებ ვაშლის ჭამის გამო, რის შედეგადაც სამოთხიდან იქნა გამოძევებული. თუმცა უფრო მეტ დანაშაულს ადამს აკისრებს ვინაიდან საბოლოო სიტყვა მას ეკუთვნის.

2. ქალებს აქვთ უდიდესი უფლებები:

ისლამში დედის უფლებები მამის უფლებებზე უფრო უპირატესია. მაგალითად, შუამავალის (ს.ა.ვ.) ჰადისზე დაყრდნობით საუდის არაბეთში სამოქალაქო სამსახურში მომუშავე ქალებს ბავშვის გაჩენიდან მინიმუმ 45 დღე უფასო შვებულება ეძლევათ, ყოველწლიურ შვებულებაზე დამატებით. აგრეთვე ქვრივ ქალს ეძლევა 130 დღიანი უფასო შვებულება, რომელიც წმინდა ყურანის მიხედვით გლოვის პერიოდათ ითვლება.

ისლამის მიხედვით მხოლოდ ქალებს აქვთ წმინდა აბრეშუმის ტანისამოსის ჩაცმის და ოქროს სამკაულების ტარების უფლება.

არამხოლოდ ეს, არამედ ისლამი დედებს ქალიშვილების აღზრდისათვის დიდებულ ჯილდოს პირდება. შუამავალი გადმოგვცემს: *„ვისაც სამი ქალიშვილი ან და ჰყავს და მათზე ზრუნავს ის აუცილებლად სამოთხის მკვიდრი იქნება.“*⁵⁹ აგრეთვე ისლამი მამაკაც ცოლზე საუკეთესოდ მოქცევისკენ მოუწოდებს. შუამავალი გადმოგვცემს: *„თქვენგან საუკეთესო არის ის ვინც ცოლის მიმართ საუკეთესოა.“*⁶⁰

კაცები ხსენებულ პრივილეგიებისგან არცერთით არ სარგებლობენ. შეგვიძლიათ ვთქვათ რომ კაცები დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან?

⁵⁸ ყურანი, 33/35

⁵⁹ თემიდჰი

⁶⁰ თემიდჰი: ხარისხები

3. კაცების მიმართ უდიდესი უფლებები და პასუხისმგებლობები:

ისლამი მამაკაცს ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის და ოჯახური საკითხების საბოლოო გადამწყვეტი სიტყვის ვალდებულებას აკისრებს. თუ მამაკაცს ქალის დანახარჯების პასუხისმგებლობა აკისრია მას ისლამის მიხედვით მემკვიდრეობის ორმაგი წილი ეკუთვნის.

ისლამი მამაკაცს და ქალს თანაბარ მნიშვნელობას ამიჭებს, ისე როგორც ღამე დღის თანასწორია. თუმცა არა როგორც ღამე ღამის თანასწორი. ორივე მათგანი ბედნიერი ოჯახის არსებობის განუყოფელი ნაწილია. როგორც ღამისა და დღის პერიოდი ქნიან ერთ სრულყოფილ დღეს.

თუ ჩვენ განვიხილავთ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ მიღებულ რეზოლუციებს, როგორც ქალთა თანასწორი უფლებებისა და თანამედროვე დასავლური სისტემების კონსტიტუციის მოდელს, ნათლად დავინახავთ, რომ ამ მოდელებს არ მიუცია ქალებისთვის იმ უფლებების დიდი მაწილი რომელიც ისლამმა ქალებს 14 საუკუნის წინ უბოძა. გამონაკლისია ბოლო საუკუნის პერიოდი. რეალურად დასავლეთში ქალთა დიდი ძალისხმევის მიუხედავად ჯერ კიდევ ბევრი უფლებებებია ქალებისთვის მოსაპოვებელი, რომელიც რეალურად ისლამის კანონმდებლობის ნაწილია. მათ შორის არის ოჯახური ხარჯების მხოლოდ მამაკაცზე დაკისრება და ქალზე უფლების მიცემა, რათა მხოლოდ მისი სიმდიდრე და შემოსავალი აკონტროლოს.

რა როლი აქვს მუსლიმ ქალს პოლიტიკურ სისტემაში?

ზემოთ ხსენებული ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული პრივილეგიებიდან გამომდინარე, ლოგიკურია რომ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა მამაკაცებზე ეკუთვნით. მუსლიმი სწავლულები რომელებიც ამ მოსაზრებას იზიარებენ, ეყრდნობიან შუამავლის (ს.ა.ვ.) შემდეგ ჰადის: „*არც ერთ ერს არუნდა ჰქონდეს წარმატების მოლოდინი თუ თავიანთ საქმეთა ვალდებულებებს*

ქალს დააკისრებენ“.⁶¹ თუმცა ამ მოსაზრების ოპონენტების განმარტებით შუამავალის ეს ჰადისი არ არის განსჯა (შეფასება) არამედ იგი წინასწარმეტყველებაა. შუამავალმა ეს სიყვები მაშინ წარმოთქვა როცა გაიგო, რომ სპარსელებს შიდა საკითხების ვალდებულების სათავეში ქალი დაენიშნათ.

ჩვენ მტკიცედ უნდა გვახსოდეს, რომ ისლამის მიხედვით ყველაზე მაღალი პოზიცია ეკვეა ადამიანს, რომლის ავტორიტეტი მოიცავდა წმინდა ყურანისა და შუამავლის ჰადისებზე დაყრდნობით აღმასრულებელ და სასამართლო ძალაუფლებას. ისმება კითხვა: რა მოხდება თუ ატორიტეტი/ძალაუფლება შეზღუდულია? რეალურად, ეს საკითხი ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

მნიშვნელოვანია დავინახოთ განსხვავება სრულიად ისლამური საზოგადოების ლიდერის კვალიფიკაციასა და კონკრეტული მუსლიმი ეროვნების ან თემის ლიდერის კვალიფიკაციას შორის. დებატები ქალის ლიდერის პოზიციაზე დანიშნასთან დაკავშირებით უფრო ადრეულ პერიოდს უკავშირდება ვიდრე თანამედროვეს.

ვინაიდან განსჯა და კონსულტაციები ისლამისთვის მნიშვნელოვანია, ისლამში როგორც ქალბთან ასევე მამაკაცებთან კონსულტაციები დაფასებულია. როდესაც შუამავალმა მუჰამედმა (ს.ა.ვ.) მიიღო გამოცხადება, მან ქალის რჩევა კონკრეტულ ქმედებისთვის გამოიყენა. ყურეიშელი ტომების გამუსლიმებამდე მათან დადებული შეთანხმების საფუძველზე, შუამავალმა (ს.ა.ვ.) უბრძანა მუსლიმებს არ შეესრულებინათ უმრა (პილგრიმოზა). მუსლიმები აღელვებულები იყვნენ და ამ ბძანების შესრულებისთვის დიდ სურვილს არ გამოთქვამდნენ, რადგან დადებული ხელშეკრულების თანახმად ყურეიშელებიდან ვინც ისლამს მიიღებდა და მუსლიმებს შეუერთდებოდა უკან უნდა დაებრუნებინათ, მაგრამ არა პირიქით. როდესაც შუამავლის მიმდევრებმა მისი ბრძანების შესრულება დააყოვნეს შუამავალი დამწუხრდა. შუამავალის ცოლმა უმ-სალამაჰმა მას ურჩია უმრის შეწყვეტის

⁶¹ იმამ აჰმედ: სანად ალ-ბასიინ

რიტუალი პირველად უსიტვოდ თავად შეესრულებინა. შუამავალმა მიიღო ეს რჩევა, ხოლო მიმდევრებმა მის მაგალითს მიჰაძეს.

ისლამი ქალს განიხილავს კვალიფიციურად არა მარტო საპასუხისმგებლო პოზიციისთვის, არამედ სხვა ბევრ სფეროშიც. მათ შორის საკუთარ ოჯახში. შუამავალი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: „ყველა თქვენთან დაქვემდებარებული პირების მიმართ პასუხისმგებლობა გაკისრიათ. მართველს საზოგადოების დაცვის პასუხისმგებლობა ხოლო, მამაკაცი ოჯახის მცველია და მათი დაცვის ვალდებულება აკისრია. ქალს ქმრისა და საკუთარი საცხოვრებელი ადგილის დაცვის ვალდებულება აკისრია“. ⁶²

რატომ ფასდება ქალის მიცემული ჩვენება კაცის მოწმეობის ნახევრად?

ზემოთ ხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მამაკაცს ოჯახის დაცვისა და ზედამხედველობის ვალდებულება აკისრია. შესაბამისად, უშუალოდ მისი ფუნქცია აძლევს ოჯახში უპირატეს სტატუსს. აგრეთვე, ვინაიდან მას გარემოში გადაადგილების მეტი თავისუფლება გააჩნია, ნაკლებად ემოციური და ძლიერია, იგი უფრო უკეთესად უმკლავდება რთულ და საშიშ შემთხვევებს.

უნდა აღინიშნოს რომ, არსებობს სიტუაციები სადაც ქალის მოწოდებული მონაცემები მამაკაცის მონაცემების ექვივალენტი ან უფრო ღირებულია. მაგალითისთვის, რელიგიური მოწოდებების შესწავლისას, რომელიც უაღესად მნიშვნელოვანია, მუსლიმები ხშირად შუამავლის ცოლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციით ხელმძღვანელობენ. ან სწავლობდნენ გამოჩენილ ქალ მასწავლებლებთან. მეტიც, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია წმინდა ქალურ საკითხებთან დაკავშირებით მეტად მისაღებია. ხოლო, ზოგიერთ შემთხვევებში მამაკაცები მეტად კვალიფიციურები არიან.

⁶² ბუხარი: ჯუმა ნამაზი

ზოგიერთ სეკულარულ ანუ ადამიანის მიერ შექნილი კანონების მიხედვით ქალს ბავშვზე ზრუნვის უფრო მეტი კვალიფიკაცია გააჩნია. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით, განქორწინების შემთხვევაში შვილები დედის მზრუნველობის ქვეშ რჩებიან. ჩვენ არ მიგვაჩნია რომ ეს კანონი კაცების მიმართ დისკრიმინაციულია ან პირიქით. კითხვა შემდეგია: ვინ უფრო მეტ შესაბამისობაშია არსებულ სიტუაციაში?

ყოველ შემთხვევაში, აიათი რომელშიც მოცემულია, რომ ქალის ჩვენება/მოწმეობა კაცის ჩვენების/მოწმეობის ნახევარია შემდეგია: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ ერთმანეთისგან ვალს იღებთ გარკვეული ვადით, დაწერეთ ეს (ხელწერილი). და დაწეროს ეს სამართლიანად მწერალმა თქვენ შორის. უარი არ თქვას მწერალმა. ისე დაწეროს, როგორც ალლაჰმა ასწავლა მას. მევალმა უკარნახოს და ეწინოდეს მას ალლაჰის, მისი ღმერთისა და არ დააკლოს არაფერი. და თუ ის, ვინც მევალეა, გონება სუსტია ან უძლური, ან თავავად კარნახი არ ძალუძს, მაშინ მისმა მურვემ უკარნახოს სამართლიანად და აიყვანეთ მოწმედ თქვენგან ორი კაცი. თუ ორი კაცი არ იქნება ერთი კაცი ორი ქალი, ვისზეც თანახმა ხართ, როგორც მოწმეზე; ეს იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე ქალს შეეშლება, შეაზსენოს მეორემ.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კონკრეტული აიათი შეიძლება განიხილოს, როგორც ჩართული მხარეების მიმართ რეკომენდაცია ვიდრე გაკიცხვა. უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად სასამართლოშიც მოსამართლითვის მისაღები (სანდო) ჩვენები შესაძლოა განსხვავდებოდეს. მაგალითად, მოსამართლემ შესაძლოა არ მიიღოს მოსარჩლის ნათესავი მამაკაცის ჩვენება და მიიღოს არანათესავი ქალის ჩვენება.

ზოგ შემთხვევაში ქალები რატომ იღებენ ნახევარ მემკვიდრეობას?

როგორც უკვე ვახსენეთ, ისლამის მამაკაცს ოჯახური საქმეების სათავეში აყენებს. თუმცა ეს პრივილეგია დამატებითი პასუხისმგებლობების სანაცვლოდ აქვთ აღებული. მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობიდან უპირველესი ოჯახისთვის თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე ნორმალური ცხოვრების სტანდარტის

შექმნა. ეს ვალდებულება ოჯახში მისი სტატუსის შესაბამისად ცვალებადია (მამა, მმა, ბიძია). მის ახლო ოჯახის წევრებად ცოლი და ჩვილები ითვლება. ასევე შეიძლება ჩაითვალოს შრომის უუნარო მშობლები, უმცროსი ძმები და გაუთხოვარი დები.

აღსანიშნავია, რომ მსგავს ვალდებულებებს ისლამის ქალებს არ უწესებს, არც მშობლებთან მიმართებაში და არც უმწეო შვილებთან მიმართებაში. მეტიც, მდიდარი ქლიც კი არ არის ვალდებული მატერიალური მხარდაჭერა გაუწიოს საკუთარ მეუღლეს ან ოჯახს.

შესაბამისად, ისლამი უკრძალავს მამაბავს სავალდებულო გადასახადის (ზაქათის) საკუთარ ცოლზე და შვილებზე გადახდას, რადგან მამაკაცს ოჯახისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა ზაქათის გაცემამდე ევალება. ხოლო სავალდებულო გადასახადი ადამიანების კონკრეტულ გატეგორიისთვის უნდა იქნეს გადახდილი, ალლაი ბრძანებს: „**უეჭველად, წყალობანი სავალდებულოა ალლაჰისგან და განკუთვნილია: უპოვართათვის, ღატაკათვის, ასევე იმათთვის, ვინც ამ საქმიტაა დაკავებული, ვისი გულების მოგებაც შესაძლებელია, მონათათვის, ასევე ვინც ვალშია, ვინც ალლაჰის გზას ადგას და მგავრთათვის. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!**“⁶³ ისლამიში ქალს დამოუკიდებელი ლეგალური იდენტობა გააჩნია, რომელსაც ქორწინების შემდეგაც ინარჩუნებს. ქორწინებამდე ქალი მამის ქალიშვილია და ქორწინების შემდეგად იგი ისევ მამის ქალიშვილად რჩება. ქალს არ აქვს ვალდებულება ქორწინების შემდეგ შეიცვალოდ გვარი, რომელიც დასავლურ კულტურას ახასიათებს, თითქოს იგი ყოფილიყო მამის ოჯახის საკუთრება და გადადის ქმრის ოჯახის საკუთრებად.

მას საკუთარი ქონების დამოუკიდებლად კონტროლის უფლება აქვს. არ აქვს მნიშვნელობა ქონების მესაკუთრე კორწინებამდე თუ ქორწინების შემდეგ გახდა. აგრეთვე მას შეუძლია დაიქირაოს საკუთარი ქმარი ან ნებისმიერი პიროვნება რომელის მის საქმიანობას/ბიზნესს მის ნაცვლად წარუძღვება.

ისლამი ქალს უფასო (უანგარო) მომსახურების შესაძლებლობას სთავაზობს, ხოლო მამაკაც ქალზე ზრუნვისათვის მატერიალურ ვალდებულებებს აკისრებს. სანაცვლოდ მამაკაცს მემკვიდროების მიღებისას (საკუთარ დაზე ან ცოლზე) ორჯერ მეტი წილის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იღებენ მამაკაცები მემკვიდრეობის ორმაგს ვიდრე ქალები. თუკი სათანადო ყურადღებას დავუთმობთ მემკვიდრეობის შესახებ აიათს, ჩვენ ნათლად დავინახათ, ეს განსხვავებულობა დაკავშირებულია ფინანსურ ვალდებულებებთან. მაგალითად, უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „გიწესებთ ალლაჰი თქვენი შვილებისთვის (სამკვიდროს): ვაჯს წილი, ტოლი ორი გოგოს წილისა. თუკი გოგოშვილები არიან ორზე მეტი, მაშინ მათ ორი მესამედი იმისა, რას დაუტოვა; თუ მხოლოდ ერთია (გოგოშვილი), მაშინ ნახევარი მემკვიდრეობისა. (გარდაცვლილის) მშობლებს კი თითოეულს ერთი მეექვსედი იმისა, რაც დატოვა, თუ მას ყავს შვილი. და თუ შვილი არ ჰყავს და მისი მემკვიდრე მშობლები არიან, მაშინ დედას ერთი მესამედი ქონებისა. თუ ჰყავს ძმები, მაშინ დედას ერთი მეექვსედი, ანდერძით დანაზარების გამოკლებით და ვალების გასტუმრების შემდეგ. თქვენ არ იცით მათგან რომელნი უფრო სარგებლიანნი არიან თქვენთვის, თქვენი მშობლები თუ შვილები თქვენი, ეს ალლაჰისგანაა დადგენილი. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!“

ამ კონკრეტული აიათზე დაყრდნობით, თუ გოგო ერთადერთი შვილია მას მამის ქონების ნახევარი ერგება მემკვიდრეობით, ხოლო დანარჩენი მდედრობით გადანაწილდება სხვა ნათესავებზე განურჩევლად მაშრობითი სქესისა. ხოლო, ორი ქალიშვილი (დები) მემკვიდრეობის ორ მესამედი ეკუთვნით, ერთი მესამედი გადანაწილდება სხვა მემკვიდრეებზე.

რეალურად, მემკვიდრეობა ადამინისთვის ერთადერთი შემოსავალი არ არის. ღმერთმა ადამიანებს საუკეთესო ჯილდოები უწყალობა, რისი საშუალებითაც მათ

შესწევთ უნარი საკუთარი სარჩო თავად გამოიმუშაონ. კაცობრიობის გადასარჩენად თითოეული მათგანი განსხვავებული შესაძლებლობებით გააჩინა. ხოლო მთლიანი თემს პასუხისმგებლობა დაუწესა მათ მიმართ, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობიდან გამომდინარე სრულიად ან ნაწილობრივ ღატაკად არიან გაჩენილნი. ისლამმა ღარიბებს სხვის სიმდიდრეში უბოძა წილი და მდიდრებს სავალდებულო გადასახადი (ზაქათი) დაუწესა. მეტიც, მუსლიმ სახელმწიფოს ვალდებულებად აკისრია საერთო ბიუჯეტიდან გადაუხადოს ღარიბებს. ისლამი ასევე მატერიალურად წარმატებულ მოქალაქეებს დამატებით სავალდებულო გადასახადის გარდა ქველმოქმედებიკენ მოუწოდებს.

ლოგიკურია, როდესაც დასავლურ კულტურაში ქალები ითხოვენ მომკვიდროების მიღების თანასწორობას, რადგან მათი ფინანსური ვალდებულებები კაცების ვალდებულების თანასწორია. ეს მათი სრული უფლებაა. განსაკუთრებით, თუ კანონი განქორწინების შემდეგ წყვილის ქონებას თანაბრად გაყოფს, და არ იქნება განხილული რომელმა უფრო მეტი წვლილი შეიტანა მის დაგროვებაში.

როგორ არის ქორწინებისა და განქორწინების საკითხები ისლამში?

ზოგადად, ქალი მისი წარმომადგენლის ხელშეწყობით თხოვდება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ქალის გათხოვებამდე მასზე ზრუნვა მამას, ძმას და ვაჟს ევალებათ, მათ შორის მატერიალური უზრუნველყოფაც. განქორწინების შემთხვევაში იგი ისევ უბრუნდება თავისი წარმომადგენლის მზრუნველობას. ასევე, თუ განქორწინების შემდეგ ყოფილი ქმარი ვერ შეძლებს შვილების მატერიალურ უზრუნველყოფას, ეს მატერიალური ვალდებულებაც ისევ ქალის ოფიციალურ წარმომადგენელს ეკისრება. თუმცა არსებობენ ისლამის სწავლულები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში ქალს ოფიციალური მამაკაცი წარმომადგენელი მამაკაცის გარეშე ქორწინების უფლებას აძლევენ.

განქორწინება მამაკაცის ხელშია, რადგან ჩვეულებრივ ის არის ქორწინების ინიციატორი, იხდის შეუღლების დანახარჯებს, მათშორის ცოლის საჩუქრებს და

ქორწილის ხარჯებს. ქალს ეძლევა მზითევი, რომელიც სიმბოლურად რამდენიმე ათასი დოლარის ან ეუროს ექვივალენტია. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ქმარმა ცოლს უნდა შეუქმნას ნორმალური საცხოვრებელი პირობები, უნდა უზრუნველყოს: ჩაცმა, საცხოვრებელი და სამედიცინო დანახარჯები. ხოლო, განქორწინების შემთხვევაში შვილების აღზრდისათვის მატერიალური საჭიროებები ქმრის ვალდებულებაა, მათ შორის განათლების მიღებისათვის საჭირო ხარჯები. აგრეთვე მეტად ემოციური პიროვნება ნაკლებს ფირობს არასწორი გადაწყვეტილების საბოლოო შედეგზე, იქნება ეს დაქორწინებასთან თუ განქორწინებასთან დაკავშირებული.

ოჯახში მამაკაცის ფუნქცია ქვეყნის ხელისუფლების ფუნქციის მსგავსია. თავისი ფუნქციის არასწორად შესრულების პასუხისმგებლობა თავად ეკისრება. ისლამმა მამაკაც უბოძა ავტორიტეტი და უფლებები რათა ასწავლოს/განავითაროს ოჯახის წევრები რომლებიც არასწორი გზით მიდიან და ოჯახურ მშვიდობას საშიშროებას უქმნიან. უფლებებს შორის არის ფიზიკური დასჯაც, როგორც ბოლო საშუალება. თუმცა არა სახეში სილის გარტყმა ან სხეულის მძიმედ დაზიანება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს დამცირება, რომელიც ეწინააღმდეგება ურთიეთ სიყვარულს და მზრუნველობას, რაც ჩვევლებიერ ცოლ-ქმარსა და შვილებს შორის არსებობს.

ყველა ზემოთ ხსენებულ ფაქტებიდან გამომდინარე, განქორწინების საკითხს ჩვევლებრივ ქმარი უფრო სერიოზულად აღიქვამს ვიდრე ცოლი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი აცნობიერებს, რომ განქორწინება ალლაჰის მიერ ნებადართული თუმცა ყველაზე საძულველია ქმედებაა.

ქალს საჭიროების შემთხვევაში განქორწინების მოპოვება სასამართლოს საშუალები შეუძლია. თუ ქმარი ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და მისი ბრაელეულობა გამოიკვეთა მას შეუძლია (მზითევის) ჩენარჩუნება. ასევე ქალს შეუძლია

განქორწინების გამოსყიდვა თუ იგი მზითევს უკან გადაიხდის ან საქორწინო დანახარჯების ნაწილს გადაიხდის.

შუძლია თუ არა მუსლიმ ქალს არამუსლიმ მამაკაცზე ქორწინება?

რეალურად ეს არის კარგი მაგალითი იმისა, თუ რაოდენ ზრუნავს ქალებზე ისლამი. ისლამის მიხედვით მამაკაცს შუძლია მოიყვანოს არამუსლიმი ცოლი თუ ის წიგნის ხალხთაგანიდან იქნება (ებრაელი ან ქრისტიანი). ღმერთი ბრძანებს: „დღეიდან თქვენთვის საკვებად ნებადართულია ყველაფერი, რას რამ კარგი და სუფთაა. ნება დართული გაქვთ იმათი საქმელიც, ვისაწ ებოძათ ღვთიური წიგნი, ასევე მათაც შეუძლიანთ მიირთვან თქვენი საკვები. ნებადართულია თქვენთვის ცოლად მოიყვანოთ პატისანი და მორწმუნე ქალები, ასევე წესიერი ქალები მათგან, ვისაც თქვენზე ადრე მიეცათ ღვთიური წიგნი, და თუკი გადაუხდით ურვადს, ნება გაქვთ ცოლად შეირთოდ არა გარყვნილების მიზნით და არა საყვარლად.“⁶⁴ ეს შიძლება გამომდინარეობდეს ორი მიზეზისაგან:

1. იუდაიზმი და ქრისტიანობა ისლამის წინა ვერსიებია. ორივე მათგანი ყურანში განხილულია როგორც ისლამი ან მისი წარმომავლობა (დერივაცია). მუსლიმი ქმარი პატივს ცემს საკუთარი ცოლის რელიგიას, რაც თავისთავად მამაკაცს ზღუდავს ცოლის დამცირების ან იძულებითი ფორმით რელიგიის შეცვლისაგან. თუმცა მუსლიმ მამაკაცს არ შეუძლია იქორწინოს ათეისტ ან წარმართ ქალზე, ვინაიდან ისლამი ათეიზმისა და წარმოართიების აბსოლიტურ წინააღმდეგობაშია. ეს ფაქტი ადრე თუ გვიან ქორწინების სიმყარეს საფრთხეს უქმნის.

2. ისლამი ცოლის უფლებების გარანტიას იძლევა, როგორც ღვთიური კანონების ნაწილს, რომლის შეცვლა შეუძლებელია და იგი უშუალოდ მუსლიმ ქმარს უკავშირდება. იგი მეუღლის რელიგიის თავისუფლების გარანტიას იძლევა.

⁶⁴ ყურანი, 5/5

ხოლო არამუსლიმ ქმარზე გათხოვებისას ქალის უფლებების დაღვევის საშიშროება წარმოიქმნება. ის შეიძლება არცერთ რელიგიას არ აღიარებდეს, რომელსაც ცოლის უფლების დაცვის სავალდებულო კანონმდებლობა გააჩნია ან შესაძლოა იგი იყოს ადამინაების მიერ შექმნილი კანონების მიმდევარი, რომლებიც ხშირად არასწორია და ცვლილებებსაც განიცდის. რელაურად, თუ ჩვენ სეკულარული კანონმდებლობის მიხედვით ცოლის უფლებების დამცველ კანონებს სიღრმისეულად გავიაზრებთ, ძალზე ბევრ წინააღმდეგობებს და მუდმივ ცვლილებებს აღმოვაჩენთ. ზემოთ ხსენებული გარემოებიდან გამომდინარე, არ არსებობს გარანტია იმისა, თუ არამუსლიმ მამაკაცს მუსლიმი ქალი ცოლად გაყვება, მას რელიგიის და თაყვანისცემის თავისუფლება ექნება.

რატომ შეუძლია მამაკაცს ოთხ ქალზე ქორწინება?

მუსლიმი მამაკაცის ოთხ ქალზე ქორწინების უფლების საკითხი, ნეგატიურად იყო აღქმული, განსაკუთრებით ქალთა პერსპექტივიდან. მაგრამ რა არის რეალური ფაქტები? ღმერთი ბრძანებს: „და თუ შიშობთ, რომ სამართლიანად ვერ მოექცევით ობლებს, დაქორწინდით სხვა ქალთაგან იმათზე, ვინც მოგწონთ - ორზე, სამზე, ოთხზე. მაგრამ თუ გეშინიათ, რომ ვერ გაატარებთ მათ შორისაც სამართალს, იქორწინეთ ერთზე“.⁶⁵

თუმცა, აღნიშნულ საკითხს თუ გონივრულად შევხედავთ, განსაკუთრებით გაუთხოვარი ქალებისთვის იგი არამხოლოდ პოზიტიური კანონი იქნება, არამედ როცორც ღვთიური ჯილდო! ქვემოთ განხილული მიზეზებიდან გამომდინარე:

1. ცნობილია, რომ მსოფლიოში ქალების საერთო რაოდენობა აღემატება მამაკაცებს საერთო რაოდენობას. რაც ნიშნავს, რომ თუ ერთ ქალს მივაკუთვნებთ მხოლოდ ერთ მამაკაცს, მაშინ უამრავი ქალი გაუთხოვარი დარჩება.

⁶⁵ ყურანი, 4/3

2. ეს არის ღვთიური ჯილდო რადგან, ქალს უფლება აქვს მხოლოდ ერთის ცოლი იყოს, მაგრამ მამაკაცებზე ამ უფლების მიცემით ოთხჯერ ქორწინების შესაძლებლობა ეძლევა. შესაძლოა ქალმა თქვას: „ მე არ მჭირდება ეს შესაძლებლობა.“ მას ამის თქმის სრული უფლება აქვს, ასევე უნდა ახსოვდეს, რომ ვერავინ აიძულებს მას სურვილის წინააღმდეგ, ეს არის შესაძლებლობა თუკი საჭიროება მოითხოვს.

3. ლოგიკურად, სუფთა მორალის, უსაფრთხო სექსუალური კმაყოფილების და დედობის ინსტიქტის ქონისათვის, ქმრის სხვა ცოლებზე გაზიარება ამ შანსების დაკარგვაზე უკეთესია. მსგავსი მოქმედება უკეთესია ვიდრე მისი სექსუალური ინსტიქტის არაღელვალური გამოხატვა. იგი არამართო ჩამოშორებული იქნება იმ ყველა სარგებელისაგან რაც გათხოვილ ქალს გააჩნია, არამედ მას დაკისრებული იქნება უამრავი პასუხისმგებლობა როგორც მარტოხელა დედას. აგრეთვე იგი ასევე მამაკაცებისგან შევიწროებისა და დამცირების სუბიექტი იქნება. ქორწინებაში მყოფი ქალებისათვის თავდაპირველად შესაძლოა ეს კანონი მიუღებელი და შევრაცმყოფელიც ჩანდეს. არის ეს მართლაც ამდენად ცუდი? ვფიქრობ ჩვენ ვთანხმდებით, რომ მრავალცოლიანობის ნებართვის არ არსებობის შემთხვევაში უფრო მეტი გაუთხოვარი ქალი იქნება. ეს ნიშნავს, რომ მარტოხელა ქალს გათხოვებასთან დაკავშირებით დიდი სირთულეების გავლა მოუწევს. სინამდევინეში, ყველა ქალი აცნობიერებს, რომ საიდუმლო არაღელვალური ურთიერთობები საფრთხეს უქნის მშვიდობიან და ბედნიერ ოჯახებს. ეს ძირითადად დამახასიათებელია იმ საზოგადოებაში სადაც ქალებს თავიანთი სილამზის ჩვენების უფლება აქვთ, მათ შორისსხეულის მიმზიდველი ნაწილების. შესაბამისად გათხოვილი ქალების მხრიდან ქმრებზე სხვა ცოლების შერთვის უფლების მიცემა მათ შესაძლებლობას აძლევს შეინარჩუნონ ქმრების და ოჯახი უკეთესად.

ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა ქალსაც გაუჩნდეს კითხვა: „რატომ არ აქვთ ქალებს ერთ ქმარზე მეტის ყოლის უფლება?“ ერთი შეხედვით კითხვა ლოგიკური ჩანს. ვიყოთ რეალისტები და დავსვათ საკითხი, რას მიიღებს ქალი

მსგავსი შესაძლებლობისგან? რამდენად არის შესაძლებელი, რომ ეს ურთიერთობა დიდი ხნით შენარჩუნდება და ეს მამაკაცი მის გვერდში იქნება როცა საჭირო იქნება, განსაკუთრებით როდესაც ქალს მატერიალური მხარდაჭერა ან ჯანმრტელობასთან დაკავშირებული პრობლემა ექნება? იქნება ის პასუხისმგებლობის მქონე ქმარი და შვილების მამა?

ამ კითხვის რეალური პასუხი არის - არა. ამ პასუხის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის, რომ მსგავსი ურთიერთობა შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს მამაკაცს გათავისუფლდეს პირადი ვალდებულებიდან და ეს ვალდებულებები დედას დააკისროს იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ გაურკვეველი იქნება ბავშვის რეალური მამა.

უკრძალავს ისლამი ქალებს მანქნის ტარებას?

პრაქტიკულად, ნებისმიერი ისლამური სწორი ინტერპრეტაცია წმინდა ყურანის ტექსტებიდან და შუამავლის ჰადისებზე დაყრდნობით და რეალობის დიაგნოსტიკური ანალიზის საფუძველზე მიიღება. ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ მკითხველი, რომ ისლამი ქალის მიერ მანქნის ტარებას არც კრძალავს და არც ახალისებს. ეს საკითხი დამოკიდებულია გარემოზე, რომელშიც ქალი ცხოვრობს და რა სახის სამოს ატარებს.

მაგალითად, საუდის არაბეთში ქალების სამოსი ჰიჯაბია, რითაც დაფარულია აქვთ მთლიანი სახე ან თვალების გამოკლებით სახე. საუდის არაბეთის საზოგადოებისათვის ჰიჯაბის ტარება საკუთარი არჩევანია და ქლებს მსგავსი ფორმით ჩაცმულობა მოეთხოვებათ. მსგავს გარემოში უკეთესია ქალმა თავად არ მართოს მანქანა, განსაკუთრებით თუ იგი მარტოა. ეს ტენდენცია აგრეთვე ჰარმონიულად დაკავშირებულია ადამიანების უმრავლესობის ტენდენციასთან, რომლებსაც მოსწონთ საკუთარი მძღოლის აყვანის ფუფუნება, მთ შორის კაცებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფუფუნება მათვის არც ძვირი ჯდება.

სხვა გარემოში ქალების თავსახური (ჰიჯაბი) განსხვავებულია, მათ მთლიანი სახე გამოჩენილი აქვთ. თუმცა ატარებენ ისლამურ ტანისამოს და სხეული ის ნაწილები აქვთ დაუფარავი, რომელიც დაშვებულია. ამ გარემოში, ზოგიერთ მათგანს ურჩევნია თავად მართოს ავტომობილი, ხოლო ზოგს ფუფუნება მოსწონს და სხვა ჰყავს მძღოლად, რადგან მათვის ეს დიდ დამახარჯს არ წარმოადგენს.

რატომ არის ჰიჯაბი განკუთვნილი ქალებისათვის?

ჰიჯაბი არის ზდასრული მუსლიმი ქალის არაგამჭირვალე სამოსი, რომელიც ქალის სხეულს თავიდან ფეხებამდე ფარავს. როგორც ავღნიშნეთ, ზოგი სწავლულის აზრით სახის დაფარვაც სავალდებულოა ხოლო ზოგი ამ აზრს არ ეთანხმება.

ბევრი არამუსლიმი ქალო ჰიჯაბს ნეგატიურად აღიგვამს. აქ ვახსენეთ არამუსლიმი ქალები, რადგან მუსლიმმა ქალმა უნდა გააცნობიეროს რომ ეს უშუალოდ ალლაჰის ბრძანებაა. შესაბამისად მან უნდა დაემორჩილოს ამ ბრძანებას თუ გულწრფელად სურს რომ აიცილოს ალლაჰის რისხვა. თუმცა ჰიჯაბის საკითხს თუ სათანადოდ გვიაზრებთ, მის მიმართ ნეგატიურად განწყობილმა ქალებმაც კი შესაძლოა შეიცვალონ თავიანთი დამოკიდებულება. ერთ მხრივ ჰიჯაბის ფუნქცია ღირსების/პატიოსნების დაცვაა. ის ქმნის ქალბსა და დამაკაცებს შორის ფსიქოლოგიურ ბარიერს. იგი მსგავსია სამხედრო ფორმისა, ჩაიცვა ექსტრავაგანტულად, გყავდეს მძღოლი, დაცვა ან მდივანი. ეს ყველაფერი პიროვნებას დაცულობის განცდას უქმნის. მოერეს მხრივ, დაფარული სხეულით ქალი უფრო ძვირფასია მამაკაცებისთვის და მათში აღარ იწვევს ბუნებრივ ლტოლვას, გარდა ლეგალური ქორწინებისა, რაც იცავს ქალის უფლებას და თვითპატივისცემას.

ქალის სტატუსი ისლამში დისკუსიის დასასრულს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ისლამისა და მუსლიმების ისლამური პრაქტიკის შორის განსხვავება, რომელიც ისლამისეული სწავლებიებში განსხვავებულია.

ყოველშემთხვევაში, კითხვა დავუშვათ განათლებულ მუსლიმ ქალს: დათმობდა თუ არა ისლამის მიერ მისთვის ბოძებულ პრივილეგიებს დასავლეთის მიერ შემოთავაზებულ თანასწორობის სანაცვლოდ?

VI თავი

ისლამი კრძალავს მჩაგვრელობით ტერორიზმსა და ძალადობას

ზოგიერთი გამოჩენილი პოლიტიკოსი და გავლენიანი ლიდერი არ განასხვავებს ტერორიზმსა და ძალადობას, ასევე ერთმანეთისგან არ განასხვავებს მჩაგვრელობით ტერორიზმსა და თავდაცვით ტერორიზმს.

რეალურად, ძალადობასა და ტერორიზმს შორის აშკარა განსხვავებაა. ძალადობა დაკავშირებულია ცემასთან, ფიზიკურ დაზიანებასთან ან იარაღის გამოყენებასთან და ა.შ. რათა გამოიხატოს გრძნობები ან მოსაზრებები ან მიღწეულ იქნას განსაკუთრებული ან საზოგადოებრივი ინტერესები. ხოლო ტერორიზმი შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკური ასევე არაფიზიკური ფორმით. იგი შეიძლება მოიცავდეს ვერბალურ და არავერბალურ მუქარას. ტერორიზმი შესაძლებელია გადაიზარდოს დესპოტურ კამპანიის ფორმაში, რომელიც გარკვეული ჯგუფის ან ერის მიმართ სიძულვილსა და მტრობის პროპაგანდათ იქცევა. ტერორი შესაძლოა უცხად არ ჰკლავდეს, არამედ სიკვდილამდე ხანგრძლივი ტამჯვის შემდეგ მიდიოდეს.

უნდა გვესმოდეს რომ, თავად ტერორი არც წმინდ ბოროტებაა და არც წმინდა სიკეთე. იგი შეიძლება გამოიყენონ სიმართლის დასაცავად, ან მჩაგვრელის დასამარცხებლად ან მსხვერპლის დასაცავად. იგი შესაძლოა უდანაშაულო ხალხის მიმართ ბოროტად გამოიყენონ ფულის ან საკუთრების ძალადობრივი გზით მითვისებისათვის, ასევე ხალხს უფლებების არ აღიერების მიზნით და სხვისი მიწის ოკუპაციის დროს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეგვიძლია განვავსხვავოთ ორი სახის ტერორიზმი: აგრესიული ტერორიზმი და თავდაცვითი ტერორიზმი. აგრესიული ტერორიზმი უკონტროლოა, ხოლო თავდაცვითი ტერორიზმი ჩვეულებრივ კონტროლს ექვემდებარება, მისი კონტროლი ადამინს ბუნებრივი დისპოზიციით ან კანონებით შეუძლია.

ღვთაებრივი წარმოშობის რელიგიების მიმდევრებს შორის ის საერთოა, რომ მათთვის ცხოვრება გამოცდაა, რისი საშუალებითაც განირჩევა სიკეთე, რომელიც ჯილდოს იმსახურებს და ბოროტება როელიც დასჯას იმსახურებს, საიქიოში. შესაბამისად ჭეშმარიტებისა და გზაადენილებს შორის ბრძოლა და სამართლიანობისა და უსამართლობის მომხრეთა შორის ბრძოლა არსებითად მნიშვნელოვანია. წმინდა ყურანში ღმერთი ბრძანებს „**ალლაჰს რომ არ მიეცა ნება თავი დაეცვათ ერთმანეთისაგან, დაინგრეოდა სენაკები, საყდრები, სინაგოგები და მეჩეთები, რომლებშიც მრავლად იხსენიება ალლაჰის სახელი**“.⁶⁶

ხშირად ტერორიზმი განზრახვასთან არ არის დაკავშირებული. ხანდახან იმ პიროვნების სურვილებსაც ეწინააღმდეგება რომელიც ტერორიზმის ინიციატორია. მაგრამ თუ მას ჩააგონებენ მისი არასწორი ქმედების შესახებ და ის ჯიუტად მაინც გააგრძელებს, მაშინ ეს პიროვნება და მისი მხარდამჭერიც აგრესოდარ განიხილებიან.

ისლამი ამ ქვეყნიურ და იმქვეყნიურ მშვიდობისკენ მოუწოდებს, შესაბამისად იგი ადამინებს უსამართლობის ჩასადენად ტერორის გამოყენების შეზღუდვებს უწესებს და შესაბამის დასჯის პირობასაც უყენებს, თუ დამტკიცდება რომ პიროვნებამ ტერორი უსამართლო ქმედების ჩასადენად გამოიყენა როგორც აგრესიის გაოხატვის ფორმა.

თუმცა ისლამი ტერორს უმწეო, უდანაშაულო ადამნების მიმართ აგრესიის ჩამოშორების ერთ-ერთ მექანიზმდაც განიხილავს. ეს არის რასაც მუსლიმები

⁶⁶ ყურანი, 22/40

„ჯიჰადს“ იგივე „ღვთის გულისათვის ბრძოლას“ უწოდებენ. უზენაესი ღმერთი ბრძანებს „ნებადართულია მათთვის, რომელთაც ებრძვიან, რამეთუ მოექცნენ მათ უსამართლოდ. უეჭველად, ალლაჰს ხელეწიფება მათი შეწევნა!“⁶⁷ უზენაესი ღმერთი ასევე ბრძანებს: „და რა გემართებათ თქვენ, რომ არ იბრძვით ალლაჰის გზაზე უმწეო კაცთა, ქალთა და ბავშვთა გულისათვის.“ რომელნიც ამბობენ: ღმერთო ჩვენო! გვიხსენი ამ დაბისგან, რომლის მკვიდრნიც სასტიკნი არიან და ჩვენ დაგვიდგინე შენი წიაღიდან მფარველი და შემწეო“.⁶⁸

შესაბამისად ჯიჰადი არ არის განხილური როგორც ძალადობრივი აქტი, არამედ იგი ლეგალურ თავდაცვით აქტად მიიჩნევა, რომელიც ყველა კანონმდებლობასთან ჰარმონიაშია მათ შორის დემოკრატიული ქვეყნების. იგი არმიისა და დესტრუქციული იარაღების განვითარებისთვის ლეგალური საფუძველია.

ისინი ვინც ტერორით მანიპულირებენ სეიძლება დაიყონ შემდეგ კატეგორიებად:

1. პიროვნება რომელიც ტერორს აგრესივის იყენებს, მას შესაძლოა საიქიო ცხოვრების სჯეროდეს ან არ სჯეროდეს. ის არღვევს მის ბუნებრივ დისპოზიციის პრინციპს, ადამიანების მიერ შექმნილ კანონებსა და ღვთიურ კანონებს რომელიც ისლამურ სწავლებას მოიცავს.

2. პიროვნება რომელიც ტერორს საკუთარი ცხოვრების, ღირსებისა და საკუთრების დასაცავად ან უდანაშაულო ჩაგრულების დასაცავად იყენებს. შესაძლოა მას არ სჯეროდეს საიქიო ცხოვრების თუმცა ამ კატეგორიის ადამიანისთვის მსგავსი ქმედების მოტივაციას იწვევს ბუნებრივი დისპოზიცია.

⁶⁷ ყურანი, 22/39

⁶⁸ ყურანი, 4/75

3. პიროვნება რომელიც ტერორს საკუთარი ცხოვრების, ღირსებისა და საკუთრების დასაცავად ან უდანაშაულო ჩაგრულების დასაცავად იყენებს და მას საიქიო ცხოვრების სჯერავს. ამ ადამინის ქმედებას ორი წყარო განაპირობებს, ბუნებრივი დისპოზიცია, და ღვთიური სწავლება, რომელიც მსგავსი ქცევის სანაცვლოდ საიქიო ცხოვრებაში ჯილდოს პირდება.

ბოლო კატეგორიას მიეკუთვნება ადამინი რომლსაც ყველაზე მეტი სიმხნევით გამოირჩევა, იგი საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვისთვისაც მზად არის. სიცოცხლე მისთვის არ არის მიზანი არამედ იგი საშუალებაა. შესაძლოა ჩაგრული (oppressed) მორწმუნის თვითმკლელობით შესრულებული ოპერაციებისეს ერთ-ერთი მიზეზი მისი ამგვარი დამოკიდებულება იყოს.

მუსლიმი სწავლულების მოსაზრება თვითმკლელობით განხორცულებუ ქმედებასთან მიმართებაში ორ ლეგალურ კატეგორიად იყოფა:

1. ზოგოერთი სწავლული მხარსუჭერს თვით მკლელობას, როგორც თავდაცვით ოპერაციას. მათი მოსაზრებით ნებისმერ სისტემის ნებისმიერ ჯარისკაცს თავდაცვით სიტუაციაში საკუთარი სიცოცხლის სხვერპლად შეწირვაც კი მოეთხოვება.

2. ხოლო ზოგიერთი სწავლულისათვის მსგავსი ქმედება მიუღებელია, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ეს გნზრახ თვითმკლელობაა, რომელიც ისლამის მიხედვით აკრძალულია. ის ასევე სხვა ადამინის სიცოცხლის ხელყოფაა, რაც ისლამის მიხედვით აბსოლიტურად მიუღებელია.

ყველა შემთხვევაში, ისლამი უდანაშაულო, ხანდაზმული ადმინების, ქალების და ბავშვების მკლელობას სასტიკად კრძალავს, თუკი ისინი აგრესიულ ტერორისმში არ ჩაერთვებიან.

რა განსხვავებაა აგრესიულ და თავდაცვით ტერორიზმს შორის?

როგორც უვე აღინისნა აგრესორიც და ჩაგრულიც მიმართავს ტერორს, თუმცა როგორ უნდა განსხვავდეს ეს ორი შემთხვევა, ანუ ვინც ტერორს იყენებს აგრესიისთვის და ვინც მას თავდაცვის მიზნით იყენებს?

ამ ორი ტიპის ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმი შემდეგია:

ვინ გამოიყენა პირველად ტერორი სხვის წინააღმდეგ? პირველი რომელიც სხვის წინააღმდეგ აგრესიის გამოხატვის საშუალებად იყენებს, და მეორე არის ის ვინც თავდაცვის მიზნით მიმართავს ტერორს. ის ვინც აგრესორს მხარს უჭერს და ეხმარება თავდაც აგრესორია, ხოლო ვინც ჩაგრულს გვერდში ამოუდგება თავადაც ჩაგრულია.

ხანდახან რთულია განისაზღვროს აგრესიის წამომწყები. შესაბამისად განსაზღვრისათვის დამატებით კრიტერიუმები საჭიროებს. ამისათვის მხარეები მოლაპარაკების მაგიდაზე უნდა იქნენ მოწვეულნი, ამ შემთხვევაში ის ვინც უარს იტყვის სამართლიან განხილვაზე შეიძლება ადრესორად ჩაითვალოს. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „და თუ ორი ჯგუფი მორწმუნეთაგან ერთმანეთს შეებრძოლება, მაშინ გამოსწორეთ მათ შორის არსებული. მაგრამ თუკი ზღვარს გადავა მათგან ერთ-ერთი მეორის მიმართებაში, მაშინ შეებრძოლეთ იმ ჯგუფს, რომელიც ხღვარს გადავიდა, ვიდრეღა დაუბრუნდებოდეს ალლაჰის ბრძანებას. ამის შემდეგ თუ შემობრუნდება, გამოსწორეთ მათ შორის არსებული პატიოსნად და იყავით სამართლიანნი, რამეთუ ალლაჰს უყვარს სამართლიანნი“.⁶⁹

ტერორიზმი შესაძლებელია სხვა ფორმებითაც გამოვლინდეს. მაგალითად არასაკმარისი მტკიცებულების მიუხედავად პიროვნების დასჯა ან გონივრული დასჯის მექანიზმის გადამეტება. კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში უნდა ასეობდეს სიმკაცრის მიხედვით ფიქსირებული დასჯის მექანიზმი. დაუშვებელია მეგობრების ან იმ პიროვნებების მიმართ ვისგანაც სარგებელს

⁶⁹ ყურანი, 49/9

ველოდებით დასჯის შემთხვევაში გამოვხატოთ ნაკლები სიმკაცრე, ასევე დაუშვებელია ზომიერებას გადავაცილოთ იმ ადამიანების მიმართ რომლებისაც ჩვენ მტრებათ აღვიქვამთ. ღმერთი ბრძანებს: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის აღმდგენი! და არ გაიძულოთ ზოგიერთ ადამიანთა მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეოდეთ“...⁷⁰ შესაბამისად ისლამი არ სცნობს გაეროს წევრ ქვეყნების დამოუკიდებლობის დარღვევას რომელიც არადამაჯერებლ ბრალდებებს ეყრდნობა.

ბუნებრივია, ისლამის მკაფიო სწავლების მიუხედავად, ზოგი მუსლიმი შესაძლოა არღვევდეს მათ და ტერორს აგრესიისთვის იყენებდეს. ასევე ისიც ბუნებრივია, რომ ყველა ერი ცდილობს საკუთარი საზოგადოება სწორად განვითარდეს, თუმცა მათი ციხეები კრიმინალებით გადაჭედებულია. თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ყველა ერი კრიმინალია ან კრიმინალების აღზრდას ხელს უწყობს. არსებული მონაცემებით, 1982 წლიდან 2001 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში 175 ტერორისტული შემთხვევა დაფიქსირდა, მათგან 143 შემთხვევა ქრისტიანებთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტიანები ტერორისტები არიან? უსამართლობა იქნება მცირე ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის განზოგადება და ყველაზე ან უმრავლესობაზე მისი დაბრალება.

ვინაიდან, ზოგიერთი დემოკრატიული მთავრობა მხარს უჭერს ქვეყანას, რომელმაც ადგილობრივ მცხოვრებლებს საკუთარი მიწა და ოჯახები დაატოვებინა და რომელიც წმინდა რელიგიურ ფანატიზმის ეფუძნება, გვაქვს ჩვენ უფლება ვთქვათ, რომ დემოკრატიული რეჟიმები ახალისებს მჩაგვრელობასა და ძალადობას? თუ ზოგიერთი დემოკრატიული მთავრობა ებრძვის ტერორიზმს და ამის გამო სხვადასხვა ღარიბ ქვეყნებთან ომს აწარმოებს და პარალელურად აგრესიულ

⁷⁰ ყურანი, 5/8

მჩაგვრელ სახელმწიფოს მხარს უჭერს, შეგვიძლია ვთქვათ რომ დემოკრატია ფარისევლური სისტემაა?

როგორ აწესრიგებს ისლამი აგრესიულ (მჩაგვრელობით) ტერორიზმს?

ისლამი აგრესიულ ტერორიზმს შემდეგი საშუალებებით უმკლავდება:

1. ბავშვობიდანვე სთავაზობს კარგ დისციპლინას, ნერგავს პრინციპებს, რომელიც კრძალავს აგრესიასა და მჩაგვრელობას, ასევე მოუწოდებს სამართლიანობას.

2. ადამიანის უფლებების დაცვით ქმნის აგრესიული ტერორიზმის პრევენციას; სთავაზობს მიუკერძოებელ სასამართლოს; იცავს სამართლიანობის პრინციპს; მოუწოდებს თანამშრომლობითი გზების პოვნისაკენ; იცავს ნორმალური ცხოვრების პირობებს.

ამიტომაც, რიგით მეორე ხალიფა ომარმა შიმშილობის წლების პერიოდში ქურდის ხელის მოკვეთა როგორც დასჯის ერთ-ერთი მექანიზმი შეაჩერა.

ჩვენთვის უფრო გონივრული იქნება თუ ტერორიზმის უკან არსებულ მიზეზებს ვიპოვით და მის გამსწორებას შევეცდებით, ვიდრე აჩქარებულად ვიმოქმედებთ და დავსჯით იმ ადამიანებს ვინც ჩართულნი არიან მასში. ხშირად ეს ადამიანები მსხვერპლნი არიან ვიდრე აგრესორები. ხანდახან ჩვენ ვსჯით მჩაგვრელობით ძალადობას რომელიც მცირე მსხვერპლს იწვევს, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება, ან შეგენებულად ვაიგნორებთ მჩაგვრელობით ძალადობას, რომელიც ათასობით მსხვერპლს იწვევს. რომლებიც ხშირად დამცირების, შიმშილობის და ხანგძლივი ტანჯვისთვის სასიკვდილოდ არიან განწირულნი.

ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს თავდაცვითი ტერორიზმის დადანაშაულებას, თუმცა არ ცდილობენ მიზეზის აღმოფხვრას რომელიც რელურად მათ ხელშია. ნაცვლად ამისა ისინი ჩაგრულების წინააღმდეგ უფრო მეტ სიმკაცრეს აგატირებენ ან მხარს უჭერენ მჩაგვრელებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერები თავიანთ გადაწყვეტილებებს იღებენ არასწორი ინფორმაციის საფუძველზე. ხშირად ეს ინფორმაციის სყარო დამკვიდრებული არასწორი წარმოდგენები და უმეცრებაა. შესაბამისად გადაწყვეტილების მიმღებებს მეტი ყურადღება მართებთ რათა მიღებული ინფორმაცია მაქსიმალურად მართებული იყოს და იგი პირველ წყაროდან მომდინარეობდეს. არც ის გამოირიცხება, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ზოგიერთი ლიდერი პირადი მიზნების რეალიზებისთვის თავად აყალბებს ინფორმაციას. ხოლო შემდეგ მედია საშუალებები და სხვა ლიდერებიც არსებულ სიყალბეს ავრცელებენ და მხას უჭერენ.

3. ისლამი აგრესიული ტერორიზმის მიმართ შესაბამის დამსჯელ მექანიზმს აწესებს, თუ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება რაიმე ეჭვს არ იწვევს. ამ შემთხვევაში მოსამართლეს საშუალება ეძლევა უარყოს საეჭვო აღიარებები. თუ სათანადოდ არ იქნება გამოკვეთილი ჩადენილი დანაშაული და არასაკმარისი მკიცებულების საფუძველზე შურისძიების ფორმატში იქნება დასჯა განხორციელებული, ის პრევენციის ნაცვლად მხოლოს ხელს შეუწყობს მემდგომ ტერორიზმს.

მოუწოდებს თუ არა ყურანის სკოლები სიძულვილსა და ფანატიზმს?

ზემოთხსენებულ ყურანის აითებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ისლამი ყველა ადამიანს და ჯიხს როგორც ამქვეყნიურ ასევე იმქვეყნიურ მშვიდობასა და კეთილდღეობას სთავაზობს. წმინდა ყურანი ყველა მუსლიმს სხვისი უფლებების პატივისცემას ავალდებულებს განურჩევლად მათი განსხვავებული მრწამსისა. ყველა ვინც ყურანს კითხულობს ისლამის მიხედვით უნდა იყოს მაღალი მორალის მქონე პიროვნება, ყველა ადამიანის მიმართ უნდა ჰქონდეს კეთილი დამოკიდებულება, და ზრუნავდეს მათ ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ კეთილდღეობაზე. უზენაესი ღმერთი ბრძანებს: „არ გიკრძალავს თქვენ ალლაჰი იმათ მიმართ, რომელნიც არ შეგებრძოლებიან თქვენ რწმენის თაობაზე და არ გაუძევებიხართ საკუთარი

სახლებიდან, რომ უქმნათ სიკეთე და მოეპყროთ სამართლიანად. უეჭველად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები“. ⁷¹ „ მაგრამ გიკრძალავს ალლაჰი იმათ დაუმეგობრდეთ, რომელთაც შეგებრძოლნენ რწმენის თაობაზე, გაგაძევე საკუთარი სახლებიდან და მხარში ამოუდგნენ თქვენს დევნაში. ხოლო ვინც მათ დაუმეგობრდება, სწორედ, ისინი არიან ცოდვილნი!“.⁷²

მაგალითად წმინდა ყურანი მოუწოდებს მუსლიმებს დაიცვან სტუმრების, მეზობლების, ნათესავების, და მშობლების უფლებები მაშინაც კი თუ ისინი მუსლიმები არ არიან. ღმერთი ბრძანებს: „და ვუანდერძეთ ადამიანს სიკეთე მშობლების მიმართ. და თუ ისინი შენს წინააღმდეგ იბრძოლებენ, რომ თანაზიარად განმიხადო ის, რისი ცოდნაც არ გაგაჩნია, არ დაემორჩილო მათ..“⁷³

წმინდა ყურანში ადამიანის ღირსებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იგი მუსლიმებს მოუწოდებს იყონ თავდაჯერობულნი, თუმცა არა ამაყი. მოუწოდებს სიძლიერეს მაგრამ არა სხვის ჩაგვრას.

ყურანი აგრეთვე მოიცავს, წმინდა შაუმაველის ბრძოლის ისტორიას, აღწერს მათ ვინც შუამავალს და მის მოწოდებებს დაუპირისპირდა, აგრეთვე გადმოგვცემს მისი მტრების მიმართ თოთხმეტ წლიან ტოლერატულ დამოკიდებულებას სანამ შესაბამისი ნებართვა არ მოევლინა დაეცვა საკუთარი თავი და შებრძოლებოდა მათ.

ყველა ჩვენთაგანმა ვიცით, რომ სხვადასხვა რასებს, რელიგიებს და სახელმწიფოს შორის უამრავი ომი იყო. კომფლიქტის დროს ორივე მხარემ სხვადასხვა სახის ტერორს მიმართა.

⁷¹ ყურანი, 60/8

⁷² ყურანი, 60/9

⁷³ ყურანი, 29/8

შესაძლებელია მივიჩნიოთ რომ კომფლიქტში არსებული ყველა მხარე აგრესიული ტერორისტია? ან არის თუა არა მჩაგვრელობა და თავდაცვა დამოკიდებული თითოეული მათგანის მოტივაციაზე?

ყველა ქვეყანას გააჩია სამხედრო ძალა და სამხედრო აკადემიები. სამხედროების წვრთნას დიდი ყურადღება ეთობა და ასევე მათზე დიდძალი მატერიალური რესურსი იხარჯება რათა სამხედრომ შეძლოს გამანადგურებელი იარაღის ეფექტური გამოყენება. რეალურად, ტექნიკურად წარმატებულ ქვეყნებს გამანადგურებელი იარაღი უფრო მეტად აქვთ განვითარებული. ასევე ისინი ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებთან იარაღის მიყიდვითაც არიან დაკავებულნი. ისინი ტრაზახობენ/ამაყობენ იმით, რომ მათ გააჩნიათ ყველაზე ძლიერი არმია და ყველაზე ძიერი გამანადგურებელი იარაღი.

შესაძლებელია თუ არა, რომ ეს ქვეყნები ახალისებენ მჩაგვრელობით ტერორიზმს და თავიანთ მოქალაქეებს წვრთნიან რათა უკეთესად შეძლონ სხვისი დატერორება, ან მათ მოერგოთ ტერორისტების იარაღი? - ამ კითხვაზე მასუხი არის - არა, რადგან გონიერმა ადამიანმა უნდა მოემზადოს უსამართლობისა და აგრესიული ტერორიზმისგან თავდაცვისათვის. ამ მიზეზიდან გამომდინარე ყველა სახის კანონმდებლობა როგორც ღვთიური ასევე ადამინის შექმნილი თავდაცვის ნებას რთავს. ყველას უფლება აქვს დაიცოს საკუთარი თავი, ქონება და ღირსება.

ზოგიერთი პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ ისლამის კონსტიტუცია ანუ ყურანის სწავლება აღვივებს სიძულვილსა და ფანატიზმს, რადგან იგი მოიცავს შუამავლის არამუსლიმებთან ბრძოლის ისტორიას. იგივე ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ უნდა ავუკრძალოთ სხვადასხვა ერებს, რომ არ ასწავლონ საზოგადოებას საკუთარი ისტორია ვინაიდან იგი ხელს უწყობს სიძულვილს, რადგან მასში საუბარია ამა თუ იმ ჯგუფებს შორის ბრძოლებზე მათ შორის ერთი ქვეყნის შიგნით არსებულ ჯგუფებს შორის ბრძოლებიც. რეალურად, უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს სადაც

მსოფლიო მასშტაბით რეგიონალური თუ სამოქალაქო სისხლიანი ომებია აღწერილი
- არც ეს უნდა ისწავლებოდეს?

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, ბიბლიაში არსებობს ბევრი ტექსტი, რომელთა კონტექსტიდან ამოგლეჯილი გაცნობა ძალადობრივ ფორმას იძენს. მაგალითისთვის ძველ აღთქმაში ვკითხულობთ: „მოკალი ყველა ბიჭი და მოკალი ყველა ქალი რომელსაც ჰქონდათ სექსუალური კვაშირი, ხოლო შენთვის ცოცხლად დაიტოვე ყველა გოგო და ქალი რომელიც ქალწულია“.

ბიბლიაში ასევე ვკითხულობთ: „თქვენი მბრძალბელი ღმერთი თქვენ მიგიყვანთ მიწაზე, რომელიც უნდა დაიკავოთ, და იგი განათავისუფლებს ამ მიწას სხვა ერებისგან.... როდესაც თქვენი ღმერთი იმ ხალხს თქვენს ხელთ ჩაგიგდებთ და მათ დაამარცხებთ, ვალდებული ხართ ყველა მათგანი დახოცოთ. არ შექმნათ მათთან ალიანსი და არ გამოიჩინოთ მათ მიმართ წყალობა. არ იქორწინოთ მათზე და თქვენ შვილებს არ მისცენთ მათზე ქორწინების უფლება“...

ახალ აღთქმაში ვკითხულობთ: „გეუბნებით, მან უპასუხა, მათ ვისაც რაიმე გააჩნიათ უფრო მეტი ებოძებათ, ხოლო ვისაც მცირედი გააჩნიათ, ამასაც დაკარგავენ. ახლა, ისინი ვინც მე მტრობენ და მათ მბრძანებლად არ მაღიარებენ, მოიყვანე აქ და ჩემი თანდასწრებით დახოცე“.

მოუწოდებს თუ არა ეს ტექსტები მჩაგვრელობით ტერორიზმს? გონიერმა პიროვნებამ უნდა მიხვდეს რომ არა. რადგან ეს ტექსტები და სხვა წმინდა ტექსტები უნდა გავაანალიზოტ შესაბამის კონტექსტში და არა მის მიღმა.

VII თავი

ისლამის კანონების გნხორციელება და ექსტრემიზი

სიტვა „ექსტრემს“ პირობოთი მნიშვნელობები გააჩნია. ნებისმიერი რამე ერთი ადამინისთვის შესაძლოა ექსტრემი იყოს, ხოლო მეორესთვის ჩვეულებრივი მოვლენა. იგი დროდადრო ერთსა და იმავე ქალაქშიც კი იცვლება. ერთ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში სიკვდილით დასჯას ექსტრემალურ დასჯად მიიჩნევდნენ, რომელიც კანონდებლობიდან იქნა ამოღებული. მაგრამ დღეისათვის ზოგიერთი შტატი ამ განონმდებლობის ისევ ძალაში შესვლას არ გამორიცხავს.

შესაბამისად როგორ შეილება განვსაზღვროთ ექსტრემიზმი?

თუკი მუსლიმი უტყუარი მონაცემებით დარწმუნდა, რომ კონკრეტული კანონი ღვთიურია, მას ექვი აღარ ეპარება, რომ ეს კანონი უკეთესია ვიდრე ადამინების მიერ შექმნილი ნებისმიერი კანონი. უზენაესი ღმერთი არის ერთადერთი შემოქმედი და მან კარგად იცო თუ რა არის მისი ქმნილებისთვის უკეთესი.

შესაბამისად, თუ კონკრეტული ეროვნება ან მოქალაქეთა უმრავლესობა ისლამს აირჩევს, როგორც კანონმდებლობის სრულ პაკეტს, რომელიც აწესრიგებს მათშორის და სხვა საზოგადოების შორის ურთიერთობებს, მაშინ ვალდებულნი არიან მათი პირადი და საჯარო ცხოვრება ისლამის კანონმდებლობის ჩარჩოებს არ გასცდეს. როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ქარტიის თანახმად, ყველა ერს გააჩნია უფლება აირჩიოს ის რაც თავად უკეთესად მიაჩნია.

ქეშმარიტ მორწმუნე მუსლიმს მტკიცედ ჯერავს, რომ ამ ქვეყნად ცხოვრებისას ისლამის კანონი უეჭველად დაიცას გონივრული არსებებისთვის კეთილდღეობასა და მშვიდობას. მათ აგრეთვე სჯერავთ, რომ ისლამის კანონი საიქიო ცხოვრებაში ბედნიერების გარატეხასაც იძლევა, თუ მორწმინე ამ კანონების მიხედვით იცხოვრებს და არ გაუჩენს თანაზიარს უზენაეს ალლაჰს მხოლოდ ერთადერთ ღმერთს. ღმერთი ბრძანებს: „**უეჭველად, ალლაჰი არ მიუტევებს, რომ თანაზიარნი გაუჩინონ მას, და**

მიუტევენ ამის გარდა ყველაფერს, ინებებს ვისაც. და ვინც ალლაჰს თანაზიარს გაუჩენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის! ⁷⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამს ზოგიერთი დანაშაულის მიმართ მტკიცე დამსჯელი მექანიზმები გააჩნია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასჯა არ უნდა აღსრულდეს თუ არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რომელიც კონკრეტულ წესებიდან გამომდინარეობს. ისლამი არ არის პირველი რომელსაც ეს კანონები გააჩნია, ამ კანონების დიდი ნაწილი ებრაულისა და ქრისტიანობის ნაწილია.

ზოგადად ისლამი აწესებს ძირითად წესებსა და ლიმიტებს, რომელიც ხელშეუხებელია. თუმცა ამ შეზღუდვების საზღვრებს მიღმა ისლამური კანონებისა და რეალობის განსჯიდან გამომდინარე მჯელობისათვის ტოვებს საკმარის სივრცეს.

აიძულებს თუ არა ისლამური ქვეყნები ექსტრემისტული დასჯას?

ისლამური ქვეყნის მთავრობა, ისევე როგორც სხვა მთავრობები ვალდებულია აღასრულოს ის კანონმდებლობა რაც მექალაქეთა უმრავლესობამ აირჩია. თუ რომელიმე ისლამური ქვეყნის მოქალაქეებს ისლამი არჩეული აქვთ როგორც საკანონმდებლო პაკეტი, მაშინ ხელისუფლებას არ გააჩნია სხვა ალტერნატიული გზა გარდა იმის რომ ეს კანონმდებლობა განახორციელოს. კანონის სიმკაცრე არ უნდა იყოს გაზომილი: ა) იმის გათვალისწინების გარეშე პიროვნებას ისლამის შესახებ შესაბამისი ცოდნა გააჩნია თუ არ გააჩნია, ბ) ან იმის მიხედვით თუ როგორ იყენებენ ისლამის კანონებს ისლამური ქვეყნები. არამედ მისი სიმკაცრე უნდა გაიზომოს ყურანში არსებული ტექსტებზე და შუამავლის ჰადისებზე დაყრდნობით, ასევე იმ სწავლული იურისტების მიერ რომლებიც ამ წყაროებზე დაყრდნობით დასკვნებს აკეთებენ.

რეალობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი ისლამური ქვეყნების ხელისუფლება კანონებთან მიმართებაში უფრო შერბილებილია ვიდრე

⁷⁴ ყურანი, 4/48

შუამავლის და ხალიფების პერიოდში, ამ მომდევნო თაობების მართვის პერიოდში. შესაძლოა ეს გამომდინარეობდეს იმის გამო, რომ თანამედროვე მთაროებში აცნობიერებენ დღევანდელი ცხოვრების მახასიათებელს, სადაც იზოლირება შეუძლებელია და ასევე ისლამური სწავლების შეძლების მცდელობას უადრესად დიდია. შესაბამისად ხელისუფლება ვალდებულია ისლამის კანონის სიმკაცრესა და მუსლიმების ისლამზე სრულიად ჩამოცილებას შორის ბალანსი დაიცოს.

ზოგადად ისლამში დასჯა არ მოიაზრება როგორც შურისძიება, არამედ ის არის დისციპლინის საშუალება, ან თავშეკავებულობისკენ მოწოდება მათვის ვინც სხვა შემთხვევაში დანაშაულს ჩაიდენდა.

ისლამში დასჯა შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

1. იმ ადამიანების დაშინების მექანიზმი ვინც პოტენციური დანაშაულის ჩამდენია. ძალზე მკაცრია მაგრამ განხორციელება რთულია. ამ დანაშაულებების დამტკიცების ერთადერთი გზა არის გულრწველი მონანიება რათა განიწმინდოს ცოდვებიდან. ამის მაგალითია დაქორწინებული ადამიანის მრუმობისთვის გამოტანილი სიკვდილით დასჯის განაჩენი.

2. გაწმენდის საშუალება. შუამავლის პერიოდში ერთი ქალი თავის დანაშაულს გამუდმებით აღიარებდა, მას სიკვდილი მიუსაჯეს, რაზედაც შუამავალმა შემდეგი კომენტარი გააკეთა; „მან ისეთი სინანულით მოინანია, რომ სამოცდაათ ადამიანს შეიფარებს, არის რაიმე ამაზე უკეთესი ვიდრე საკუთარი თავის ალლაჰის წინაშე სხვერპლშეწირვა?“

3. დისციპლინის საშუალება, რათა თემს არ დაემუქროს სერიოზული საშიშროება.

4. მართვის გონივრული საშუალება.

5. სხვისი უფლებების შელახვის კონპენსაციური საშუალება, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ განხორციელდეს შესაბამისი დასჯა.

რატომ არის ისლამში უმაღლესი სასჯელის ფორმა სიკვდილით დასჯა?

ვინაიდან უმრავლესობას არჩეული აქვს ისლამის კანონმდებლობა, მტავრობას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია გარდა იმისა რომ ეს არჩევანი ძალაში შეიყვანოს. უზენაესი ალლჰი ბრძანებს: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! სავალდებულო გახდა თქვენდა სამაგიეროს გადახდა მოკლულთათვის (ყისასი). თავისუფალი თავისუფალის წილ, და მონა მონის წილ, და ქალი ქალის წილ. ხოლო ვისაც ეპატიოს რამე თავის (მოკლულის) ძმისაგან (ახლობლებისგან), წესისამებრ უნდა მოიქცეს იგი და აუნაზღაუროს კეთილად (გადაიხადოს დიეტი). ესაა შეღავათი თქვენი ღმერთისგან და წყალობა; და ვინც ზღვარს გადავიდეს, ამის მერე მწარე სასჯელი მიეზღოს მას!“⁷⁵ ასევე ღმერთი უდანაშაულო ადამიანის მოკვლის შესახებ ბრძანებს: „...ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწყვიტოს“.⁷⁶ შესაბამისად თუ რომელიმე ხელისუფლება განახორციელებს ამ კანონს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ვალდებულებაა.

ზემოთ ხსენებული აიათიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ისლამი იცავს მხარეთა უფლებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი პატიების შესაძლებლობასაც იძლევა. ხშირად დანაშაულის პატიება ბოლო მომენტში ვლინდება, როდესაც დამნაშავე იგრძნობს ჩადენილი დანაშაულის პასუხისმდებლობას. ეს მიდგომა სამართლიანია, რადგან სეკულარული კანონმდებლობის საფუძველზეც ხელისუფლებას არ აქვს უფლება მსხვერპლის ნების გარეშე ქურდს აპატიოს ჩადენილი დანაშაული.

⁷⁵ ყურანი, 2/178.

⁷⁶ ყურანი, 5/32.

თუკი ჩვენ ფაქტებით ვიმსჯელებთ და გავიხენებთ 11 სექტემბრის შემთხვევასთან დაკავშირებულ რეაქციას, ასევე უსაფრთხოების საბჭოს მიერ მიღებულ დამსჯელ ღონისძიებებს ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ისლამში დასჯის უმაღლესი ზომა სამართლიანია, თუ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულებები რაიმე ეჭვს აღარ იწვევს. შესაბამისად დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ თავად მიიღებს ჩადენილი დანაშაულისთვის განკუთვნილ სასჯელს. და თუ გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნული დანაშაულის სიმძიმეს, რომელიც ეხება ათასობით უმწეო ბავშვს, ქალებს, ხანდაზმულ ადამიანებს რომელთა ნაწილი დაიხოცა ან დასახიჩრდა, მაშინ ჩვენთვის გასაგები იქნება, რომ სასჯელი რომელიც დამნაშავეს მიმართ განხორციელდა სამართლიანია.

ღმერთი ბრძანებს: „და სამაგიეროს გადახდაში სიცოცხლეა თქვენთვის, ჰეი, გონიერნო! ეგების დაცული იქმნეთ ყოველივე ცუდისაგან“.⁷⁷

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი ბოროტი ადამიანის სიკვდილით შესაძლებელია გადარჩეს უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე.

ბუნებრივია, იმ ერთი ადამიანის რომელიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე მკვლელობა სიკვდილით დასჯა უკეთესია ვიდრე ნება დართო კრიმინალს ან კრიმინალთა ჯგუფს ამოხოცონ უამრავი უდანაშაულო ადამიანები, რათა მოახდინონ თავიანთი მზაკვრული ჟინისა თუ ინტერესის რეალიზება. შესაბამისად, ისლამში არსებული დასჯის უმაღლესი ზომა კრიმინალების მკვლელობისა და ტერორისაგან იცავს უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს. და ეს არის ზუსტად ის რასაც სხვა ერებიც აკეთებენ. გაერთიანებული ერების (გაერო) დონეზეც კი საკმარისად მკაცრი სასჯელის გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნება, თუმცა სასჯელი მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს თუ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება არანაირ ეჭვს აღარ იწვევს.

თუ ბოროტი მხარე კლავს უდანაშაულო ადამინებს და მავნებლური შესაძლებლობებით ავრცელებს სიბოროტეს, მაშინ კეთილ მხარეს რატომ არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა აღმოფხვრას სიბოროტე და მოახდინოს საზოგადოების ინტერესის რეალიზება?

ისლამი კრძალავს უდანაშაულოთა მკვლელობას, ასევე არასაკმარისი მიზეზით მშვიდიებიანი ადამინების ტერორს. აგრეთვე ისლამი აგრესორს უკრძალავს ძალის გამოყენებით სხვის მიწის ოკუპაციას და ადგილობრივი მოსახლეობის საკუთარი ტერიტორიიდან განდევნას. ისლამი კრიმინალებზე მხარდაჭერას დანაშაულად მიიჩნევს, არა აქვს მნისვნელობა ეს მხარდაჭერა იქნება ფინანსური, სამხედრო თუ „ვეტო“ გაეროს უსაფრთხოების საბჭოში. ღმერთი ბრძანებს: „და შეეწიეთ ერთმანეთს ღვთისმოსაობასა და ღვთისმოშიშობაში, მაგრამ არ შეეწიოთ ერთმანეთს ცოდვასა და მტრობაში“.⁷⁸

რა სასჯელია ღირებული ნივთის მოპარვის შემთხვევაში?

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „და ქურდ კაცსა და ქურდ ქალს ორივეს ხელები მოჰკვეთეთ ალლაჰისგან საზღაურად რაც ჩაიდინეს, და (ხალხთათვის) სანიმუშოდ. ხოლო ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.“⁷⁹ შესაბამისად ისამური ქვეყნების ხელისუფლება თუ ამ კანონს აღასრულებს, ეს მხოლოდ მათი მოვალეობის შესრულება იქნება.

ასევე, არც ერთ ხელისუფალს არ აქვს უფლება უარი თქვას ამ კანონის აღსრულებაზე, რადგან იგი უმრავლესობის არჩევანია.

ისლამი იცავს ადამინების ისეთ ძირითად უფლებებსა და საჭიროებებს, როგორიცაა: მათი სიცოცხლე, საკუთრება, ღირსება და რწმენა. ერთ-ერთი

⁷⁷ ყურანი, 2/179

⁷⁸ ყურანი, 5/2.

⁷⁹ ყურანი, 5/38.

კომპანიონის (საჰაბე) გადმოცემით, შუამავალმა მუჰამედმა მსხვერპლშეწირვის დღეს ხალხს მიმართა: „ო, ხალხო როგორია ეს დღე? პილიგრიმებმა უპასუხეს: ეს წმინდა დღეა შუამავალო. შემდეგ ისევ შუამავალმა მიმართა: - როგორი ადგილია ეს? მათ უპასუხეს: ეს წმინდა ადგილია. ისევ შუამავალმა მიმართა: როგორი თვეა ეს? მათ თქვეს: ეს წმინდა თვეა. ბოლოს შამავალმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: თქვენი სიცოცხლე, საკუთრება ღირსება ისეთივე წმინდაა, როგორიც არის ეს ადგილი, თვე და დღე“.⁸⁰ შესაბამისად მიზანმიმართულად ამ ღირებულებების შელახვა მკაცრს სასჯელს იმსახურებს, და ეს იქნება მაგალითი რომ მსგავსი ქმედება აღარ გამეორდეს. თუმცა, არსებობს რამდენიმე მკაცრი წინაპირობა განაჩენის სისრულეში მოყვანამდე. მსგავსი დასჯა იშვიათია და რამდენიმე ათეული დღე უნდა გავიდეს მის დასჯის აღსრულებამდე.

რატომ ისჯება ისლამში ქორწინებამდე სექსუალური კავშირი?

უზენაესი ბრძანებს: „მეძავი ქალი და მეძავი კაცი - თითოეული გაროზგეთ ასჯერ, არ შეიბრალოთ ისინი ალლაჰის რჯულისათვის, თუ გწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი! მათი დასჯის მოწმე იყოს მორწმუნეთა ერთი ჯგუფი“⁸¹ შესაბამისად თუ მუღიმი ხელისუფლება ამ კონკრეტულ კანონს სისრულეში მოიყვანს ეს მათი როგორც უმრავლესობის წარმომადგენლების პასუხისმგებლობის შესრულება იქნება.

... თუ ჩვენ სათანადოდ შევისწავლით ქორწინების გარეშე სექსუალურ ურთიერთობების შედეგებს, დავინახავთ, რომ ის კონკრეტულს საზოგადოებას უამრავ პრობლემის წინაშე აყენებს, როგორიცაა, ბანდებში გაწევრიენება, მიტოვებული ბავშვები, აბორტების სიმრავლე, არამყარი ქორწინებები და სუსტი ოჯახული ურთიერთობები. ეჭვგარეშეა, რომ ისლამი ისე არეგულირებს სექსუალურ ურთიერთობის ფორმას, რომ მამაკაცსაც და ქალსაც აძლევს სექსუალური ინსტიქტის

⁸⁰ ბუხარი: ჰაჯი.

⁸¹ ყურანი, 24/2

დაკმაყოფილების შესაძლებლობას, თუმცა ორივეს აკისრებს შედეგზე პასუხისმგებლობას. შესაბამისად, თემის საჭიროებები დაბალანსებულია, ხოლო ინდოვიდების უფლებები დაცულია, განსაკუთრებით სპეციალური ბავშვებისა და მოზარდების უფლებები. მათ (მშობლებს) აქვთ უფლება იპოვონ პიროვნება რომელიც მოუვლის მათ და პასუხისმგებლობა მთლიანად დედას არ დაეკისრება. არ იქნება სამართლიანი თუ მამაკაცი სექსუალური საიმოვნების შემდეგ მარტივად პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება. რეალურად, ის კანონები და რეზოლუციები, რომელიც თავისუფალ სექსუალურ ურთიერთობას ეხება, გამოხატავს კაცის მიერ ქალის ექსპლუატაციის (გამოყენების) ლეგალიზებას.

ხოლო, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებით ქალები დედობრივი ინსტიქტის სიამოვნებას ჩამოვაშორდებიან. გარდა ამისა, სხვა სახის პრობლემებიც იჩენს თავს, მაგალითად დაირვევა კონკრეტული ერის თუ თემის ასაკობრივი ბალანსი. მოიმატებს ასაკოვანი ადამიანის რიცხვი და შემცირდება თემის ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სექტორი, ახალგაზრდობა. ეს უჭველად ნეგატიურად იმოქმედებს ერის სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე, და ასევე ნეგატიურად აისახება სამხედრო თავდაცვის უნარიანობაზეც. ასევე, არალეგალური სექსუალური ურთიერთობა ექვიანობის შედეგად წარმოქმნის დანაშაულის ჩადენის მაღალ რისკებსაც.

ზემოთ ხსენებული უამრავი პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია არალეგალურ თავისუფალ სექსთან, ისლამს გააჩნია მკაცრი სასჯელი რათა დაიცვას ქალის და უმწეო ბავშვების უფლებები. ასევე უზრუნველყოს ორივე სქესს შორის ჯანსაღი და ნაყოფიერი ურთიერთობები.

ფაქტია, რომ განკუთვნილი სასჯელი მკაცრია, თუმცა ისლამის კანონმდებლობა სასჯელის განხორციელებამდე უტყუარ მტკიცებულებებს მოითხოვს. მაგალითად, პიროვნების მრუშობის დამტკიცებისთვის უნდა არსებობდეს ოთხო მოწმე, რომლებიც უშუალოდ სექსუალური აქტის

თვითმხილველებია არიან. ასევე ქალის რეპუტაციის დასაცავად ისლამში მკაცრი სასჯელია თუ დანაშაული სიყალბი შემცველია. ღმერთი ბრძანებს: „და რომელნიც ცილს დასწამებენ პატიოსან ქალებს, შემდეგ კი არ მოიყვანებენ ოთხ მოწმეს, მაშინ ისინი გაროზგეთ ოთხმოცჯერ. და არასდროს მიიღოთ მათი მოწმეობა, რამეთუ სწორედ ეგენი არიან ცოდვილნი...“⁸²

როგორია სიმართლე მრუშობის ჩადენის დროს სიკვდილის დასჯასთან დაკავშირებით?

ქორწინებაში მყოფი ადამიანების მიერ ჩადენილი მრუშობის შემდეგ მათი სიკვდილით დასჯის საკითხი მნისვნელოვან განხილვის თემას წარმოადგენს. არსებობენ სწავლულები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ სასჯელის ვალიდობას. მათი მტკიცებით შუამავალმა დასჯის ეს ფორმა მა'ეზ ალ-ასლამის, გჰამიდების ქალის, ჯუჰამის ქალის და შურაჰაჰის შემთხვევების დროს გამოიყენა. ასევე შუამავალმა (ს.ა.ვ.) ბძანა: „*მრუშობის სასჯელი (თუ ჩამდენი ქორწინებაშია) არის ასი როზგი და სიკვდილით დასჯა - ჩაქოლვით.*

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად დასჯის ეს ფორმა მრუშობის ჩამდენის დასაშინებლად მოგონილია, ვინაიდან ისლამამდელ პერიოდში მრუშობა ძალზე გავრცელებული იყო საზოგადოებაში. შესაბამისად მკაცრი სასჯელის დაანონსება აღვირახსნილი ქმედების შესაჩერებლად იყო საჭირო, და არა რეალურად განხორციელებისთვის. ამ მოსაზრების მხარდამჭერები შემდეგ არუმენტებით ამყარებენ თავიანთ პოზიციას:

1. ისლამი მრუშობის დამტკიცების ფორმას რთულად სთავაზობს. მკიცებულებისთვის საჭიროა ოთხი პიროვნება რომელიც უშუალოდ სექსუალური აქტის თვითმხილველია, რაც ნორმალურ გარემოებაში რეალურად შეუძლებელია. ასევე ის ვინც სპეტაკ ადამიანებს მრუშობის ცილს დასწამებს მისთვის ოთხმოცი

⁸² ყურანი, 24/4

როზგი (შოლტი) სასჯელია განკუთვნილი. ისლამი ბრალდებულ ცოლს აძლევს შანსს ოთხი მოწმის თანდასწრებით ალლაჰზე დაფიცებით გაითავისუფლოს თავი ამ ბრალდებისგან ასევე ხუთჯერ შეუძლია დაიფიცოს, რომ ღვთის რისხვა მასზე იყოს თუ მრალდება სიმართლეს შეესაბამებოდეს.

2. შუამავლის პერიოდში ყველა მსგავში შემთხვევა თვითნებურ აღიარების საფუძველზე გადაწყდა და შუამავალი მაქსიმალურად ცდილობდა წესისამებრ დასჯის არიდებას. მაგალითად, მა'ეზის შემთხვევაში შუამავალი მას ოთხჯერ განერიდა ოთხი დღის განმავლობაში. ამ ადამიანის ახლობლებს მისი მენტალური მდგომარეობის შესახებ ეკითხებოდა და ცდილობდა გამაღიზიანებელი კითხვებით გადაეთქმევინებია. საბოლოოდ, როცა მას აცნობეს რომ მა'ეზი დასჯის დროს ჩაქოლვის პროცესიდან გაექცნენ და მათ გამოედევნენ, შუამავალმა უთხრა: 'რატომ არ გაანებეთ თავი გაქცეულს და არ დატოვეთ მარტო?'

გრაჰამის ქალთან დაკავშირებით შუამავალი (ს.ავ.) ცდილობდა დაჯის შეყოვნებას, იმედოვნებდა რომ ის მოვიდიდა და აღიარებისაგან თავს შეიკავებდა. დასჯის აღსრულება დაახლოებით ორი წელი შეყოვნდა სანამ იგი ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდს ამოწურავდა.

3. შეუძლებელია რომ, მრუშობა ერთმა ადამიანმა ჩაიდინოს, თუმცა გარდა ერთი გამონაკლისისა შუამავალს არ მოუძებნია მეორე მხარე რომელიც უნდა დასჯილიყო. ცნობულია მხოლოდ ერთი შემთხვევაა როდესაც ქმარმა ცოლის პარტნიორისგან კომპენსაცია აიღო, თუმცა ეს ფაქტიც შუამავლის შემდეგ პერიოდში მოხდა.

4. დადგენილების გაუქმების შესახებ მონაცემები ძლიერია რადგან: ყურანში არსებობდა მრუშობის ჩამდენი ქალის შესახებ დადგენილება რომელიც არ გაბათილებულა, მაგრამ თავად დადგენილება გაუქდა. როგორც ერთნი ამტკიცებენ, თუ აიათი ამოღეს წმინდა ყურანიდან, მაშინ დადგენილებაც ბუნებრივია გაუქმდებოდა.

თუმცა, მკაცრი სასჯელების გაფთხილება სხვა შემთხვევებშიც არის მოცემული, მაგალითად წყევლა იმ ადამიანებისა ვინც მევახშეობით არის დაკავებული, ან ქალი რომელიც ტატუს გაიკეთებს ან სხვას გაუკეთებს. ამ კონკრეტულ შემთხვევებში წყევლა არის მხოლოდ მათი ღვთის წალობაზე ჩამოშორება, არამედ იდი ასევე მკაცრი გაფრთხილებაა.

ასეთი სახის რეგულაციები არც ადამიანების შექმნილ კანონმდებლობისთვისაც არ არის უცხო. მაგალითად, ამერიკის ზოგიერთ შტატში გზის დანაგვინებისთვის 500 \$ ჯარიმაა დაწესებული.

ზოგადად, როცა სათანადო ყურადღებას დავუთმობთ მსგავს სასჯელებს, ჩვენ შევნიშნავთ, რომ ისინი ადამიანის უფლებებზეა კონცენტრირებული. თუ ვინმე ისეთ გარემოში დაკავდება სექსით სადაც ოთხ ადამიანს მისი დეტალების აღწერა შეეძლება, ეს არამხოლოდ მისი ლეგალური პარტნიორის და სისხლის ნათესავების ღირსებას შეურაცყოფს, არამედ საზოგადოების მორალური დამცირებაცაა.

იმსახურებს თუ არა რჯულიდან გასული ადამიანი სასჯელს?

როგორც ადრე ვახსენეთ, რელიგიაში იძულება არ არსებობს, თუმცა როდესაც პიროვნება თავისი სურვილით ისლამს აირჩევს იგი მუდმივ ხელშეკრულებას დებს ალლაჰის წინაშე. შესაბამისად ზოგი სწავლული შუამავლის (ს.ა.ვ.) ჰადის ეყრდნობა: „ მოკალით ყველა ვინც რელიგიას შეიცვლის“. ეს მსგავსია შემთხვევისა, როცა ადამიანი მოქალაქეობას იღებს ქვეყნისას, რომელშიც კონკრეტული დანაშაულისთვის განაჩენი სიკვდილით დასჯაა. შეთანხმება გაფორმებულია ორივე მხარის მიერ და არც ერთ მხარეს არ შეუძლია მისი დარღვევა მხარესთან შეთანხმების გარეშე. დადგენილება მაშინ გაჩნდა, როცა არ ასებობდა მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკმარისი ჩანაწერი. რელიგია იყო ერთადერთი გზა, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იყო სხვადასხვა კატეგორიების დადგენა. მუსლიმების მტრებისთვის მარტივი იყო ფარისევლობით მოჩვენებით ისლამის მიღებით მათ რიგებს შეეთებოდნენ და გამოეწვიათ მუსლიმების დაბნეულობა, რითაც ცდილობდნენ

მორწმუნეები აცდელიყვნენ ჭესმარიტებას. შესაბამისად, საჭირო იყო ამ კარის ჩაკეტვა, ანუ მკაცრი სასჯელი მათვის ვინც რელიგიის ცვლილებით მანიპულირებდა.

რელიგია იყო იდენტობის ძირითადი განმსაზღვრელი, ის ადამიანს უწესებს პასუხისმგებლობას და აძლევს ბრივილეგიებს, რომლებიც შესაძლოა არასწორად იქნეს გამოყენებული. მუსლიმ სახელმწიფოში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში, კანონდებლობით თამაში და ეროვნული იდენტობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. მუსლიმის იდენტობის ბოროტად გამოყენების შესახებ წმინდა ყურანსი ვკითხულობ: „და თქვა ღვთიური წიგნის ხალხის ერთმა ჯგუფმა: „ის, რაც გარდმოვევლინა მორწმუნეებს, ირწმუნეთ დღის დასაწყისში და უარყავით დღის ბოლოს (საღამო ჟამს), ეგების უკან დაუბრუნდნენ (ჩვენს სარწმუნოებას)“.⁸³ ისლამი ბოლო ღვთიური რელიგიაა, შესასაბამისად პიროვნების გაქრისტიანება ან იუდაიზმის მიღება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება.

თუმცა მუსლიმ სწავლულებს ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. ზოგი მათგანი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ დაშინებას ემსახირება. და ქვემოთ მოცემულ არგუმენტებს ეყრდნობიან:

1. არ არსებობს ქალებთან ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი შეთანხმება.

2. არსებობს მონანიების შესაძლებლობის შესახებ შეთანხმება, თუმცა არ არსებობს შეთანხმება მის ხანგძლივობასთან აკავშირებით. ზოგიერთ სწავლულს მიაჩნია რომ ეს შესაძლებლობა ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე აქვს, რადგან ღმერთი ბრძანებს: „და თუ რომელიმე თქვენგანი განეშორება თავის სარწმუნოებას და მოკვდება ურწმუნოდ, ასეთებს ამაოებად ექცევათ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ცხოვრება“.⁸⁴ შუამავალი აგრეთვე ბრძანებს: „ღმერთი თავისი მსახურის მონანიებას

⁸³ ყურანი, 3/72

⁸⁴ ყურანი, 2/217.

ბოლო ამოსუნთქვამდე მიიღებს“.⁸⁵ შუამავლის სხვა ჰადისებმოუწოდებს სიკვდილიტ დასჯას თუ რჯულ შეცვლილი ადამინი ისლამის მიმართ მტრულ პოზიციას დაიჭერს. ყველაფრის მიუხედავად, ისლამის ინტერესებში არ შედის ადამიანებზე დაჩქარებულად სიციცხლის წართმევა, რადგან ისინი დაკარგავენ ისლამის მიღების ან მონანიების ბოლო შანსს. პირიქით, ისლამი აჯილდოებს ამ შანს მაქციმუმ, რათა ინდივიდება მიიღონ ისლამი ან მოინანიონ ჩადენილი ცოდვები.

დასკვნა

ისლამი არის რწმენის, თაწვანისცემის, კანონების და მორალური ღირებულებების ერთბლიობა, რომელიც ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს. ის არის ღვთიური შეტყობისნების ბოლო ვერსია, რომელიც უზენაესმა ღმერთმა მოავლიან. ის არის სრულყოფილი სისტემა, რომელის ყველა ნაწილი ჰარმონიულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ის მოიცავს საუკეთესო გზებს, თუ როგორ უნდა იმეჟმედო სამყაროს გამჩენის წინაშე და ასევე სხვა ქმნილებებთან მიმართებაში.

ზემოთ მოცემული თავებიდან გამომდინარე, უკვე ნათელი უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

პირველი. ისლამი ნიშნავს აღიარო მხოლოდ ერთი ღმერთი, ალლაჰი. ხოლო, ამ ქვეყნიური ცხოვრება არის მხოლოდ იმსათვის, რომ მოიპოვო იმ ქვეყნიური ნეტარება. ჩვენ მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილს ვიმკით წუთი სოფელში, მოსავლის მნიშვნელოვანი უდიდესი ნაწილი სამომავლო სცოვრებაში გველოდება. ისლამი არის რელიგია რომელიც პირველმა ადამიანმა და შუამავალმა ადამმა იქადაგა. ასევე სხვა ყველა შუამავლებმაც ისლამი იქადაგეს. საბოლოოდ, მუჰამმედმა (ს.ა.ვ.) რომელიც შუამავლების ბოლო რგოლია ისლამი იქადაგა. უზენაესმა ღმერთმა ისლამის კანონები სრულყოფილი შექმნა და განკითხვის დღემდე ლეგიტიმაცია მიანიჭა.

⁸⁵ აჰმად: სანადულ მუხთერემ მინას საჰაბაჰ.

მეორე. „ალ-ყადარი“ ანუ ბედისწერა არის მხოლოდ სრულყოფილი წინასწარი ჩანაწერი რაც სამყაროში ხდება, იგი დაგავშირებული ღმერთის აბსოლიტური ცოდნასთან. იგი არ ისჯიდება დროის და ადგილის ფაქტორებით, ან ლიმიტირებული გრძნობებით.

ჯიჰადი მომდინარეობს არაბული სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს ბრძოლას და არა შეტევისა და ომის ინიციატივას. ისლამის მიხედვით, შეუძლებელია ღმერთმა დაუშვას ისეთი საეთაშორისო კანონი, რომელიც აგრესიულ ერებს საშუალებას მისცემს სუსტ მშვიდობიან ერებს თავს მოახვიონ თავიანთი იდეოლოგია.

მესამე. ისლამი მუსლიმებს მოუწოდებს ისე იზრუნონ სხვებზე როგორც საკუთარ თავზე. გაუზიარონ სხვებს ილამისეული ამქვეყნიური და იმქვეყნიური წარმატების გზა, თუმცა არცერთ ინდივიდზე არ გამოიყენონ ძალადობა.

მეოთხე. ვინაიდან ისლამი რეალისისტური და ყველა საკითხის მომცველი რელიგიაა, იგი თავისუფლებას ფარდობიტად განიხილავს. მხოლოდ ფარდობითი თანასწორობა შეიძლება იყოს სამართლიანობის ექვივალენტი. ისლამს არ გააჩნია მემგვიდროებით ან არჩევითი პოლიტიკური სისტემის მიმართ უპირატესობა. ვინაიდან ხელისუფლება ემორჩილება ღმერთის სურვილს, რომელიც წმინდა ყურანში და შუმაველის ჰადისებში არის წარმოდგენილი.

ისლამი ადამინთა შორის განსხვავებას, როგორც საჭიროებას განიხილავს. ასევე ისლამი უამრავ მსგავსებას და საერთო სარგებელს და ინტერესს გაზიარებას ცნობს. ეს ფაქტები ხელს უწყობს ადამინების თანამშრომლობას რომელიც, როგორც მინიმუმ ამქვეყნიური ბედნიერებას ხელს შეუწყობს. ისლამს მრავალფეროვნების საუკეთესო გამოცდილამა მედინაში პოლიტიკური გაერთიანების პირველივე ეტაპზე ჰქონდა. ის იყო სხვადასხვა რასისა და რელიგიის მიმდევართა კონფედერაცია.

მეხუთე. ღმერთმა ქალები და მამაკაცები ერთი-მეორის სემავსებელად განუყოფელი გააჩინა. ისინი დღის მსგავსნი არიან, რომელიც ორი განუყოფელი ნაწილისგან,

დღისა და ღამისაგან შედგება. მარტოხელა კაცებსა და ქალებს დაუდგინა ქორწინება, როგორ თანამშრომლობისა და ურთიერთ დაცვის ლეგალური საშუალება.

მეექვსე. ისლამი განასხვავებს ორი სახის ტერორიზმს: აგრესიულს და თავდაცვითს. წმინდა ყურანი ნებას რთავს თავდაცვით ტერორიზმს, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ეს მოცემულია თავად შუამავლის და მის მოწოდებების მიმართ მტრულ დამოკიდებულების შესახებ ისტორიებში. ასევე შუამავალ შემავიწროვებელ მტრების მიმართ თოთხმეტი წლის განმავლობაში ტოლერანტული დამოკიდებულება ჰქონდა სანამ მან საბოლოოდ არ მიიღო თავდაცვისათვის ღვთიური უფლება.

მეშვიდე. გონიერი ადამინი შენიშნავს, რომ სიტყვა „ექსტრემს“ ფარდობითი მნიშვნელობა აქვს. სიტყვა „ექსტრემს“ პირობოთი მნიშვნელობები გააჩნია. ნებისმიერი რამე ერთი ადამინისთვის შესაძლოა ექსტრემი იყოს, ხოლო მეორესთვის ჩვეულებრივი მოვლენა. იგი დროდადრო ერთსა და იმავე ქვეყანაშიც კი იცვლება. ისლამში კონკრეტული დანაშაულების მიმართ მკაცრი სასჯელი არსებობს, თუმცა ეს სასჯელის აღსრულება არასაკმარისი მტკიცებულებების პირობებში დაუშვებელია. თუ მმუსლიმი ხელისუფლება აღსრულებს უმრავლესობის მიერ არჩეულ განმდებლობას ეს ლოგიკური და ბუნებრივია.

კანონმდებლობების განხილვის შედეგად ჩვენ შეგვიძლია დასკვნა გავაკეთოთ, რომ ისლამური კანონები უკეთესად იცავს ადამინის უფლებებს. არსებობს ბალანსი მრავალფეროვან და ურთიერთსაწინააღმდეგო უფლებობს შორის, რეალობასა და ფანტაზიას შორის, ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის, ამ ქვეყნიურ მოთხოვნებსა და იმ ქვეყნიურ მოთხოვნებს შორის.

არაბული გამოყენებული ლიტერატურა

الكريم القرآن.

1964 الأوسط الشرق في المقدس الكتاب دار) الجديد والعهد القديم العهد كتب: المقدس، الكتاب

(1399 الرسالة مؤسسة: بيروت) العباد خير هدي في المعاد زاد القيم، ابن

(1990 صادر دار: بيروت) العرب لسان مكرم، محمد الدين جمال منظور، ابن

(—: القاهرة) الخراج كتاب إبراهيم، ابن يعقوب يوسف، أبو

1957 ط1 (للملايين العلم دار: بيروت) ماضي محمد منصور ترجمة الحكم، في الإسلام منهاج محمد أسد،

(1417 المؤلف: المنورة المدينة) والقدر القضاء عن الغيوم كشف سعيد، إسماعيل،

(____) المحيط محيط بطرس، البستاني،

والتوزيع للنشر المجتمع دار: جدة) الطفولة مرحلة في الولد تربية في المسلم الأب مسؤولية صالح، حسن عدنان باحارث،

1410).

(1412 المنارة مكتبة: المكرمة مكة) مردود تلبيس الله، عبد صالح حميد، بن

الدراسات مركز: بغداد) فلسطين في اليهودي القومي الوطن إقامة في البريطاني الانتداب قوانين أثر حامد، عادل الجادر،

(1976 العلمي والبحث العالي التعليم وزارة بغداد، جامعة الفلسطينية،

:الرياض) 1404 حنبل بن أحمد الإمام مذهب على الفقه في المحرر تيمية، بن القاسم أبي بن الله عبد بن السلام عبد الحارثي،

(1404 المعارف مكتبة

(1969 ---: بيروت) الراشدة والخلافة النبوي للعهد السياسية الوثائق مجموعة محمد، الله، حميد

(--- المعرفة دار: بيروت) ط2 الدقائق كنز شرح الرائق البحر نجيم، ابن الدين زين الحنفي،

(1996 المشرق دار: بيروت) اللغة في المنجد المشرق، دار

(— الإسلامي العالم رابطة: المكرمة مكة) بها العناية إلى الإسلام ودعوة الإنسان حقوق معروف، محمد الدواليبي،

العربية النهضة دار :القاهرة) المتحدة الولايات في الكبرى الدستورية التجربة نجا، مأمون محمد ترجمة فان، كارل دوروين،
(1948).

(1422هـ الإسلامي العالم رابطة :المكرمة مكة) المكرمة مكة بيان الفقهي، المجمع الإسلامي، العالم رابطة

في الأروبي والمجلس جنيف، في العالمي الكنائس ومجلس والفاثيكان، الرياض، في علمية ندوات الإسلامي، العالم رابطة
(___ الإسلامي العالم رابطة :المكرمة مكة) الإنسان وحقوق الإسلامية الشريعة حول ستراسبورغ

هـ-1401 الإسلامي للفكر العالمي المعهد :فيرجينيا :هيرندن) الشاطبي الإمام عند المقاصد نظرية أحمد، الريسوني،

للتشئون الأعلى المجلس :القاهرة) المشككين شبهات مواجهة في الإسلام حقائق ومقدم، مشرف حمدي، محمود زقزوق،
(1423 العربية مصر جمهورية الأوقاف، وزارة الإسلامية،

(---الفكر دار :بيروت الشافعي، الإمام فقه في المذهب إسحاق، أبو يوسف بن علي بن إبراهيم الشيرازي،

(1413 للإعلام الدولية الآفاق :القاهرة) بالإسكندرية المهندسين نقابة مناظرة في العالمية تهافت صلاح، الصاوي،

(1420 الرسالة مؤسسة :بيروت) المسلمين وغير المسلمين بين العلاقة حقيقة إسماعيل، سعيد صيني،

"التعايش أجل من الحضارات بين الحوار" ندوة في مقدم بحث الحضارات بين والحوار الإسلام إسماعيل، سعيد صيني،

. م 18-20/5/2002 بين الفترة بين دمشق في المنعقد

العلوم دور حول الثاني للمؤتمر مقدم بحث والتطرف، العنف من والوقاية السياسية والتنشئة الإسلام إسماعيل، سعيد صيني،
2003 سبتمبر 18-20 بين الكويت في المنعقد المجتمع تنمية في والصحية الاجتماعية

الإسلامي العالم لرابطة الثامن السنوي للمؤتمر مقدم والتسليم، الرفض بين الإسلامي الخطاب بين الإسلامي الخطاب صيني،
للهجرة 1428 الحجة ذي 5-7 بين الفترة في المنعقد

423-456 ص هـ-1427 الثاني جمادى، 33: العدد الحكمة مجلة في والقدر، والقضاء الإنسان إسماعيل، سعيد صيني،

(___ الإسلامي العالم رابطة :مكة) الإسلام في المرأة حقوق الفتاح، عبد إسماعيل الكافي، عبد

(1398 المدني مطبعة :القاهرة) الإسلام في المرأة حقوق سليمان، بن الله عبد محمد عرفة،

(___ الهلال دار :القاهرة) عمر عبقريه محمود، عباس العقاد،

(1421 والتوزيع للنشر صفاء دار :عمان) الإسلام في الطفل تربية الحميد، عبد حنان العناني،

1975 ط1 (1989 الشروق دار :القاهرة) ط7 الإسلامية للدعوة السياسي النظام في سليم، محمد العوا،

(1397 المؤلف) الأحكام وتقنين الإسلام العزيز، عبد الرحمن عبد القاسم،

(هـ1423 الإسلامي العالم رابطة :المكرمة مكة) الأخرى الأديان أتباع مع الحوار الرحمن، عبد بن أحمد القاضي،

(هـ1412 المؤلف) الإسلام في الإنسان حقوق سالم، محمد محمد محمد محيسن،

بين الحوار " بعنوان الدولية الندوة في مقدم والحوار، التعايش لتوطيد كصيغة الماضي عن الاعتذار العربي، محمد المساري،
التربية ووزارة إيسيسكو منظمة بإشراف 2000 يو ما 20-18 بين الفترة في دمشق في المنعقد "التعايش أجل من الحضارات
السورية.

العربية الكتب إحياء دار الباقي عبد فؤاد محمد تحقيق مسلم، صحيح النيسابوري، القشيري الحجاج بن مسلم الحسين أبي مسلم،
(1374).

(--- الاسلامي المكتب :بيروت) حنبل بن أحمد المجلد الإمام فقه في الكافي محمد، أبو قدامة بن الله عبد المقدسي،

الآباء تنظيم تحت العاملة التبشيرية المؤسسات إحدى قبل من الموجهة التشكيكية الأسئلة أجوبة حبكة، الرحمن عبد الميداني،
(1412 المنارة مكتبة :المكرمة مكة) البيض

السوادي مكتبة :جدة) والروضة البيت في الإسلام رحاب في الأطفال تربية درويش، القادر عبد خولة حامد، محمد الناصر،
(هـ1415 للتوزيع).

197 العلمية البحوث دار :الكويت) ط5 هشام ابن سيرة تهذيب السلام، عبد هارون،

ინგლისური ლიტერატურა

Abdal Ati, Hammoodah, Islam in Focus Riyadh: WAMY ---.

Al-Tantawi, Ali, Brief Introduction to Islam, Jeddah: Dar Almanara 3rd. ed. 2000.

Bulletin, Beaurue of Justice Statistics, Department of Justice, USA, Feb 1996.

Good News Bible: Today's English Version, Nashville: Thomas Nelson Publishers 1992.

Ismaeel, Saeed, Fate: Al-Qada Wal Qadar, Toronto, Canada: Al-Attique Publishers, Inc. 2000.

Ismaeel, Saeed, Pre Recording Not Fate or Predestination 1997.

Ismaeel, Saeed, The Relationship Between Muslims and Non-Muslims, Toronto: 2nd ed. Al Attique International Islamic Publications. 2000.

Jeffries, N., Palestine: The Reality, London: Longmans 1988.

Kutub, Muhammad, Islam: the Misunderstood Religion --- International Islamic Federation of Student Organizations 1982.

Maududi, S. Abul A'la, Fundamentals of Islam, Lahore, Pakistan: Islamic Publications Ltd. 5th ed. 1980.

Naik, Zakir Abdul Karim, Answers to Non-Muslims Common Questions about Islam, Islamic Research Foundation www.irf.net.

Naik, Zakir Abdul Karim, Answers to Non-Muslims' Common Questions about Islam --- Islamic Research Foundation ---.

Saheeh International, The Qur'an: Arabic Text with Corresponding English meanings, Riyadh: Abulqasim Publishing House 1997.

Shanker, Thom and David E. Sanger, White House Wants to Bury Pact Banning Tests of Nuclear Arms, New York Times July 7, 2001.

Sienny, Saeed I., Creation of Man and Fate, a paper presented to the Conference on Cultures and Philosophies at St. Petersburg, S. S. U. between 7-12 September 2002.

Sienny, Saeed I., Muslim And non-Muslim Relation 2nd ed., Medina: Darul Fajr Bookstore 2005.

Sienny, Saeed I., Muslim and non-Muslim Relations, Medina: Darul Fajr Bookstore 2005.

Tabbarah, Afif A., The Spirit of Islam: Doctrine and Teachings, The author 1978.

The Arab American News 26 January 1996.

წიგნის შესახებ:

წიგნი წარმოადგენს ისლამის ფართო პერსპექტივას: მის წყაროებს, რწმენის საკითხებს, კანონებს და მორალურ ღირებულებებს. ასევე ცდილობს გაეცეს ყველა იმ კითხვას პასუხი, რომელიც დაკავშირებულია ისლამის სწავლებასთან.

წიგნის მიზანია, წარმოდგინოს მუსლიმების რელიგიის რეალობა, რათა ხელი შეუწყოს მუსლიმებისა და არამუსლიმების უკეთეს ურთიერთობებს, განსაკუთრებით თუ ორივე ჯგუფი ერთი კონკრეტული ქვეტნის ეროვნებას მიეკუთვნება. შუამავალი (ს.ა.ვ.) ბრძანებს: „ინდივიდები არიან ახალგაწვეული ჯარისკაცები. ვინც ისურვებს ერთმანეთის გაცნობას დამეგობრდება, ხოლო ვინც უცნობი დარჩება განსხვავებული იქნება“.

ავტორის შესახებ:

ავტორი წიგნის დაწერისას ეყრდნობა საკუთარ მრავალმხრივ გამოცდილებას. ასწავლიდა, ატარებდა კვლევებს, იყო წიგნების ავტორი და აგზავნიდა ნაშრომებს სემინარებსა და კონფერენციებში თემებზე როგორიცაა: სოციალური და პოლიტიკური მეცნიერება, კვლევის მეთოდები, mass or persuasive communication, განათლება, მტარგმნელობა, დიალოგი, შედარებითი რელიგია და ისლამური სწავლება.